

სასამართლო პრაქტიკის უფლებები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №5

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებო

ცილისწამება

კერძო პირის ცილისწამება	4; 48
საჯარო პირის ცილისწამება	112; 138
საქმიანი რეპუტაციის შელახვა	157; 168; 182

ცილისნამება

პერძო პირის ცილისნამება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-622-2022

05 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემ-
ლახველი ინფორმაციის უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებ გვერდსა (<https://www.k.p.ge>) და „კ. პ-ის“
სოციალურ ქსელში (facebook-ზე, <https://facebook.com/K.P./>) 2019 წლის
25 ნოემბერს გავრცელდა ყურნალისტ თ. ხ-ს სტატია სათაურით: „დე-
და მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“
(შემდგომში – „სტატია“ ან „სადავო სტატია“)

2. სტატიის პირველი ნაწილის შინაარსის თანახმად:

„არცთუ ისე იშვიათად პაციენტები და მათი ოჯახის წევრები ექი-
მებს დაუდევრობაში, არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობაში ადა-
ნაშაულებენ. ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების სააგენტო არა-
ერთ ასეთ საჩივარს განიხილავს. არაერთი ექიმი დასჯილა ჩადენილი
გადაცდომისთვის. ექიმს უფლებამოსილება შეიძლება შეუჩერდეს ერ-
თიდან 6 თვემდე, ან თუ შემთხვევა უმძიმესია, გაუუქმდეს სერთიფი-
კატი. ხშირად მათ რამდენიმე თვით უჩერებენ უფლებამოსილებას და
შემდეგ სამედიცინო საქმიანობას აგრძელებენ, ეს კი დაზარალებული
ოჯახების პროტესტს იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პაციენტი გარ-
დაიცვალა.

საჩივარი 5 ივნისს შევიტანე, მაგრამ პასუხს დღემდე ველოდები.

გ. ფ-ძე დედის, ხ.(ნ.) ჩ-ძის სიკვდილში ექიმებს ადანაშაულებს და
უკვე მეექვსე თვეა, მათ დასჯას უშედეგოდ ელოდება.

– 65 წლის დედას წნევის გარდა არაფერი აწუხებდა. გარდაცვალე-
ბამდე ერთი თვით ადრე თავბრუ დაეხვა, სამსახურში კიბეზე წაბორ-
ძიკდა და ეს გადაღლილობას დავაბრალეთ, თუმცა მაშინვე მივედით

რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმ ზ. მ-თან. რასაც დედა ადრეც სვამდა – წნევის მარეგულირებელს და გულის მკვებავს – ისინი მოუხსნა და დაუნიშნა ძვირადღირებული მედიკამენტები. ვიყიდე და დაიწყო მკურნალობა, მაგრამ სამჯერ გული წაუვიდა. რამდენჯერმე დავურეკე ექიმს, რომ დედა წამლების მიღების შემდეგ ცუდად იყო და ხომ არ აჯობებდა შეენეცვითა მკურნალობა. გვითხრა, არავითარ შემთხვევაში, გააგრძელეთ მკურნალობაო. ასეც მოვიქეცი, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო ცუდად გრძნობდა თავს. ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებას არ გამოიწვევდა, არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვენებები ეწერა რაც დედას სჭირდა.

მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ დედას სამსახურში გული წაუვიდა. „სასწრაფო“ ისევ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიგვიყვანა და ისევ ექიმ მ-ის ხელში აღმოვჩნდით. განსაკუთრებული არაფერი, გვითხრეს. რეანიმაციაში იწვა და მხოლოდ გადასხმებს უკეთებდნენ.

– მედიკამენტები მოუხსნეს?

– მოუხსნეს. მეორე დღეს ჩვეულებრივად იყო. მარკეტში ნაყიდი მანონი ვაჭამე – ახლა მეუბნებიან, თითქოს მანვნით მოინამლა და ამიტომ გარდაიცვალა! მას შემდეგ, რაც კორონოგრაფია გაუკეთეს, იმის მიუხედავად, რომ საღამოს მდგომარეობა დაუმძიმდა, მაინც პალატაში გადაიყვანეს. იქაური პალატა და პირობები ცალკე თემა – 80-იანი წლების გადმონაშთია! დედა ვერ სუნთქავდა, კიდეც უფრო ცუდად შეიქმნა და რეანიმაციაში გადაიყვანეს, თან გამომიცხადეს, მანონმა მონამლაო (არადა ქილა კიდეც ერთხელ გადავამოწმე და ვადაგასული არ იყო). თანაც წინა დღეს ნაჭამმა მანონმა მეორე საღამოს მონამლა?

იმ ღამეს რეანიმაციაში დატოვეს. მეორე დღით დედამ 7 საათზე დამირეკა, ახლა ერთ გადასხმას გამიკეთებენ და 9 საათზე მომაკითხეთ, ექიმი სახლში მიშვებსო. ჩემი აზრით, დედას შეტევა იყო კორონოგრაფიით გამოწვეული, დაითრომბა სისხლი და ამან გამოიწვია ღებინება. ხელი ერთი საათი ჰქონდა გადახვეული, არადა მთელი დღე უნდა ჰქონოდა! ამხელა პროცედურის შემდეგ თავისი ფეხით ატარეს! ეტლი ვერ ვნახე რომ დამესვა და პალატამდე მიმიყვანა!

სანამ წავიყვანდი მ-ს ვკითხე, ხომ არ ჯობია კლინიკაში დავტოვოთ მეთქი. არაო, მითხრა ჩემი პაციენტი აღარ არის, კორონოგრაფიის დასკვნით ყველაფერი წესრიგშია, 10 დღეში მომიყვანე და 90 წლამდე იცოცხლებს პირობას გაძლევო.

დასუსტებული ძლივს ჩამოვიყვანე ეზოში, ორჯერ გაჩერდა გზაში, მაგრამ იძულებული ვიყავი წამომეყვანა, რადგან არ დატოვეს. ჩავსვი მანქანაში და 10 წუთში სახლში ვიყავით. როგორც კი შევედით, დედამ

ძალიან ცუდად ვარ დამანვინეო. დავანვინე და ხელებში ჩამაკვდა...

დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა! ამ ტრაგედიის შემდეგ რესპუბლიკურში მისულს პალატის ექიმი დ. ფ-ა დამემალა. განყოფილების გამგე მ. ქ-ვა დამპირდა, რომ მეორე დღესვე დანიშნავდა თათბირს და მოინვევდა სპეციალისტებს, მაგრამ... ეს ექიმები დღემდე მუშაობენ. ფ-ა იმ დღეებში დასასვენებლად საზღვარგარეთ წავიდა. არც ადარდებს მისი უცოდინრობით პაციენტი რომ გარდაიცვალა. ჯანდაცვის სამინისტროში შევიტანე საჩივარი, მაგრამ პასუხი არ არის...

– რეგულირების სამსახურში როდის შეიტანეთ საჩივარი?

– დედა 31 მაისს გარდაიცვალა. საჩივარი 05 ივნისს შევიტანე. ყველა დოკუმენტი დავურთე, მაგრამ პასუხს დღემდე ველოდები. რომ ვრეკავ მეუბნებიან, მოკვლევა მიდისო, ეს ექიმები კი მუშაობენ. დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!...“

(იხ. „კ. პ-ის“ მიერ გამოქვეყნებული სტატია).

3. სტატიის პირველი ნაწილის რესპონდენტია გ. (გ.) ფ-ძე (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“, „რესპონდენტი“ ან „პაციენტის შვილი“), რომელიც არის გარდაცვლილი პაციენტის, ხ. (ნ.) ჩ-ძის (შემდგომში „პაციენტი“, „პირველი მოპასუხის დედა“) შვილი.

4. სტატიის მეორე ნაწილის რესპონდენტია ზ. კ-ძე – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომში „რეგულირების სააგენტო“) დირექტორი. სტატიის მეორე ნაწილში, მათ შორის, მითითებულია:

„– წელს ივნისში თქვენთან შემოვიდა [პაციენტის შვილის] საჩივარი. ის დედის, [პაციენტის] გარდაცვალებაში რესპუბლიკური საავადმყოფოს ორ ექიმს ადანაშაულებს და 5 თვეა უშედეგოდ ელოდება პასუხს.

– [პაციენტის შვილი] უჩიოდა სამედიცინო მომსახურების ხარისხს. რეგულირების სააგენტომ იმ სამედიცინო დაწესებულებაში მოკვლევა დაასრულა და ეს საქმე შესასწავლად გაგზავნა ექსპერტებთან. ახლა ველოდებით მათ დასკვნას. ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას და კომისიის სხდომაზე ვიმსჯელებთ, უნდა დადგეს თუ არა ექიმების პასუხისმგებლობის საკითხი...“

5. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული, ზემოაღნიშნული ელექტრონული სტატია დაათვალიერა 116 329 ადამიანმა.

6. ზ. მ-ი (შემდგომში – „მოსარჩელე“, „მოსარჩელე ექიმი“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) არის ექიმი-კარდიოლოგი და არითმოლოგი.

7. მოსარჩელე ექიმმა სარჩელი აღძრა სასამართლოში პირველი მოპასუხისა და შპს „კ. პ-ას“ (ამჟამინდელი სახელწოდება – შპს „პ. ჰ-ი“) (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა: მოპასუხეებს

დაევალოთ უზრუნველყონ სადავო სტატიაში მის შესახებ გაკეთებული განცხადებების/არასწორი ფაქტების უარყოფა იმავე მასობრივი საშუალებებით („კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე – <https://www.k.p.ge/> და „კ. პ-ის“ სოციალურ ქსელ – facebook-ზე, <https://www.facebook.com/K.P/>), იმავე შრიფტით, იმავე გვერდზე და იმავე დროს, შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნების გზით:

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს და ცილისმწამებლურია პირველი მოპასუხის მიერ „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.k.p.ge/>) და „კ. პ-ის“ სოციალურ ქსელში (facebook-ზე, <https://www.facebook.com/K.P/>) 2019 წლის 25 ნოემბერს გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მოსარჩელის შესახებ გაკეთებული განცხადებები, კერძოდ:

– არ შეესაბამება სინამდვილეს და ცილისმწამებლურია პირველი მოპასუხის მიერ 2019 წლის 25 ნოემბერს „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.k.p.ge/>) და „კ. პ-ის“ სოციალურ ქსელში (facebook-ზე, <https://facebook.com/K.P/>) მოსარჩელის შესახებ გაკეთებული შემდეგი განცხადება – „ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებს არ გამოიწვევდა – არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვენებები ეწერა, რაც დედას სჭირდა“;

– არ შეესაბამება სინამდვილეს და ცილისმწამებლურია პირველი მოპასუხის მიერ 2019 წლის 25 ნოემბერს „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.k.p.ge/>) და „კ. პ-ის“ სოციალურ ქსელში (facebook-ზე, <https://facebook.com/K.P/>) მოსარჩელის შესახებ გაკეთებული შემდეგი განცხადება – „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა“;

– არ შეესაბამება სინამდვილეს და ცილისმწამებლურია პირველი მოპასუხის მიერ 2019 წლის 25 ნოემბერს „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე (<https://www.k.p.ge/>) და „კ. პ-ის“ სოციალურ ქსელში (facebook-ზე, <https://facebook.com/K.P/>) მოსარჩელის შესახებ გაკეთებული შემდეგი განცხადება – „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში“.

8. სარჩელის თანახმად:

8.1. სადავო სტატიაში პაციენტის სიკვდილში მოსარჩელე ექიმი დადანიშნული. ნათელია, რომ სტატიის გამოქვეყნების დროისათვის სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ საჩივარზე დასკვნა მომზადებული არ იყო და ეს ფაქტი მოპასუხეებისათვის ცნობილი იყო. რეალურად, სწორედ ამ უწყების კომპეტენციაში შედის იმის გარკვევა, უნდა დადგეს თუ არა კონკრეტული ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა გამოქვეყნებული სტატი-

ით მოსარჩელეს პირველმა მოპასუხემ ბრალი დასდო იქამდე, სანამ მისი შესაძლო ბრალეულობა და „დანაშაულებრივი“ ქმედება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ იქნებოდა გამოკვლეული. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მოპასუხეებმა საკუთარი აზრი/შეხედულება განზრახ გაავრცელეს იმგვარი ფორმით, რომელიც საშუალო მკითხველში იწვევს ექიმის მიმართ გაღიზიანებას და მას წარმოაჩენს, როგორც დამნაშავეს;

8.2. „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი სტუმრობს. ამასთან, სტატია გამოქვეყნდა სოციალურ ქსელშიც, კ. პ-ის ოფიციალურ გვერდზე (facebook-ზე), რომელსაც 116 329 ადამიანი ადევნებს თვალს;

8.3. სტატიის გამოქვეყნებისთანავე მოსარჩელემ მიმართა მეორე მოპასუხის დირექტორს, რათა „კ. პ-ის“ ოფიციალური ვებგვერდიდან აეღოთ ცილისმწამებლური და გადაუმონმებელი ინფორმაციის შემცველი სტატია, თუმცა აღნიშნულმა შედეგი არ გამოიღო, სტატია ამჟამადც ხელმისაწვდომია მკითხველისათვის;

8.4. შესაბამისად, ნათელია, რომ არსებითად მცდარი ფაქტებისა და ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებით ილახება ექიმის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, აღნიშნული მიზნად ისახავს მოსარჩელის პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების დაკნინებას, აღვივებს საზოგადოებაში ექიმის პროფესიისადმი უნდობლობის განცდას და ზიანი ადგება მოსარჩელის ინტერესებს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს საზოგადოებაში მისი პროფესიიდან გამომდინარე;

8.5. შესაბამისად, აუცილებელია, მოპასუხეებმა იმგვარად უარყონ გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლებელი იყოს მოსარჩელის შელახული ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის აღდგენა.

9. პირველმა მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. სტატიაში არსად ჩანს, რომ პირველი მოპასუხე ვინმეს ადანაშაულებს. სტატიით მოსარჩელის უფლებები არ ილახება. პირველმა მოპასუხემ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოსაზრება გამოთქვა და საზოგადოებას საკუთარი ტკივილი გაუზიარა, რომელიც დედის გარდაცვალებას უკავშირდებოდა;

9.2. მოსარჩელის გვარი სტატიაში არ ფიქსირდება და მისი საშუალებით ვერ მოხდება მოსარჩელის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირება;

9.3. ამასთან, პირველი მოპასუხე სტატიაში საუბრობს სამედიცინო მომსახურების დაბალ ხარისხზე, რაც საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია;

9.4. რაც შეეხება საჩივარს, პირველმა მოპასუხემ სტატიაში მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საჩივარი შეიტანა სამედიცინო ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში და მიმდინარებს მისი განხილვა. სტატიაში პირველ მოპასუხეს არ მიუთითებია, რომ სააგენტომ საჩივარზე დასკვნა უკვე მოამზადა. ამჟამად კი, პირველ მოპასუხეს ხელთ აქვს აღნიშნული დასკვნა, რომლის მიხედვით ექიმების – მოსარჩელისა და დ. ფ-ას (შემდგომში – „მეორე ექიმი“) მიმართ განისაზღვრა პასუხისმგებლობა;

9.5. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ პირველი მოპასუხის განცხადების საფუძველზე შესწავლილ იქნა შპს „აკად. ნ. ყ.ს.ც.ს.კ-სი“ პაციენტის – პირველი მოპასუხის დედისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ დაისვა საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელისა და მეორე ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად რეგულირების სააგენტო აცხადებს, რომ გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები: „საყურადღებოა არასაკმარისი კომუნიკაცია ექიმ-რიტმოლოგსა და პაციენტს შორის. ფაქტია, რომ ჰოსპიტალიზაციის მიზეზი იყო მედიკამენტებით გამოწვეული სრული ავბლოკადა და სინკოპე. ვერ დავეთანხმები ბატონ ზ. მ-ის აზრს, რომ მედიკამენტების დოზების კორექცია არის პაციენტის პასუხისმგებლობა და არა ექიმის“; „31.05.2019 09:45 სთ ექიმი დ. ფ-ას ჩანაწერით: პაციენტი „ითხოვს დილიდანვე ბინაზე განერას“, თუმცა „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ არ ფიქსირდება პაციენტის განცხადება ბინაზე განერის თაობაზე“.

10. მეორე მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი ასევე არ ცნო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. სტატია ეხება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას. სტატიას ჰყავს რესპონდენტები, რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ;

10.2. ჟურნალისტის მიერ დაწერილი ტექსტი არ შეიცავს რომელიმე ექიმის სახელსა და გვარს. ჟურნალისტი იყენებს ფრაზას „გარდაიცვალა“, „სიკვდილი“. ცილისწამების თაობაზე სასამართლოს დავის საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული. სტატიაში დასმული კითხვა ეხება მიმართვიანობას, საჩივრებს, განხილვის სისწრაფეს, გაჭიანურების შე-

სახებ კითხვებს;

10.3. სტატიაში გადმოცემულია რესპონდენტების მოსაზრებები, რაც დატყულია აბსოლუტური პროვილეგიით. ორივე რესპონდენტისაგან ცალსახად და მკაფიოდ იკვეთება, რომ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული;

10.4. განზრახვაზე მითითება არის სრულიად დაუსაბუთებელი. მედია შეეხო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს, გადმოსცა რესპონდენტების მოსაზრებები. დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის არსი და ფუნქცია ცხომ სწორედ ეს არის.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 08 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

14. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

15. სააპელაციო სასამართლომ მოიხმო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 10.1, 10.2, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 19.2, საქართველოს კონსტიტუციის 17.1, 17.2, 17.5, 24.4, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1.ა, 1.ბ, 1.ფ, 4.1, 7.2 მუხლები და განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებითა და ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულია სიტყვისა და აზრის ნებისმიერი საშუალებით გამოხატვის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური ღირებულება. განსხვავებით აზრის ქონის უფლებისაგან, რომლის შეზღუდვაც როგორც დაუშვებელი, ისე ობიექტურად შეუძლებელიც არის, მისი გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და სწორედ საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ამ უფლების შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში.

16. სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველი კატეგორიის დავებში ერთმანეთს ორი, დემოკრატიული საზოგადოებისათვის ძა-

ლიან ღირებული და კანონის ძალით დაცული უფლება უპირისპირდება, კერძოდ, ერთი მხრივ, პირის პატივისა და ღირსების დაცვის ვალდებულება და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა. ორივე ინტერესის დაცვა იმგვარად უნდა მოხდეს, რომ მოსარჩელეს პატივისა და ღირსების შელახვის შეგრძნება არ დარჩეს, ხოლო მოპასუხეს გამოხატვის თავისუფლება უპირობოდ არ შეეზღუდოს. სწორედ აღნიშნული სულისკვეთების გამოძახილია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ „აზრისა“ (შეფასებითი მსჯელობის) და „არსებითად მცდარი ფაქტის“ გამიჯვნა.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე დავის სწორად გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს – მოპასუხის გამონათქვამები შეიცავს თუ არა ცილისწამებლურ განცხადებას, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია, ანუ უნდა გაირკვეს – სადავო გამონათქვამები წარმოადგენს „აზრს“, თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის სადავო გამონათქვამებს მისცემს აზრის კვალიფიკაციას, ის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლდება, რადგან აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. აღნიშნული გულისხმობის იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს იმთავითვე ვერ დაეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და კვლევა იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი გამონათქვამში ნახსენებ შემთხვევებს, საჭირო არ არის. გარემოებების არსებობისა თუ არარსებობის დადგენას საქმისათვის მნიშვნელობა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო გამონათქვამები შეფასდება როგორც ფაქტები, რომლებიც საჭიროებენ დადასტურებას ან უარყოფას, რამდენადაც ცილისწამების არსებობა დაკავშირებულია არსებითად მცდარი ფაქტების არსებობასთან, ხოლო მოსაზრებების გამოთქმა ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას გამოიწვევს. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითადად მცდარი ფაქტების გავრცელება.

18. სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველი კატეგორიის დავებში კანონმდებელი მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმი-

ან რეპუტაციას. ამასთან, სარჩელის წარმატებისათვის უნდა გაირკვეს ხომ არ არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ: განცხადება სპეციალური კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა; უნდა დადგინდეს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიის მიმნიჭებელი გარემოებების არარსებობა; ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არარსებობა (თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობისა და მცდარობის გამო).

19. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი მოპასუხის მიერ „კ. პ-ის“ ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში მიცემულ ინტერვიუში ნაწილობრივ მოცემულია ფაქტები, ხოლო ნაწილობრივ შეფასებითი მსჯელობა.

20. სააპელაციო პალატის მითითებით, ჟურნალისტის სტატიაში ფიგურირებენ რესპონდენტები, მათ შორის პირველი მოპასუხე, რომლებიც გამოთქვამენ მათ მოსაზრებებს ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვებზე. ჟურნალისტის სტატია ემსახურება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხის სამსჯელოდ გამოტანას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის სფეროს – სამედიცინო და საექიმო საქმიანობას ეხება, რომლის არამართლზომიერად ან/და დაუდევრად განხორციელების შედეგად ზარალდებიან ასეთი მომსახურების მიმღები ადამიანები. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას და სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას, რის გამოც საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს. რაც შეეხება სტატიის დასახელებას, იგი ჟურნალისტის მხრიდან ციტირებულია რესპონდენტის გამონათქვამიდან.

21. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხის სადავოდ გამხდარი გამონათქვამები ცალკე აღებულიად და კონტექსტიდან ამოჭრილად არ უნდა იქნეს განხილული და შეფასებული, კერძოდ:

– სტატიაში მითითებულ გამონათქვამს – „ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებს არ გამოიწვევდა, არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვენება უნერია, რაც დედას სჭირდა“ – წინ უსწრებს მოპასუხის მიერ ექიმის დანიშნულ წამლებთან მიმართებით განვითარებული მოვლენების გადმოცემა, ასევე ექიმის მოქმედება მის მიერ პაციენტისათვის დანიშნული წამლის უკუჩვენე-

ბასთან მიმართებით, რასაც მოპასუხის მხრიდან ჟუნალისტისათვის გაცხადებული, ზემოაღნიშნული სადავოდ ქცეული ფრაზა მოსდევს შეჯამებად. ამდენად, იგი ფაქტად არ შეიძლება იქნეს განხილული, ვინაიდან წარმოადგენს მოპასუხის შეფასებას მკურნალი ექიმის მხრიდან მისი დედისათვის მკურნალობის პროცესში დანიშნული წამლების უკუჩვენებასთან მიმართებით. მასში არ არის დასახელებული არც კონკრეტული წამლის უკუჩვენებები და არც რესპონდენტის დედის მხრიდან ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიღებისას გამოვლენილი უკუჩვენებები, რათა იგი შეფასდეს კონკრეტულ ფაქტად, რის გამოც აღნიშნული სადავოდ გამხდარი გამონათქვამი წარმოადგენს აზრს – მოსარჩელის დამოკიდებულებას კონკრეტული მოვლენისადმი და იგი ფაქტის სახით მტკიცებით ფორმატში მითითებული არ არის;

– სადავოდ გამხდარ ფრაზას – „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა“ – წინ უძღვის მოპასუხის მიერ მისი უახლოესი ადამიანის გარდაცვალებამდე სიცოცხლის უკანასკნელი მომენტისა და დედის გარდაცვალების დეტალების შესახებ ჟურნალისტისათვის ინფორმაციის მიწოდება, რასაც პირველი მოპასუხე აფასებს სადავოდ გამხდარი გამონათქვამით. იგი აფასებს მოპასუხის დედის მკურნალი ექიმების საქმიანობის ავკარგიანობას – პროფესიონალიზმსა და მკურნალობის წარუმატებელ შედეგს. მასში კონკრეტულად არც მოსარჩელე და არც სტატიაში დასახელებული რომელიმე ექიმი დადგენილი სისხლის სამართლის დანაშაულის, მკვლელობის ჩადენაში. ამ ფრაზით მოპასუხე გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას და აფასებს მკურნალობის პროცესში მონაწილე ექიმების საქმიანობას;

– სადავოდ გამხდარ ფრაზას – „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“ – წინ უსწრებს მოპასუხის მიერ პაციენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საექიმო საქმიანობის რეგულირების ორგანოში საჩივრის შეტანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მასზე პასუხის არარსებობის პირობებში, მოპასუხე დედის გარდაცვალების გამო ტკივილიდან გამომდინარე მკითხველს – საზოგადოებას მიმართავს რიტორიკული შეკითხვით და გამოხატავს გულისწყრომას დედის გარდაცვალებისადმი – ეს ექიმები კი მუშაობენ. დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაღუპოს მათ ხელში?!

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა და მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები წარმოადგენს აზრს/ დამოკიდებულებას/ შეხედულებას, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არა დადასტურებას ან უარყოფას დაქვემდებარებულ ფაქტებს, ამდენად მათი ჟურნალისტის სტატიაში გამოქვეყნებით მოსარჩელეს რეპუტაციული ზიანი ვერ მიაგებოდა.

23. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გამონათქვამებთან (სტატია 5-თან) მიმართებით მოსარჩელის ინტერესი (საკუთარი რეპუტაციის დაცვა) არ არის უპირატესი გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რადგან მასში მითითებული გამონათქვამები არ ხელყოფს მის პირად უფლებებს სერიოზულობის საკმაოდ მაღალი ხარისხით და ზიანს არ აყენებს მას. საწინააღმდეგო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები აპელანტს არ წარუდგენია, მას ასევე არ მიუთითებია ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას მისცემდა.

24. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

24.1. საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და არასწორად განმარტა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც საფუძვლად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა. აღნიშნული გადაწყვეტილება კი, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გაიზიარა და უცვლელად დატოვა;

24.2. ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირებას შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით, ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. ამასთან, კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს კერძო და საჯარო პირის ცილისწამებას. კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, ხოლო საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება;

24.3. განსახილველ შემთხვევაში სტატია შეეხება მოსარჩელეს, რომელიც არის ექიმი-კარდიოლოგი და არითმოლოგი. „სიტყვისა და გამო-

ხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო პირი არის თანამდებობის პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ან რომლის მოქმედებისაკენ მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. ამდენად, აღნიშნულ ნორმაში საუბარია ფართო წრეთა მხრიდან აღქმადობაზე და მათ ცნობიერებაზე კონკრეტული პირის ქმედებების ზეგავლენაზე. შესაძლოა, ცალკეული ექიმის მოქმედებები იყოს უშუალოდ პაციენტისათვის მნიშვნელოვანი და შეუქცევადი, თუმცა მისი მოქმედებები, მკურნალობის მიზნით განხორციელებული ქმედებები, მიმართული არ არის საზოგადოების ფართო მასების აზრის ან/და ქმედების ფორმირებისაკენ, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაუსაბუთებლად და ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის უგულებელყოფით მოსარჩელეს საჯარო პირის სტატუსი მიანიჭა, რაც ასევე დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ;

24.4. თუმცა, თუნდაც მოცემულ დავაში სახეზე იყო საჯარო პირის ცილისწამების დადგენისათვის აუცილებელი დამატებითი კომპონენტიც, მოპასუხეთათვის ცნობილი იყო, რომ სტატიაში მტკიცებით ფორმატში მითითებულ ბრალდებებზე, მათ მიერ ფაქტების სახით მოყვანილ გარემოებებზე მიმდინარეობდა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოკვლევა და არ იყო დადგენილი ექიმის გადაცდომა. აღნიშნულის მიუხედავად, მათი მხრიდან განზრახ განხორციელდა მსგავსი ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელება;

24.5. მიუხედავად იმისა რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტიკა ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ან/და მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. ამგვარი პრაქტიკა, მართალია, წინააღმდეგობაში მოდის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონთან, რომლის მიხედვით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს, თუმცა ვინაიდან იმავე კანონის თანახმად, ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადანყვიტოს, რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიცია-

ტორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით;

24.6. ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე, ან/და მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.08.2012წ. განჩინება საქმეზე №ას-1739-1720-2011; *McVicar v. UK*; *Heinisch V. Germany*; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი);

24.7. კასატორმა მოიხმო „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე, 67-ე, 86-ე მუხლები და განმარტა შემდეგი: სადავო არ არის, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა და დღემდე მიმდინარეობს აღნიშნული შემთხვევის მოკვლევა და შესწავლა, ამდენად, როგორც სტატიის გამოქვეყნების, ისე გადანაცვების მიღების ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა მოსარჩელის რაიმე სახის ბრალი პაციენტის გარდაცვალებაში. მოსარჩელემ წარადგინა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ პირველი მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მისი მშობლის მკვლელობაში დადანაშაულება და ამ მიმართულებით მის მიერ ფაქტის სახით მოყვანილი ინფორმაცია იყო ცილისმწამებლური განცხადება და იგი აზრის გამოხატვის პრივილეგიით ვერ იქნება დაცული;

24.8. გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა იგი აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს და მისი შეზღუდვა დასაშვებია კანონიერი საფუძვლის არსებობისას (იხ. სუს 09.01.2014წ. განჩინება საქმეზე №ას-1559-1462-2012). ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აზრისა და ფაქტის ურთიერთგამიჯვნის საკითხს, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ხოლო ფაქტი კვალიფიციური პრივილეგიის სტატუსით სარგებლობს. აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა არ გულისხმობს იმას, რომ პირს შეუძლია ნებისმიერი აზრის გამოხატვა, მათ შორის, სხვა პირთა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, უხამსი და ა. შ.;

24.9. აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა არ ენიჭება და იგი შეზღუდულია სხვა უფლებების დაცვით, მათ შორის არის მესამე პირთა ძირითადი უფლებებით დაცული სიკეთეები – პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აზრის აბსოლუტურ პრივილეგიუბულობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ აბსოლუტური უფლებაა აზრის ქონა და არა აზრის გამოხატვა და მისი გავრცელება. შესაბამისად, მართალია, აზრის

გამოხატვა, გავრცელება უფრო მეტი პრივილეგიით სარგებლობს ვიდრე ფაქტისა, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ აზრის გამოხატვა, გავრცელება აბსოლუტური უფლებაა და, შესაბამისად, აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობს;

24.10. კანონის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. კანონი ფაქტის დეფინიციას არ იძლევა, შესაბამისად, სასამართლო მისი ზოგადი დეფინიციიდან ამოდის, რომლის მიხედვით, ფაქტი [ლათ. *factum* გაკეთებული] განმარტებულია, როგორც ნამდვილი, ჭეშმარიტი, არა გამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ აზრის საწინააღმდეგოდ „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას;

24.11. აზრისა და ფაქტის ურთიერთშედარების მიზნით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე, თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა, თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია;

24.12. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ცილისწამებაზეა საუბარი, საქმე ეხება ფაქტის და არა აზრის გავრცელებას, შესაბამისად, მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის გარემოება, რომ გავრცელებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია;

24.13. გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტი უნდა ცდილობდეს შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს სხვის ინტერესებთან დაპირისპირებას. ინფორმაციის გავრცელებისას სხვისი ინტერესები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. სხვათა ინტერესებში კი, პირველ რიგში, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა იგულისხმება. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ გამოხატვის თავისუფლებით მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ღირებულებათა კონფლიქტი. შესაბამისად, შერჩეულ უნდა იქნეს გამოხატვის ის ფორმა, რომლითაც არ მოხდება სხვა ღირებულებათა (სხვათა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია) იგნორირება. მით უფრო, როდესაც დასაშ-

ვებია გამოხატვის უფლების რეალიზაცია სხვა ღირებულებათა ნაკლები ხელყოფით (იხ. *Lingens v. Austria*; *Muller v. Switzerland*);

24.14. მიუხედავად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად. ჟურნალისტური ეთიკა უნდა მოითხოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლების გამოყენების საფუძველზე, ჟურნალისტმა არ გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, რომლებიც გამოიწვევს ძალადობასა და სიძულვილს საზოგადოებაში (იხ. *Lingens v. Austria*; *Cumpana and mazare v. Romania*; *Editions Plon v. France*; *Observer and Guardian v. U.K.*; *Radio france v. France*; *Bladet tromso and Stensaa v. Norway*; *Surek v. Turkey*; *Von Hannover v. Germany*; *Thoma v. Luxembourg*);

24.15. ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პატიოსნად, მან უნდა დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა, როდესაც, განსაკუთრებით, კერძო პირის რეპუტაციაზე თავდასხმა ხდება. ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც კერძო პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ადანაშაულებს ისე, რომ არ აძლევს მას საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის საშუალებას, ჟურნალისტური ეთიკის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს, რომელიც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს გავრცელებული ინფორმაციის სავარაუდო საზოგადოებრივი ინტერესების საგნად ცნობის გამო (იხ. *Flux v. Moldova*);

24.16. განსახილველ შემთხვევაში, სტატიის გამოქვეყნება განხორციელდა მოსარჩელის აზრისა და მისი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, მას არ მიეცა შესაძლებლობა, იმავე სტატიაში დაეფიქსირებინა პოზიცია მის მიმართ ცალმხრივად დაფიქსირებული, არსებითად მცდარი ფაქტების შესახებ. ჟურნალისტმა არათუ არ გამოიკვლია რესპონდენტის მიერ მოყვანილი ფაქტების უტყუარობა, არამედ მოსარჩელეს არ მისცა საშუალება, დაეფიქსირებინა მის მიმართ გაჟღერებულ ცილისმწამებლურ ფაქტებზე პოზიცია;

24.17. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ არასწორად დაადგინა და სააპელაციო სასამართლომაც უსაფუძვლოდ გაიზიარა ის გარემოება, რომ სტატიაში მოყვანილი იყო ნაწილობრივ აზრი და ნაწილობრივ ფაქტები, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გაკეთებულ განმარტებასთან, რომ კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ვიწრო ფარგლები თავის რეალურ შინა-

არსს მაშინ იძენს, როდესაც საქმე ეხება ძალიან მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას, ან უკიდურესად სერიოზულ და ამავე დროს სავსებით უსაფუძვლო ბრალდებას;

24.18. საქმეში – *McVICAR v. THE UNITED KINGDOM* ჟურნალისტმა უკიდურესად მძიმე ბრალი წაუყენა ცნობილ სპორტსმენს – ამხილა რა იგი აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ დიფამაციურ განცხადებას რეალურად შეეძლო მძიმე შედეგები მოეტანა ამ სპორტსმენისათვის და, შესაბამისად, აქ უკვე ამ განცხადების ნამდვილობისა და დასაბუთების მოთხოვნა ჟურნალისტის მიმართ გამართლებული იყო;

24.19. საქმე – *ALVES COSTA v. PORTUGAL* ეხებოდა პრესაში გამოქვეყნებულ ღია წერილს, რომლითაც ავტორი ბრალს სდებდა ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების დირექტორს სამედიცინო ცენტრში დაბალი დონის მეურნალობის გამო, საკუთარი (იგულისხმება სტატიის ავტორი) ქალიშვილის გარდაცვალებაში. აქ ევროპის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ დიფამაციის ავტორი ვალდებული იყო ასეთი მძიმე ბრალდების (აღამიანის სიკვდილი) ფაქტობრივი საფუძველი წარედგინა, რის გამოც ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ მსგავსი სახის განმარტებები ვერ იქნებოდა დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლებით;

24.20. აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „ჯიშ-კარიანი საქართველოს წინააღმდეგ“ მიუთითებს: დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს მისი დამადასტურებელი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიიჩნევა გადაჭარბებულად;

24.21. მოპასუხეებმა საქმის მთავარ სხდომაზე დაადასტურეს, რომ სტატიაში მოყვანილი იყო ფაქტები და არა აზრები, თუმცა, მათი განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელე ვერ ადასტურებდა მოყვანილ ფაქტებში მისი ბრალის არქონას, აღნიშნული წარმოადგენდა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს;

24.22. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ცილისწამება, მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება, არის თუ არა ზიანის მიმყენებელი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოების ანალიზითა და ურთიერთმჯერებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევაში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად მოკლებულია ეკონომიკურ შინა-

არსს და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია (იხ. სუს 03.04.2012წ. განჩინება საქმეზე №ას-1477-1489-2011წ.);

24.23. მოსარჩელე არის ექიმი, რომლის საქმიანი რეპუტაცია პირდაპირ დაკავშირებულია მისი საქმიანობის წარმატებულობასა და პაციენტების მისდამი ნდობასთან, ხოლო მსგავსი სახის ცილისმწამებლური ფაქტები, რომელიც ექიმს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ბრალს სდებს პაციენტის სიკვდილში, არასწორ მკურნალობასა და არაპროფესიონალიზმში, ბუნებრივია, ექიმის, როგორც ინდივიდის უფლებების არსებითი შელახვის, მისი საქმიანი რეპუტაციის დაკნინებისა და მომავალი პაციენტებისათვის ეჭვების გაჩენის მცდელობაა.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 15 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა.

28. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სადავო სტატიაში მითითებული ინფორმაცია მოსარჩელის შესახებ წარმოადგენს თუ არა ამ უკანასკნელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც პირველი და მეორე მოპასუხეების მიმართ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, შეიცავს თუ არა სადავო სტატია მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტების შემცველ, პირისათვის ზიანის მიმყენებელ, მისთვის სახელის გამტებ განცხადებებს. შესაბამისად, მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოსაყენებული საკანონმდებლო ნორმები

29. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და

გავრცელოს ინფორმაცია. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, სხვათა უფლებების დასაცავად.

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

31. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „კანონი“) სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.

32. სიტყვისა და გამოხატვის უფლების დაცვის პარალელურად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, ისევე როგორც, სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლი, იცავს პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას შელახვისაგან. კანონის მე-13 მუხლი კრძალავს ნებისმიერი [კერძო და საჯარო, ფიზიკური და იურიდიული] პირის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელებას. ცილისწამებისათვის (რომელიც განიმარტება, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“), გათვალისწინებულია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია მისი მე-5, მე-15 და მე-16 მუხლებით.

33. კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძო პირის მიმართ ცილისწამებისათვის მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღება.

34. კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის გან-

ცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებულის ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

35. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, აზრისა და, მეორე მხრივ, ფაქტის შემცველ განცხადებას და განმარტავს, რომ აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

36. კანონის 4.1 მუხლის შესაბამისად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და მისი გამოხატვის ან გავრცელების გამო პირს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

37. კანონის 17.1 მუხლის შესაბამისად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადანყვეტილების შესახებ.

38. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.3 მუხლის შესაბამისად, თუ პირის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით

39. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში – „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.

40. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ ის შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნესებს, პირობებს, შეზღუდვებსა და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ პუნქტში მითითებული კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომელთაგან ერთ-ერთია სხვა პირთა რეპუტაციის დაცვა.

41. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებელობის“ ძირითადი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

(შემდგომში – „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) დაადგინა მრავალ საქმეში. ამ გადაწყვეტილებებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამოგნებელი ან შემაშფოთებელია. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (Handyside v. the United Kingdom (7 December 1976, Series A no. 24), Stoll v. Switzerland ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007 V); Animal Defenders International v. the United Kingdom [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; Morice v. France [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).

42. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს (Ärzttekammer Fur Wien And Dorner v. Austria, no. 8895/10, § 62, 16 February 2016).

43. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. აღნიშნული კრიტერიუმებია: (ა) ის ნვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის – აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ჟურნალისტიკებთან მიმართებაში ნათქვამი აქვს, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და, ჟურნალისტური ეთიკის წესების შესაბა-

მისად, საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო (სანდო) და ზუსტ ინფორმაციას (იხ. *Axel Springer AG v. Germany* [GC], no. 39954/08, § 93, ECHR 2012).

44. განსაკუთრებით პრობლემურია პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ განცხადება, რომელიც პირის რეპუტაციას ეხება, პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (*Süreç v. Turkey* (no. 1) [GC], no. 26682/95, § 61, ECHR 1999-IV; *Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France* [GC], nos. 21279/02 and 36448/02, § 46, ECHR 2007-IV; and *Axel Springer AG v. Germany* [GC], no. 39954/08, § 90, ECHR 2012).

45. საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას გაკეთებულ განცხადებაში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (*E.K. v. Turkey*, no. 28496/95, §§ 79-80, 7 February 2002) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (*Thoma v. Luxembourg*, no. 38432/97, § 57, ECHR 2001-III) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (*Paturol v. France*, no. 54968/00, § 42, 22 December 2005).

46. თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე „ლიგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Lingens v. Austria*, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Oberschlick v. Austria* (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204) სტრასბურგის სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცებულების საგანი იყოს. ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეენიშნა აღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (*De Haes and Gijssels v. Belgium*, 24 February 1997, §42, Reports-I).

47. იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (*Brasilier v. France*, no. 71343/01, 11 April 2006, § 37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებითი მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (*Paturol v. France*, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

ზემოაღნიშნული ნორმებისა და პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის მიმართ სტატიის წვლილი საზოგადოებრივ დებატებში

48. ზემოაღნიშნული პრინციპებიდან, ნორმებიდან და განმარტებ-

ბიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უპირველესად განიხილავს წვლილს, რომელიც სადავო სტატიამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხს, როლსა და ფუნქციას, ვისაც სადავო სტატიაში მოცემული განცხადებები ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნებას, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებებში აისახა (იხ. წინამდებარე განჩინების 43-ე პუნქტი).

49. ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მტკიცების საგანში შემავალ გარემოებათა წრის განსაზღვრის სისწორის შესამოწმებლადაც, რამდენადაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს კერძო პირისა და საჯარო პირის სტატუსს და ამ პირთა მიმართ ცილისწამებისას მოსარჩელის მტკიცების ფარგლებს (იხ. წინამდებარე განჩინების 33-ე და 34-ე პუნქტები).

50. სადავო სტატიის სათაურია: „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“. სტატია იწყება ზოგადი ცნობით, რომ არცთუ ისე იშვიათად პაციენტები და მათი ოჯახის წევრები ექიმებს დაუდევრობაში, არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობაში ადანაშაულებენ; ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო არაერთ ასეთ საჩივარს განიხილავს და არაერთი ექიმი დაუსჯია ჩადენილი გადაცდომისთვის. ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ხშირად ექიმებს რამდენიმე თვით უჩერებენ უფლებამოსილებას და შემდეგ ისინი სამედიცინო საქმიანობას აგრძელებენ, ეს კი დაზარალებული ოჯახების პროტესტს იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პაციენტი გარდაიცვალა.

51. აღნიშნულის შემდეგ სტატია იყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ჟურნალისტი პირველი მოპასუხის დედის ავადმყოფობის, მკურნალობისა და გარდაცვალების კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს. ამ ნაწილში ჟურნალისტის რესპონდენტია პირველი მოპასუხე. სტატიის მეორე ნაწილში განხილულია ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საქმიანობა სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ შეტანილი საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. ამ ნაწილში ჟურნალისტის რესპონდენტია რეგულირების სააგენტოს დირექტორი, რომელიც ჟურნალისტის კითხვებზე პასუხის ფორმით დეტალურად მიმოიხილავს სააგენტოს საქმიანობას ექიმებისა და ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ განხორციელებული მომსახურების შემოწმებასთან და მათ მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ღონისძიებებთან დაკავშირებით, სააგენტოში შესული საჩივრების რაოდენობას და მათი განხილვის მდგომარეობას, ექიმების მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის სახე-

ებსა და ვადებს. ინტერვიუს დასასრულს ჟურნალისტი სააგენტოს დირექტორს კონკრეტულად პირველი მოსარჩელის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვის მდგომარეობის თაობაზე ეკითხება, რის შესახებაც დირექტორისგან იღებს კონკრეტულ ცნობებს.

52. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სტიკეისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი ყურადღება განიმარტება, როგორც საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უზრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან; ხოლო სტრასბურგის სასამართლოს გადწყვეტილებებში დაცული განმარტებების თანახმად, „საზოგადოებრივი ინტერესი“ გულისხმობს საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე იმ მოცულობით, რაც საკმარისია მათ მიმართ ლეგიტიმური ინტერესის გასაჩენად; საკითხებს, რომლებიც იპყრობს საზოგადოების ყურადღებას ან აღელვებს საზოგადოებას მნიშვნელოვანი დოზით; განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მოქალაქეთა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის კეთილდღეობას (იხ. *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], §171; *Dupuis and Others v. France*, §42; *July and SARL libération v. France*, §66; *White v. Sweden*, par. §29, *Egeland and Hanseid v. Norway*, §58; *Leempoel & S.A. ED. Ciné Revue v. Belgium*, §72, *Eerikäinen and Others v. Finland*, §59; *Morice v. France* [GC], no 29369/10, §150-153, 23 April 2015).

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სტატია, რომელიც საექიმო მომსახურების ნაკლოვანებებსა და ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას აღწერს, საზოგადოების არსებობისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს ეხება, ხოლო იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაცია სადავო სტატიაში აისახა, უშუალოდ ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უკავშირდება. შესაბამისად, სადავო სტატიას წვლილი შეაქვს საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხებზე მიმდინარე დებატების პროცესში და იგი გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკეთებულ განცხადებებში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი და გამოთქმების სერიოზულობაც კი არ ართმევს განმცხადებელს უფლებას, დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (იხ. წინამდებარე განჩინების 44-ე და 45-ე პუნქტები).

მოსარჩელის სტატუსი

54. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო და საჯარო პირების მიმართ გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლები განსხვავებულია და საჯარო პირების თმენის ვალდებულება ბევრად მაღალი, მნიშვნელოვანია, თითოეულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად განსაზღვროს განცხადების ადრესატის სტატუსი.

55. „სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო პირი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. იმავე კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო პირი არის „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; აგრეთვე, პირი, რომლის გადანაცვები ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; ან პირი რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

56. ზემოაღნიშნულ განმარტებათა შესაბამისად, პირი, რომელიც ზოგადად საჯარო პირს არ წარმოადგენს, შესაძლებელია „სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის ასეთად იქცეს, თუ მისკენ მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება (იხ. Verlagsgruppe News GmbH v. Austria (no.2), §36).

57. წინამდებარე საქმეში კასატორის პირველი პრეტენზია ეხება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მოსარჩელის, როგორც საჯარო პირის სტატუსი; მოსარჩელე არის ექიმი-კარდიოლოგი და არითმოლოგი; შესაძლოა, ცალკეული ექიმის მოქმედებები იყოს უშუალოდ პაციენტისათვის მნიშვნელოვანი და შეუქცევადი, თუმცა მისი მოქმედებები, მკურნალობის მიზნით განხორციელებული ქმედებები, მიმართული არ არის საზოგადოების ფართო მასების აზრის ან/და ქმედების ფორმირებისაკენ; აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია იგი საჯარო პირად.

58. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ ექიმის პროფესიის ქონა ადამიანის თავისთავად საჯარო პირის სტატუსს არ ანიჭებს; ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს, იმყოფება თუ არა ექიმი ისეთ ვითარებაში, როდესაც მისი გადანაცვები ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; ან არის თუ არა იგი ის პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტულ მომენტში მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღე-

ბა.

59. წინამდებარე საქმეში არ დასტურდება მოსარჩელე ექიმთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა. ამიტომ საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ იგი კერძო პირის სტატუსის მატარებელია, და აქედან გამომდინარე, მისი მტკიცების ტვირთიც მხოლოდ იმის მტკიცებით შემოიფარგლება, რომ მოპასუხეების განცხადება არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს მის შესახებ და ამ განცხადებით ზიანი მიადგა (იხ. წინამდებარე განჩინების 33-ე პუნქტი).

მოპასუხეთა სტატუსი

60. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ დავის განხილვისას საქმის სწორად გადაწყვეტისათვის გამოხატვის ადრესატის სტატუსის დადგენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენასაც, ვინ არის სადავო განცხადების ავტორი, გამომდინარე იქიდან, რომ გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. აღნიშნული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა კი განსხვავებულია სხვადასხვა პირებთან, მათ შორის სხვადასხვა პროფესიისა და თანამდებობის პირებთან (მაგ., ჟურნალისტი, ადვოკატი, მოსამართლე, პარლამენტის წევრი და ა.შ.) მიმართებაში.

61. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ექიმი, ერთი მხრივ, უჩივის კერძო პირს – პაციენტის შვილს, რომელმაც ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში სადავო განცხადებები გააკეთა, ხოლო, მეორე მხრივ, ჟურნალისტს (მედია საშუალებას), რომელმაც აღნიშნული განცხადებების შემცველი სტატია გამოაქვეყნა.

62. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თითოეულ მოპასუხესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კასატორის პრეტენზიებს დამოუკიდებლად განიხილავს.

პირველი მოპასუხის (პაციენტის შვილის) პასუხისმგებლობა

63. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ პირველი მოპასუხე არის კერძო პირი, გარდაცვლილი პაციენტის შვილი, რომელმაც მოსარჩელე ექიმის შესახებ განცხადებები ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. დადგენილია, რომ სადავო განცხადებების გაკეთებამდე მან მოსარჩელის წინააღმდეგ საჩივრით მიმართა რეგულირების სააგენტოს.

64. სადავო სტატიაში მოცემული, პირველი მოპასუხის განცხადებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ ცილისწამებად არ მიიჩნია და რაც გასაჩივრებული აქვს კასატორს, შემდეგი შინაარსისაა: „ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებას არ გამოიწვევდა, არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვე-

ნებები ეწერა რაც დედას სჭირდა“; „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა“; „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაილუპოს მათ ხელში?!“.

65. კასატორის მითითებით, აღნიშნული განცხადებების შინაარსის კვლევისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და არასწორად განმარტა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არასწორად დაადგინა, რომ პირველი მოპასუხის ეს განცხადებები, რომლითაც იგი ექიმს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ბრალს სდებს პაციენტის სიკვდილში, არასწორ მკურნელობასა და არაპროფესიონალიზმში, შეიცავდა აზრებს და არა ცილისმწამებლურ ფაქტებს. კასატორის მითითებით, მოპასუხებმა მთავარ სხდომაზე დაადასტურეს, რომ სტატიაში მოყვანილი იყო ფაქტები და არა აზრები. ამასთან, მათთვის ცნობილი იყო, რომ სტატიაში მტკიცებით ფორმაში მოყვანილ გარემოებებზე მიმდინარეობდა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოკლევადი და არ იყო დადგენილი ექიმის გადაცდომა. შესაბამისად, პირველი მოპასუხის განცხადებები ექიმის, როგორც ინდივიდის, უფლებების არსებითი შელახვის, მისი საქმიანი რეპუტაციის დაკნინებისა და მომავალი პაციენტებისათვის ეჭვების გაჩენის მცდელობა იყო.

66. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ცილისწამების არსებობის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს სადავო სტატიაში დაცული, გასაჩივრებული გამონათქვამები აზრის, შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადებები.

67. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. იმავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

68. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებუ-

ლია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და ნამდვილობასთან მისი შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი; სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

69. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი; სუსგ №ას-1477-1489-2011, 03 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი; სუსგ №ას-179-172-2012, 01 ოქტომბერი, 2014 წელი).

70. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, აზრებისა და ფაქტების ერთმანეთსაგან განცალკევება რთულია, რაც განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ. ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ №ას-1271-2018, 07 თებერვალი, 2022 წელი; №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი; სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განცხადებების შეფასება უნდა მოხდეს მთლიანად სადავო სტატიის იმ ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, სადაც აღნიშ-

ნული განცხადებებია მოცემული, რამდენადაც სადავო სტატია შედგება როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტების შემცველი განცხადებები-საგან და ისინი მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

72. საკასაციო სასამართლო უპირველესად განიხილავს განცხადებ-ბას – „ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენე-ბას არ გამოიწვევდა, არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვენებები ეწერა, რაც დედას სჭირდა“.

73. სადავო სტატიის ნაწილი, სადაც პირველი მოპასუხის აღნიშნუ-ლი განცხადებაა დაცული, სრულად ასე გამოიყურება:

„[პაციენტის შვილი] დედის, [პაციენტის] სიკვდილში ექიმებს ადა-ნაშაულებს და უკვე მეექვსე თვეა, მათ დასჯას უშედეგოდ ელოდება.

– 65 წლის დედას წნევის გარდა არაფერი აწუხებდა. გარდაცვალე-ბამდე ერთი თვით ადრე თავბრუ დაეხვა, სამსახურში კიბეზე წაბორ-ძიკდა და ეს გადაღლილობას დავაბრალეთ, თუმცა მაშინვე მივედით რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმ [მოსარჩელესთან].

რასაც დედა ადრეც სვამდა – წნევის მარეგულირებელს და გულის მკვებავს – ისინი მოუხსნა და დაუნიშნა ძვირადღირებული მედიკამენ-ტები. ვიყიდეთ და დაიწყო მკურნალობა, მაგრამ სამჯერ გული წაუვი-და. რამდენჯერმე დავურეკე ექიმს, რომ დედა წამლების მიღების შემ-დეგ ცუდად იყო და ხომ არ აჯობებდა შეენწყვიტა მკურნალობა. გვით-ხრა, არავითარ შემთხვევაში, გააგრძელებს მკურნალობას. ასეც მოვი-ქეცით, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო ცუდად გრძნობდა თავს. ექი-მი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებას არ გა-მოიწვევდა, არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვე-ნებები ეწერა, რაც დედას სჭირდა.

მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ დედას სამსახურში გული წაუვიდა. „სასწრაფომ“ ისევ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიგ-ვიყვანა და ისევ ექიმ [მოსარჩელის] ხელში აღმოვჩნდით. განსაკუთრე-ბული არაფერი, გვითხრეს. რენიმაციის იწვა და მხოლოდ გადას-ხმებს უკეთებდნენ.

– მედიკამენტები მოუხსნეს?

– მოუხსნეს...”

74. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ პირველი მოპასუხის სადავო განცხადება, ისევე როგორც სტატიის ამ ამონარიდში მოცემული სხვა ინფორმაცია რესპონდენტის დედის ჯან-მრთელობის მდგომარეობის, მოსარჩელე ექიმთან მისი პირველი ვიზი-ტისა და მედიკამენტური მკურნალობის დაწყების, აგრეთვე, ექიმთან პაციენტის მდგომარეობაზე სატელეფონო კომუნიკაციის შინაარსის შესახებ კონკრეტულ ფაქტებზე უთითებს.

75. რაც შეეხება სადავო განცხადების სარწმუნოობას, საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელობა აქვს მის განხილვას სტატიის ამ ამონარიდში გადმოცემული სხვა ფაქტების კონტექსტში. სტატიის ამ ნაწილში გადმოცემული სხვა ფაქტების შეფასებისას კი საყურადღებოა, რომ მათი ნამდვილობა, გარდა სადავო განცხადებაში გადმოცემული კონკრეტული ფაქტისა, მოსარჩელის მხრიდან სარჩელით სადავოდ არ გამხდარა. შესაბამისად, უდავოდ დადგენილად მიიჩნევა ფაქტები, რომელთა თანახმად: პირველი მოპასუხის 65 წლის დედას წნევა აწუხებდა, მას თავბრუ დაეხვა, სამსახურში კიბეზე წაბორძიკდა, მივიდა მოსარჩელე ექიმთან. ექიმმა დაუნიშნა მედიკამენტები. პაციენტმა დაიწყო მკურნალობა, მაგრამ სამჯერ გული წაუვიდა. პაციენტის შვილმა დაურეკა მოსარჩელე ექიმს და შეატყობინა, რომ დედა წამლების მიღების შემდეგ ცუდად იყო. ექიმის რჩევით, მათ გააგრძელეს დანიშნული წამლებით მკურნალობა. მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ პაციენტს სამსახურში გული წაუვიდა. „სასწრაფომ“ ისევ საავადმყოფოში გადაიყვანა და ისევ მოსარჩელე ექიმის მკურნალობის ქვეშ აღმოჩნდა. პაციენტი რეანიმაციაში დააწვინეს და მედიკამენტები მოუხსნეს.

76. აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელ და შემავსებელ ინფორმაციას შეიცავს, აგრეთვე, პირველი მოპასუხის მიერ შესაგებებლზე მტკიცებულების სახით დართული დოკუმენტი – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 18 დეკემბრის დასკვნა და მისი დანართის სახით წარმოდგენილი რეცენზია, რომელთა თანახმად, სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ გამოვლინდა შემდეგი ფაქტები:

„[პირველი მოპასუხის დედა] 29.05.19 შემოვიდა კლინიკაში დიაგნოზით: წინაგულ პარკუჭოვანი ბლოკადა სრული, არასტაბილური სტენოკარდია (ტროპონინ პოზიტიური), სინკოპე, არტერიული ჰიპერტენზია, წინაგულების ფიბრილაცია-თრთოლვა (პაროქსიზმულ-რეკურენტული ფორმა)...

ანამნეზი: მკურნალობდა რიტმოლოგთან დიაგნოზით წინაგულების ფიბრილაცია – თრთოლვა (პაროქსიზმულ – რეკურენტული ფორმა), დანიშნული იყო კორდარონი, ბეტალოკ-ზოკი, ელიქუზი. ანამნეზში – მოციმციმე არითმიის ეპიზოდი. შემოსვლისას რიტმი სინუსური, სრული ავ ბლოკადა, ბრადიკარდია 33.

კლინიკაში შემოსვლის მიზეზი გახდა სინკოპე, რაც გამოწვეული იყო სრული ავ ბლოკადით და ბრადიკარდიით. 1 დღის განმავლობაში მოხვეული იყო ხელოვნური რიტმი. შემდეგ ატრიოვერტიკულური ბლოკადა მოიხსნა, აღდგა სინუსური რიტმი 75. ამის შემდეგ 2 დღე იმყოფებოდა დაკვირვებაზე.

ჩაითვალა, რომ ბლოკადის მიზეზი იყო მედიკამენტები (კ-ის და ბ.-

ზ-ის კომბინაცია)...“

77. ამრიგად, დასკვნითა და სტატიაში გადმოცემული ინფორმაციით დადგენილი ფაქტებია, რომ პაციენტს მოსარჩელე ექიმთან პირველი ვიზიტის შემდეგ დანიშნა წამლები, მის შვილს კომუნიკაცია ჰქონდა მოსარჩელე ექიმთან, ამ კომუნიკაციის შედეგად პაციენტი საავადმყოფოში მოხვედრამდე განაგრძობდა წამლების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად გრძნობდა თავს. საბოლოოდ იგი კვლავ საავადმყოფოში მოხვდა. საავადმყოფოში მოხვედრის მიზეზი იყო სინკოპე, რაც გამოწვეული იყო სრული ავ ბლოკადით და ბრადიკარდიით, რომლის მიზეზიც გახდა მედიკამენტები.

78. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ პირველი მოპასუხის სადავო გამონათქვამი – „ექიმი ირწმუნებოდა, რომ მისი დანიშნული წამლები უკუჩვენებას არ გამოიწვევდა“ – მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადებაა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როცა კასატორი არ უარყოფს, რომ მან პაციენტს დანიშნული მედიკამენტების მიღების გაგრძელება ურჩია [... რამდენჯერმე დავურეკე ექიმს, რომ დედა წამლების მიღების შემდეგ ცუდად იყო და ხომ არ აჯობებდა შეენწყვიტა მკურნალობა. გვითხრა, არავითარ შემთხვევაში, გააგრძელეთ მკურნალობაო...“] და არ უთითებს, რომ პაციენტს წამლების მიღების შეწყვეტა მოსთხოვა, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ექიმს პაციენტის ჩივილები მიღებული წამლებით გამოწვეულ უკუჩვენებად არ მიაჩნდა. სხვა შემთხვევაში აუხსნელია, რატომ არ მისცა ექიმმა პაციენტს სხვა რჩევა.

79. რაც შეეხება სადავო გამონათქვამის მეორე ნაწილს – „არადა ყველა წამალს ინსტრუქციაში სწორედ ის უკუჩვენებები ეწერა, რაც დედას სჭირდა“ – საერთოდ ვერ იქნება მიჩნეული ისეთი ფაქტის შემცველ განცხადებად, რომელიც უშუალოდ მოსარჩელე ექიმს ეხება, რადგან შეიცავს ინფორმაციას მედიკამენტების მიღების შემდეგ პაციენტისათვის იმ უკუჩვენებების განვითარების თაობაზე, რომლებიც წამლების ინსტრუქციაში მითითებულს ემთხვეოდა. მოსარჩელე ექიმს არსად მიუთითებია, რომ წამლებმა, რომლებიც მან პაციენტს გამოუწერა, არ შეიძლება უკუჩვენება (მათ შორის, ავ ბლოკადა, ბრადიკარდია ან გულის ნასვლა, ე.წ. „სინკოპე“) გამოიწვიოს ან კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში ასეთი უკუჩვენება რაიმე მიზეზით გამორიცხული იყო.

80. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული მტკიცება, რომ გასაჩივრებული პირველი განცხადება ცილისწამებას წარმოადგენს.

81. საკასაციო სასამართლო შემდეგ განიხილავს განცხადებებს – „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა; დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“.

82. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სადავოდ გამხდარ ფრაზას – „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწირა“ – წინ უძღვის მოპასუხის მიერ მისი უახლოესი ადამიანის გარდაცვალებამდე სიცოცხლის უკანასკნელი მომენტისა და დედის გარდაცვალების დეტალების შესახებ ჟურნალისტისათვის ინფორმაციის მიწოდება, რასაც პირველი მოპასუხე აფასებს სადავოდ გამხდარი გამონათქვამით. იგი აფასებს მოპასუხის დედის მკურნალი ექიმების საქმიანობის აკარგვანობას – პროფესიონალიზმსა და მკურნალობის წარუმატებელ შედეგს. რაც შეეხება ფრაზას – „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“ – წინ უსწრებს მოპასუხის მიერ პაციენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საექიმო საქმიანობის რეგულირების ორგანოში საჩივრის შეტანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მასზე პასუხის არარსებობის პირობებში, მოპასუხე დედის გარდაცვალების გამო ტკივილიდან გამომდინარე მკითხველს – საზოგადოებას მიმართავს რიტორიკული შეკითხვით და გამოხატავს გულისწყრომას დედის გარდაცვალებისადმი.

83. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას და მიიჩნია, რომ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები წარმოადგენს აზრს/ დამოკიდებულებას/ შეხედულებას, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არა დადასტურებას ან უარყოფას დაქვემდებარებულ ფაქტებს.

84. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ შეფასებებს და მიუთითებს, რომ როგორც სტატიის გამოქვეყნების, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა მოსარჩელის რაიმე სახის ბრალი პაციენტის გარდაცვალებაში. მოსარჩელემ წარადგინა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ პირველი მოპასუხის მხრიდან მისი მშობლის მკვლელობაში მოსარჩელის დადანაშაულება და ამ მიმართულებით მის მიერ ფაქტის სახით მოყვანილი ინფორმაცია ცილისმამებლური განცხადება იყო და იგი აზრის გამოხატვის პრივილეგიით ვერ იქნება დაცული.

85. სადავო სტატიის ნაწილი, სადაც პირველი მოპასუხის აღნიშნული განცხადებებია მოცემული, სრულად ასე გამოიყურება:

„...მეორე დღეს [პაციენტი] ჩვეულებრივად იყო. მარკეტში ნაყიდი მანონი ვაჭამე – ახლა მეუბნებიან, თითქოს მანვნიტ მოიწამლა და ამიტომ გარდაიცვალა! მას შემდეგ, რაც კორონოგრაფია გაუკეთეს, იმის მიუხედავად, რომ საღამოს მდგომარეობა დაუმძიმდა, მაინც პალატა-

ში გადაიყვანეს. იქაური პალატა და პირობები ცალკე თემაა – 80-იანი წლების გადმონაშთია! დედა ვერ სუნთქავდა, კიდევ უფრო ცუდად შეიქმნა და რენიმატიაში გადაიყვანეს, თან გამომიცხადეს, მანონმა მონამლო (არადა ქილა კიდევ ერთხელ გადავამონმე და ვადაგასული არ იყო). თანაც წინა დღეს ნაჭამმა მანონმა მეორე სალამოს მონამლა?

იმ ღამეს რენიმატიაში დატოვეს. მეორე დილით დედამ 7 საათზე დამირეკა, ახლა ერთ გადასხმას გამიკეთებენ და 9 საათზე მომაკითხეთ, ექიმი სახლში მიშვებსო. ჩემი აზრით, დედას შეტევა იყო კორონოგრაფიით გამოწვეული, დაითრომბა სისხლი და ამან გამოიწვია ლეზინება. ხელი ერთი საათი ჰქონდა გადახვეული, არადა მთელი დღე უნდა ჰქონოდა! ამხელა პროცედურის შემდეგ თავისი ფეხით ატარეს! ეტლი ვერ ვნახე რომ დამესვა და პალატამდე მიმეყვანა!

სანამ წავიყვანდი [მოსარჩელე ექიმს] ვკითხე, ხომ არ ჯობია კლინიკაში დავტოვოთ-მეთქი. არაო, მითხრა ჩემი პაციენტი აღარ არის, კორონოგრაფიის დასკვნით ყველაფერი წესრიგშია, 10 დღეში მომიყვანე და 90 წლამდე იცოცხლებს პირობას გაძლევო.

დასუსტებული ძლივს ჩამოვიყვანე ეზოში, ორჯერ გაჩერდა გზაში, მაგრამ იძულებული ვიყავი წამომეყვანა, რადგან არ დატოვეს. ჩავსვი მანქანაში და 10 წუთში სახლში ვიყავით. როგორც კი შევედით, დედამ ძალიან ცუდად ვარ დამაწვინეო. დავაწვინე და ხელებში ჩამაკვდა...

დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეეწინაა!

ამ ტრაგედიის შემდეგ რესპუბლიკურში მისულს პალატის ექიმი [მეორე ექიმი] დამემალა. განყოფილების გამგე მ. ქ-ვა დამპირდა, რომ მეორე დღესვე დანიშნავდა თათბირს და მოიწვევდა სპეციალისტებს, მაგრამ... ეს ექიმები დღემდე მუშაობენ. [მეორე ექიმი] იმ დღეებში დასასვენებლად საზღვარგარეთ წავიდა. არც ადარდებს მისი უცოდინრობით პაციენტი რომ გარდაიცვალა. ჯანდაცვის სამინისტროში შევიტანე საჩივარი, მაგრამ პასუხი არ არის...

– რეგულირების სამსახურში როდის შეიტანეთ საჩივარი?

– დედა 31 მაისს გარდაიცვალა. საჩივარი 05 ივნისს შევიტანე. ყველა დოკუმენტი დაფურთე, მაგრამ პასუხს დღემდე ველოდები. რომ ვრეკავ მეუბნებიან, მოკვლევა მიდისო, ეს ექიმები კი მუშაობენ. დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!...“

86. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო განცხადებების შეფასებისათვის მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სადავო სტატიის პირველ ამონარიდში მოცემულ ფაქტებს (იხ. წინამდებარე განჩინების 73-ე პუნქტი), რომლებიც ჰოსპიტალიზაციამდე პირველი მოპასუხის დედის მდგომარეობას ეხება და რომლებსაც სასამართლო განჩინების ამ ნაწილში აღარ გაიმეორებს.

87. სადავო სტატიის ზემოაღნიშნული ამონარიდისა და მთლიანად სტატიის შინაარსის ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ პირველი მოპასუხის მეორე და მესამე განცხადება რესპონდენტის აზრის, შეხედულების გამოხატვაა და არა დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტის შემცველი განცხადებები. კერძოდ, განცხადება – „დედა ექიმების არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას შეენირა“, როგორც სტატიის სხვა ნაწილებთან ერთობლიობაში, ისე იზოლირებულად შეფასებისას, ცალსახად პირველი მოპასუხის სუბიექტური მოსაზრების გამომხატველია. იგი აზრის გამოხატვაა, რადგან შეიცავს პაციენტის შვილის მხრიდან პაციენტის მკურნალი ექიმების (მოსარჩელე ექიმის და მეორე ექიმის) ქმედებების სუბიექტურ შეფასებას, განცხადების ავტორის პირად მოსაზრებას, მის სუბიექტურ აღქმას. პაციენტის შვილის შეფასებით, ექიმებმა გულგრილობა გამოიჩინეს და არაპროფესიონალები არიან. შეფასების სიმართლის დამკვიცება კი არ შეიძლება ვინმეს დაევალოს, რადგან ეს შეენიანააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (იხ. წინამდებარე განჩინების 46-ე პუნქტი).

88. რაც შეეხება გამონათქვამს – „დედა მომიკლეს და ხომ შეიძლება კიდევ ვინმე დაიღუპოს მათ ხელში?!“, მასში სიტყვა „მომიკლეს“, იმის გამო, რომ ემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულის აღმნიშვნელ ქმედებას, არ შეიძლება ყოველთვის მიჩნეულ იქნეს ფაქტის შემცველ განცხადებად შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ადვოკატის მიერ სხვა საადვოკატო კომპანიის მიმართ საჯარო განცხადებაში გამოყენებულ გამონათქვამს „გამოსძალა“, არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ აღნიშნული გამონათქვამი აუცილებლად ყოველთვის უნდა შეფასდეს, როგორც ცილისწამება, რადგან იგი დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვაა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, „არგუმენტი, რომ რომელიმე სიტყვა, რომელიც სხვა კონტექსტში შეიძლება დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვა იყოს და პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენდეს, ყოველგვარი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ფაქტის შემცველ განცხადებად [და შესაბამისად, ცილისწამებად] და არა შეფასებით მსჯელობად, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული“ (იხ. სუსგ №ას-625-593-2014, 20 მაისი, 2016 წელი). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს განცხადების მთლიან შინაარსს და კონტექსტს. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული სიტყვა არის პირველი მოპასუხის მიერ იმ ფაქტების შეჯამება, იმ ფაქტებიდან გამოტანილი დასკვნა, რომლე-

ბიც ასახულია სტატიაში და წინ უძღვის ამ გამონათქვამს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ იგი, როგორც ექიმების ქმედების მოპასუხისეული შეფასება, აბსოლუტური პრივილეგიით დაცულ სფეროში შედის.

89. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა კასატორის პრეტენზიას სადავო განცხადებების სიმძიმის შესახებ, საჭიროდ მიიჩნევს დამატებით გამოიკვლიოს საკითხი, ჰქონდა თუ არა რესპონდენტს აღნიშნული შეხედულებებისთვის საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი.

90. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელით შედავებული არ არის შემდეგი ფაქტების არსებობა: 65 წლის პაციენტს წნევა ანუხებდა. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე თავბრუ დაეხვა, სამსახურში კიბეზე წაბორძიკდა. იგი მივიდა საავადმყოფოში მოსარჩელე ექიმთან. პაციენტი ადრეც სვამდა წამლებს – წნევის მარეგულირებელს და გულის მკვებავს. მოსარჩელე ექიმმა მას დაუნიშნა ახალი მედიკამენტები. პაციენტმა დაიწყო მკურნალობა, მაგრამ სამჯერ გული წაუვიდა. პაციენტის შვილმა/პირველმა მოპასუხემ რამდენჯერმე დაურეკა ექიმს, რომ დედა წამლების მიღების შემდეგ ცუდად იყო და ხომ არ აჯობებდა შეეწყვიტა მკურნალობა. ექიმმა ურჩია მკურნალობის გაგრძელება. პაციენტი კვლავ ცუდად გრძნობდა თავს. მკურნალობის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ მას სამსახურში გული წაუვიდა. „სასწრაფომ“ იგი იმავე საავადმყოფოში მიიყვანა მოსარჩელე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. პაციენტს მეორე დღეს გაუკეთეს კორონოგრაფია. გადაიყვანეს პალატაში, შემდეგ რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც ერთი ღამე გაატარა. მეორე დღით იგი სახლში განერეს, მიუდავად იმისა, რომ ცუდად გრძნობდა თავს [„დედამ 7 საათზე დამირეკა, ახლა ერთ გადასხმას გამიკეთებენ და 9 საათზე მომაკითხეთ, ექიმი სახლში მიშვებსო. სანამ წავიყვანდი [მოსარჩელე ექიმს] ვკითხე, ხომ არ ჯობია კლინიკაში დავტოვოთ-მეთქი. არაო, მითხრა ჩემი პაციენტი აღარ არის, კორონოგრაფიის დასკვნით ყველაფერი წესრიგშია, 10 დღეში მომიყვანეო.

დასუსტებული ძლივს ჩამოვიყვანე ეზოში, ორჯერ გაჩერდა გზაში, მაგრამ იძულებული ვიყავი წამომეყვანა, რადგან არ დატოვეს. ჩავსვი მანქანაში და 10 წუთში სახლში ვიყავით. როგორც კი შევედით, დედამ ძალიან ცუდად ვარ დამანვინეო. დავანვინე და ხელებში ჩამაკვდა...“]. პაციენტი სახლში მისვლისთანავე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებიდან 5 დღეში პირველმა მოპასუხემ ექიმების წინააღმდეგ საჩივარი რეგულირების სააგენტოში შეიტანა.

91. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე იმ გა-

რემოებას, რომ პირველი მოპასუხის მიერ შესაგებელზე მტკიცებულების სახით დართული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2019 წლის 18 დეკემბრის დასკვნის თანახმად (იხ. წინამდებარე განჩინების 9.5 პუნქტი), სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

„საყურადღებოა არასაკმარისი კომუნიკაცია ექიმ-რიტმოლოგ და პაციენტს შორის. ფაქტია, რომ ჰოსპიტალიზაციის მიზეზი იყო მედიკამენტებით გამოწვეული სრული ავბლოკადა და სინკოპე. ვერ დავეთანხმები ბატონ [მოსარჩელე ექიმის] აზრს, რომ მედიკამენტების დოზების კორექცია არის პაციენტის პასუხისმგებლობა და არა ექიმის (რეცენზიდან)“;

31.05.2019 9:45 [მეორე ექიმის] ჩანაწერით: პაციენტი „ითხოვს დილიდანვე ბინაზე განერას“, თუმცა „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში“ არ ფიქსირდება პაციენტის განცხადება ბინაზე გაწერის თაობაზე.“

92. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ დაისვა საკითხი პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე, საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 74-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ექიმის და მეორე ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე, თუმცა წინამდებარე საქმის განხილვის პროცესში კასატორმა საკასაციო სასამართლოს აცნობა, რომ პროფესიული განვითარების საბჭოს დადგენილებით მათ არ დაეკისრათ პროფესიული პასუხისმგებლობა.

93. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე დავაში სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს იმის დადგენა, რამდენად მართებული იყო პაციენტთან მიმართებაში მოსარჩელე ექიმის ქმედებები და არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი ექიმის ქმედებებს, მის მიერ არჩეულ მკურნალობის ფორმებსა და პაციენტის გადაცვალებას შორის.

94. საკასაციო სასამართლოს მიზნია დაადგინოს ჰქონდა თუ არა რესპონდენტის სადავო განცხადებებს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. ამ თვალსაზრისით პირველი მოპასუხის მონათხრობი დედის მკურნალობასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შესახებ სარწმუნოდ ეჩვენება სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს არა აქვს მიზეზი არ ირწმუნოს, რომ პირველი მოპასუხის, როგორც გარდაცვლილი პაციენტის შვილის, სუბიექტური გამოცდილება და დასკვნები ზემოთ აღწერილ, ობიექტურად მომხდარ მოვლენებთან შესაბამისობაშია. მით უმეტეს, რომ ამ მოვლენების ნამდვილობა მოსარჩე-

ლეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ასეთ პირობებში სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ მოპასუხეს ჰქონდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი იმ განცდებისა და დასკვნებისათვის, რაც ასახულია სადავო გამონათქვამებში. პირველი მოპასუხე არ წარმოადგენს მოსარჩელე ექიმის ქმედების გარე ობიექტურ შემფასებელს. იგი არის გარდაცვლილი პაციენტის შვილი, რომელსაც საკუთარ მოსაზრებებსა და დასკვნებში უფლება აქვს იყოს სუბიექტური. აღნიშნული მოსაზრებები და დასკვნები შეიძლება გამოწვეული იყოს იმ თავზარდაცემითა და სტრესით, რასაც იწვევს უახლოესი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალება და ეს აღქმადია სადავო სტატიის ნებისმიერი საშუალო შესაძლებლობის მკითხველისთვის.

95. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამოაგნებელი ან შემაშვოთებელია (იხ. წინამდებარე გაჩინების 41-ე პუნქტი).

96. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს პირველი მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა [„მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“] მოსარჩელე ექიმის სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

ჟურნალისტის (მედია საშუალების) პასუხისმგებლობა

97. მეორე მოპასუხესთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზიის თანახმად, სასამართლომ არ გაითვალისწინა შემდეგი საკითები: მიუხედავად იმისა რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტი ვალდებული ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ან/და მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში განხორციელებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად; ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე, ან/და მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე; ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პატიოსნად, მან უნდა დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა, როდესაც, განსაკუთრებით, კერძო პირის რეპუტაციაზე თავდასხმა ხდება. ინფორმაციის

გამოქვეყნება, რომელიც კერძო პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ადანაშაულებს ისე, რომ არ აძლევს მას საინალმდეგო აზრის გამოთქმის საშუალებას, ჟურნალისტური ეთიკის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს, რომელიც არ შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს გავრცელებული ინფორმაციის სავარაუდო საზოგადოებრივი ინტერესების საგნად ცნობის გამო; განსახილველ შემთხვევაში, სტატიის გამოქვეყნება განხორციელდა მოსარჩელის აზრისა და მისი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, მას არ მიეცა შესაძლებლობა, იმავე სტატიაში დაეფიქსირებინა პოზიცია მის მიმართ ცალმხრივად დაფიქსირებული, არსებითად მცდარი ფაქტების შესახებ; ჟურნალისტმა არათუ არ გამოიკვლია რესპონდენტის მიერ მოყვანილი ფაქტების უტყუარობა, არამედ მოსარჩელეს არ მისცა საშუალება დაეფიქსირებინა მის მიმართ გაჟღერებულ ცილისმამბელურ ფაქტებზე პოზიცია; დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს მისი დამატებითი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გაკეთებულ განმარტებასთან, რომ კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ვიწრო ფარგლები, თავის რეალურ შინაარსს მაშინ იძენს, როდესაც საქმე ეხება ძალიან მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას, ან უკიდურესად სერიოზულ და ამავე დროს სავსებით უსაფუძვლო ბრალდებას.

98. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ყველაზე უფრო ვიწროა, როცა ადგილი აქვს, მათ შორის, უკიდურესად სერიოზულ და, ამავე დროს, სავსებით უსაფუძვლო ბრალდებას. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ როცა საქმე ეხება პრესის თავისუფლებას და სტატია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხება, ამ ორი ფაქტორის არსებობა კრიტიკის ვიწრო ფარგლების მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში სასწორს გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ ხრის (იხ. ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 355). მაგალითად, საქმეში *Bergens Tidende and others v. Norway* კერძო პირის რეპუტაციის სერიოზული შელახვის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლება დაიცვა. საქმე შეეხებოდა გაზეთისათვის, მისი ყოფილი რედაქტორისა და ჟურნალისტისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრებას პლასტიკური ქირურგის სასარგებლოდ მისი რეპუ-

ტაციისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. გაზეთში დაბეჭდილ სტატიებში გადმოცემული იყო პაციენტთა უკმაყოფილება ქირურგის საქმიანობის მიმართ, რის გამოც იქმნებოდა მისი არაკვალიფიციურობის შთაბეჭდილება. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სტატიებმა ექიმის რეპუტაციას არსებითი ზიანი მიაყენა და უსათუოდ ცუდად იმოქმედებდა მის პროფესიულ კარიერაზე. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა იმ გარემოებას, რომ სტატიები „შეეხებოდა ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ასპექტებს და საზოგადოება დაინტერესებული იყო ასეთი ინფორმაციის მიღებით. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ექიმის ინტერესებისა და პროფესიული რეპუტაციის დაცვა ვერ აღემატებოდა პრესის თავისუფლების მნიშვნელობასა და კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებისათვის აქტუალურ თემაზე ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას“ (იხ. *Bergens Tidende and others v. Norway*, 2 May 2000, §60; *Guide on Article 10 of the European Convention of Human Rights*, Council of Europe, updated 20 April, 2021, p.37; ე. გოცირიძე, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 356).

99. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლება დაკავშირებულია სწორი და სანდო ინფორმაციის გავრცელების მოვალეობასთან.

100. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ევროკონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების განხორციელება განუყოფელია შესაბამისი „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან“, რომელიც პრესაზეც ვრცელდება. სწორედ აღნიშნული „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის“ გამო, მე-10 მუხლის მიხედვით, ჟურნალისტებისათვის მიკუთვნებული დაცვა, როდესაც ისინი აშუქებენ საზოგადო ინტერესის მქონე საკითხებს, ექვემდებარება დათქმას, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა წარმოადგინონ სწორი და სანდო ინფორმაცია ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად (*Bladet Tromsø and Stensaas v. Norway* [GC], no. 21980/93, § 65, ECHR 1999-III; *Kasabova v. Bulgaria*, no. 22385/03, § 63, 19 April 2011). სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, ყველა იმ საქმეში, სადაც სასამართლოს უნდა ემსჯელა, გაეთავისუფლებინა თუ არა გაზეთები დაკისრებული ვალდებულებისაგან – გადაამოწმონ ფაქტის შემცველი განცხადებები, რომლებიც ცილისმამაშობლური ხასიათისაა, მან გაითვალისწინა სხვადასხვა ფაქტორი, განსაკუთრებით ცილისწამების ბუნება და ხარისხი და აგრეთვე ის მოცულობა, რამდენად გონივრულად შეეძლო გაზეთს მისი წყარო სანდოდ მიეჩნია (*Bladet Tromsø and*

Stensaas, cited above, § 66). თავის მხრივ ეს ფაქტორები მოითხოვს სხვა ისეთი ელემენტების განხილვას, როგორიცაა წყაროს ავტორიტეტი, აგრეთვე, გამოცემის გამოშვებამდე შეეძლო თუ არა გაზეთს ჩაეტარებინა საკმარისი მოკვლევა, წარმოადგინა თუ არა გაზეთმა ამბავი საკმარისად დაბალანსებულად და მისცა თუ არა მეორე მხარეს თავის დაცვის შესაძლებლობა. ცილისმწამებლური განცხადების გადამოწმების მოთხოვნიდან გადახვევა იმგვარი ბუნებისაა, რომ მისი გამოყენებისათვის ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ განსახილველი საქმის კონკრეტული გარემოებები. თუ ეროვნული სასამართლოები გამოიყენებენ ზედმეტად ხისტ მიდგომას ჟურნალისტის პროფესიული ქცევის შეფასებისას, მედიას არასათანადოდ შეეშლება ხელი მისი ფუნქციის, კერძოდ, საზოგადოების ინფორმირებულობის, განხორციელებაში. შესაბამისად, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ მათი გადანეცეტილებების სავარაუდო გავლენა არა მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებზე, არამედ ზოგადად მედიაზე (Kasabova, cited above, § 55 and Yordanova and Toshev v. Bulgaria, no. 5126/05, § 48, 2 October 2012). განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დამატებითი ფაქტორია „მოდარაჯე ძაღლის“ როლი, რომელსაც პრესა ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, მან არ უნდა გადააბიჯოს განსაზღვრულ ფარგლებს, კერძოდ, სხვათა უფლებებსა და რეპუტაციასთან მიმართებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრესის მოვალეობაა ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე. ეროვნული ხელისუფლების მიერ დაკისრებულ სანქციებს შეუძლია პრესას გული აუცრუოს დებატებში მონაწილეობაზე, რომელიც ეხება ლეგიტიმურ საზოგადოებრივ პრობლემას (Tønssbergs Blad A.S. and Haukom v. Norway, no. 510/04, § 88, ECHR 2007-III).

101. წინამდებარე საქმეში კასატორის მთავარი პრეტენზია მედია საშუალებასთან მიმართებაში იმას უკავშირდება, რომ გამოქვეყნებული სტატიით მას ფაქტობრივად ბრალი დასდეს პაციენტის მკვლელობაში, არასწორ მკურნალობასა და არაპროფესიონალიზმში, მაშინ, როდესაც აღწერილ ფაქტზე მიმდინარეობდა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოკვლევა და ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ექიმის გადაცდომა, რომელიც საბოლოოდ არც დადგინდა. კასატორი უთითებს, რომ სწორი და სანდო ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება ჟურნალისტისგან მოითხოვდა არა მხოლოდ რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის გავრცელებას, არამედ ზომების მიღებას ამ ინფორმაციის გადამოწმებლად, განსაკუთრებით, სადავო განცხადებების ადრესატისათვის სანინალმდეგო აზრის გამოთქმის საშუალების მიცემას.

102. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიების შემოწმე-

ბის მიზნით, აუცილებლად მიიჩნევეს აღწეროს ფორმა, რომლითაც ჟურნალისტმა ინფორმაცია საზოგადოებას მიაწოდა და შეაფასოს მეთოდი, რომლითაც მან აღნიშნული ინფორმაცია მოიპოვა, მათ შორის, ღონისძიებები, რომლებიც მან ინფორმაციის სარწმუნოობის გადასამოწმებლად გაატარა. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტის მიერ განსახორციელებელ იმ კონკრეტულ ქმედებებზე, რასაც მოიცავს კეთილსინდისიერად და ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად სწორი და სანდო ინფორმაციის წარმოდგენა.

103. ასეთი სტანდარტების შემცველია, მათ შორის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მიერ 1993 წლის 01 ივლისს მიღებული რეზოლუცია 1003 (1993) ჟურნალისტური ეთიკის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

„...“

4. მიწოდებული ფაქტები უნდა ეფუძნებოდეს სიმართლეს, რომელიც უზრუნველყოფილია გადამოწმებისა და მტკიცების შესაბამისი საშუალებებით და მიუკერძოებლად უნდა იქნეს წარდგენილი, აღწერილი და მოთხრობილი. ჭორი არ უნდა იქნეს აღრეული ნამდვილ ფაქტში. ახალი ამბების სათაურები და მოკლე შინაარსი შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა ასახავდეს წარდგენილი ფაქტებისა და მონაცემების არსს...” (იხ. ასევე, სუსგ №ას-1271-2018, 07 თებერვალი, 2022 წელი).

104. ჟურნალისტის მიერ სანდო და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისა და საინფორმაციო წყაროს სწორად მითითების კონკრეტულ ეთიკურ ვალდებულებას ადგენს, აგრეთვე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“.

105. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მესამე პრინციპის თანახმად, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“; „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია“; ხოლო მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად:

„1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს აუდიტორია სანდო და ზუსტი ინფორმაციით და არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება...”

3. მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიკერძოებულობა. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული

ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველ-
საყოფად...

4. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მაუწყებელი უნდა და-
ეყრდნოს პირველწყაროს და საკუთარი ძალისხმევით მოპოვებულ ინ-
ფორმაციას. როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორ-
მაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს
ინფორმაცია.“

106. ინფორმაციის გადამონმეხისას სავალდებულოდ განსახორცი-
ელებელი კონკრეტული მოქმედებების შესახებ დეტალურ მსჯელო-
ბას შეიცავს, აგრეთვე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტი-
ის საბჭოს გადანყვეტილებებით დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც
ჟურნალისტების მხრიდან ეთიკის ქარტიის დარღვევის შესახებ დავე-
ბის განხილვის შედეგად შეიქმნა. მაგალითად, ქარტიის საბჭოს ერთ-
ერთ გადანყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ:

„ჟურნალისტმა ყველა შესაძლო გზას უნდა მიმართოს ერთი წყაროს
მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, მოიძიოს მეორე
მხარე, ალტერნატიული წყაროები, გამოითხოვოს ინფორმაცია და აუ-
დიტორიას მიაწოდოს ყველა რელევანტური მხარის შეფასება, კომენ-
ტარი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ წყაროები იყოს ერთმანეთისა-
გან დამოუკიდებელი. ხოლო, თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადა-
მონმება, ჟურნალისტმა აუდიტორიას პატიოსნად უნდა აცნობოს მის
მიერ გადამონმეხის მცდელობისა და გზების შესახებ და უნდა მიუთი-
თოს, რომ ინფორმაცია გადაუმოწმებელია.“

(იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, გადანყვეტილე-
ბა საქმეზე – ა(ა)იპ დემოკრატიის ინდექსი – საქართველო; დამოუკი-
დებელი იურისტების ჯგუფი: ეკატერინე ციმაკურიძე, მაია ბაქრაძე,
თამარ ლალიაშვილი, ნათია ქუთათელაძე, ბესო ლოლაძე, ბესიკ სისვა-
ძე მ. ო-ის წინააღმდეგ, 08.02.2022, საქმე №533; სუსგ №ას-1271-2018,
07 თებერვალი, 2022 წელი).

107. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ჟურ-
ნალისტის გამოხატვის თავისუფლება უნდა შეესაბამებოდეს საზოგა-
დოების უფლებას – მიიღოს სანდო და ზუსტი ინფორმაცია.

108. განსახილველ შემთხვევაში, სტატია შედგება ორი ნაწილისა-
გან. პირველ ნაწილში ჟურნალისტი პირველი მოპასუხის დედის ავად-
მყოფობის, მკურნალობისა და გარდაცვალების კონკრეტულ შემთხვე-
ვას განიხილავს. ამ ნაწილში ჟურნალისტის რესპონდენტია პირველი
მოპასუხე, რომელიც აღწერილი ფაქტების თვითმხილველი და პირველ-
წყაროა.

109. სტატიის მეორე ნაწილში განხილულია რეგულირების სააგენ-
ტოს საქმიანობა სამედიცინო მომსახურების თაობაზე პაციენტებისა

და მათი ოჯახის წევრების, მათ შორის, პირველი მოსარჩელის, მიერ შეტანილი საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. ამ ნაწილში ჟურნალისტის რესპონდენტია რეგულირების სააგენტოს დირექტორი, რომელიც ასევე პირველწყაროა.

110. სტატიას აქვს მთლიანად ინტერვიუს ფორმა. მასში ჟურნალისტს საკუთარი შეფასებები და დასკვნები არ გამოუქვამს.

111. ამრიგად, სტატია კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას ეყრდნობა პირველწყაროსგან მიღებულ ინფორმაციას. ჟურნალისტმა პირველი რესპონდენტისაგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმა მეორე წყაროსთან – რეგულირების სააგენტოს დირექტორთან და მიიღო პასუხი, რომ რეგულირების სააგენტომ საქმე შესასწავლად გააგზავნა ექსპერტებთან და ელოდება მათ დასკვნას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება ექიმების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება-არდაყენების შესახებ.

112. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ ჟურნალისტს ევალეზოდა ასევე მოსარჩელე ექიმთან, ინფორმაციის გადამოწმება. თუმცა იმ პირობებში, როცა:

112.1. სადავო განცხადებების გარდა სტატიაში გადმოცემული ფაქტების სისწორე სარჩელით გასაჩივრებული არ ყოფილა;

112.2. ფაქტის შემცველი პირველი განცხადების მცდარობა სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი;

112.3. პირველი მოპასუხის მეორე და მესამე განცხადებები მიჩნეულია აზრის, მისი სუბიექტური შეხედულების გამოხატვად, რომელსაც გააჩნდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი;

112.4. ჟურნალისტმა რესპონდენტის მიერ მიწოდებული ფაქტობრივი ინფორმაცია რეგულირების სააგენტოს დირექტორთან გადამოწმა;

112.5. ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება გულისხმობს მხოლოდ ფაქტებისა და არა რესპონდენტის პირადი შეხედულებებისა და დასკვნების გადამოწმების ვალდებულებას;

ჟურნალისტის მიერ განხორციელებული ქმედებები საკმარისია დასკვნისთვის, რომ სტატია წარმოადგენდა დაბალანსებულ რეპორტაჟს და ჟურნალისტს საკუთარი ეთიკური ვალდებულებები არ დაურღვევია.

113. დასასრულს, საკასაციო სასამართლო შეეხება სტატიის სათაურსაც და აღნიშნავს, რომ მისი შინაარსიდან გამომდინარე, მკითხველისათვის იმთავითვე ნათელი ხდება, რომ ის წარმოადგენს რესპონდენტის და არა ჟურნალისტის შეფასებას/დამოკიდებულებას მასში აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც მოკლედ გადმოსცემს სტატიაში წარდგენილი ფაქტების არსს. ამასთან, საკასაციო სასამარ-

თლო აღნიშნავს, რომ სტრასბურგის სასამართლოს განმარტებების თანახმად, არსებობს ჟურნალისტის პროფესიისათვის განუყოფლად დამახასიათებელი თავისუფლება, ისე გადმოსცეს საკითხი, როგორც ყველაზე უფრო შესაფერისად მიაჩნია; არც სტრასბურგისა და არც ეროვნული სასამართლოების ფუნქციაა ჩაანაცვლონ ჟურნალისტის მოსაზრებები საკუთარით ამ უკანასკნელის მიერ ინფორმაციის გადმოცემისათვის შერჩეული მეთოდის შესახებ (იხ. *Couderc and Hachette Filipacchi Associes v. France* [GC], § 139; *Jersild v. Denmark*, § 31).

114. ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ:

114.1. სადავო სტატია საექიმო მომსახურების ნაკლოვანებებსა და ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის კუთხით სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას აღწერს, რითაც საზოგადოების არსებობისა და მშვიდობიანი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს განიხილავს და წვლილი შეაქვს აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარე დებატების პროცესში;

114.2. სტატიაში ჟურნალისტს საკუთარი შეფასებები და დასკვნები არ გამოუქვამს;

114.3. სტატია კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას ეყრდნობა პირველწყაროსგან მიღებულ ინფორმაციას; ამასთან, ჟურნალისტმა პირველი წყაროსგან (რესპონდენტისგან) მიღებული ინფორმაცია გადაამოწმა მეორე წყაროსთან (რესპონდენტთან);

114.4. დადგენილია, რომ ჟურნალისტის რესპონდენტის პირველი განცხადება არ შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს მოსარჩელის შესახებ, ხოლო მეორე და მესამე განცხადებები წარმოადგენდა არა ფაქტების, არამედ აზრის შემცველ განცხადებებს, რომლებსაც ჰქონდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი;

114.5. სადავო განცხადებების გარდა სტატიაში გადმოცემული ფაქტების სისწორე სარჩელით გასაჩივრებული არ ყოფილა;

114.6. ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გადამოწმების ვალდებულება გულისხმობს ფაქტებისა და არა რესპონდენტების პირადი შეხედულებებისა და დასკვნების გადამოწმების ვალდებულებას;

114.7. სტატია წარმოადგენდა დაბალანსებულ რეპორტაჟს და ჟურნალისტს ინფორმაციის მიწოდებისას საკუთარი ეთიკური ვალდებულებები არ დაურღვევია;

114.8. მსუბუქ სანქციასაც შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებაზე;

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს მოპასუხე მედია საშუალების (ჟურნალისტის) გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა [„მწვავე საზოგადოებრი-

ვი საჭიროება“] დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელე ექიმის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

115. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

116. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

117. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

118. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ზ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 08 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პერძო პირის ცილისნამება

ბანჩინება საქართველოს სახელმთ

№ას-1639-2022

23 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი

დავის საგანი: მოპასუხეთა მიერ საჯარო სივრცეში გაკეთებული
განცხადებების ცილისნამებად აღიარება, გავრცელებული ცილისმწა-
მებლური ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. უ. მ-მა (შემდეგში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა თბილისის
საქალაქო სასამართლოში ააიპ „ა.მ.“, ვ. უ-ძისა და ლ. ფ-ვას მიმართ
(შემდეგში – მოპასუხეები, კასატორები) შემდეგი სასარჩელო მოთ-
ხოვნებით:

1.1. მოპასუხეების მიერ გავრცელებული სადავო განცხადებები აღი-
არებულ იქნეს ცილისნამებად და დაევალოს მოპასუხე ორგანიზაცია –
ააიპ „ა.მ.“ და მის წარმომადგენლებს: ვ. უ-ძესა და ლ. ფ-ვას, მოსარჩე-
ლის შესახებ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების უარ-
ყოფა სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან
ერთი თვის განმავლობაში, ტელეკომპანია პ-ის გადაცემა „დ. ა-სი“; ტე-
ლეკომპანია „მ-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში; რადიო თ-ის ეთერში;
ე. ჯ-ს ეთერში; ტელეკომპანია მ-ის გადაცემა „მ. ა-სი“ და ასევე ორგა-
ნიზაცია ააიპ „ა.მ.“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, სასამართლო გა-
დანყვეტილების შესახებ შემდეგი სახით ცნობის გამოქვეყნების გზით,
კერძოდ:

1.1.1. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის
30 იანვარს ტელეკომპანია პ-ის გადაცემა დ. ა-ში გაკეთებული მტკი-
ცებითი განცხადება: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქარ-
თველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანე-
ლობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანა-
შაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინ-
ფორმაცია ე.წ. ქოლ-ცენტრების შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მო-
ქალაქეების კიბერთავდასხმა“ – არის არსებითად მცდარი და ცილის-

მწამებლური;

1.1.2. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან გაკეთებული მტკიცებითი განცხადება: „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურირებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

1.1.3. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის გადაცემა მ. ა-ში გაკეთებული მტკიცებითი განცხადება: „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ როგორც აღნიშნეთ, ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე, სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

1.1.4. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 10 თებერვალს, ე. ჯ-ს სიუჟეტში გასული მტკიცებითი განცხადება: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მთავარი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

1.1.5. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ლ. ფ-ვას მიერ, 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული მტკიცებითი განცხადება, „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

1.1.6. ორგანიზაციის წარმომადგენლის, ვ. უ-ძის მიერ 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია ფ-ას ეთერში გასული მტკიცებითი განცხა-

დება: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში ხდება ფასნამატის გაკეთება შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე, მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

1.1.7. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული მტკიცებითი განცხადება: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძირდება ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი, შეიძლება ითქვას – უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური.

1.2. ააიპ „ა. მ.“ უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 50 000 ლარის გადახდა;

1.3. ვ. უ-ძეს უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 50 000 ლარის გადახდა;

1.4. ლ. ფ-ვას უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 50 000 ლარის გადახდა.

2. მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილებით, უ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

3.1. მოპასუხეების მიერ გავრცელებული სადავო განცხადებები აღიარებულ იქნა ცილისმწამებად და დაევალა მოპასუხე ორგანიზაციას – ააიპ „ა. მ-სა“ და მის წარმომადგენლებს: ვ. უ-ძეს და ლ. ფ-ვას, მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში, ტელეკომპანია პ-ის გადაცემა „დ. ა-სი“; ტელეკომპანია „მ-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში; რადიო თ-ის ეთერში; ე. ჯ-ს ეთერში; ტელეკომპანია მ-ის გადაცემა „მ. ა-სი“ და ასევე, ორგანიზაცია ა.მ. ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი სახით ცნობის გამოქვეყნების გზით, კერძოდ:

3.1.1. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 30 იანვარს ტელეკომპანია პ-ის გადაცემა დ. ა-ში გაკეთებული მტკიცებითი განცხადება: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. ქოლ-ცენტრების შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მოქალაქეების კიბერთავდასხმა“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.2. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან გაკეთებული მტკიცებითი განცხადება: „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურირებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.3. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის გადაცემა მ. ა-ში გაკეთებული მტკიცებითი განცხადება: „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ როგორც აღნიშნეთ, ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე, სადაც მესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.4. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 10 თებერვალს, ე. ჯ-ს სიუჟეტში გასული მტკიცებითი განცხადება: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მ-ი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.5. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ლ. ფ-ვას მიერ, 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული მტკიცებითი განცხადება, „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის

კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.6. ორგანიზაციის წარმომადგენლის, ვ. უ-ძის მიერ 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია ფ-ას ეთერში გასული მტკიცებითი განცხადება: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში ხდება ფასნამატის გაკეთება, შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე, მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური;

3.1.7. ორგანიზაციის წარმომადგენლის – ვ. უ-ძის მიერ, 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული მტკიცებითი განცხადება: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი, შეიძლება ითქვას – უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“ – არის არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური.

3.2. ააიპ „ა. მ-ას“ უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 5000 ლარის გადახდა;

3.3. ვ. უ-ძეს უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 5000 ლარის გადახდა;

3.4. ლ. ფ-ვას უ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის კომპენსაციის სახით – 5000 ლარის გადახდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 ივნისის, 06 ივლისის და 29 ივლისის მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინებებთან ერთად, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ააიპ „ა. მ-ამ“, ვ. უ-ძემ და ლ. ფ-ვამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საოქმო განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 02 დეკემბრის განჩინებით, ააიპ „ა.მ.“, ვ. უ-ძისა და ლ. ფ-ვას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილება, ასევე 2022 წლის 13 ივნისის, 06 ივლისისა და 29 ივლისის საოქმო განჩინებები მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. მოპასუხე ა(ა)იპ „ა.მ.“ დაფუძნებულია 2021 წლის 24 დეკემბერს. ორგანიზაციის მმართველობის ორგანოა გამგეობა/საერთო კრება, რომლის თავმჯდომარეა ვ. უ-ძე, ხოლო წევრები – ლ. ფ-ვა და ი. ფ-ი. ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სუბიექტებად რეგისტრირებულნი არიან მოპასუხეები – ლ. ფ-ვა და ვ. უ-ძე.

6.1.2. 2022 წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია „პ-ის“ გადაცემა „დ. ა-სი“ ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მოქალაქეების კიბერთავდასხმა“.

6.1.3. 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურირებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“.

6.1.4. 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია „მ-ის“ გადაცემა „მ. ა-სი“ ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ, როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე,

სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“.

6.1.5. 2022 წლის 10 თებერვალს, „ე. ჯ-ს“ სიუჟეტში ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის საიდანაც ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მ-ი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“.

6.1.6. 2022 წლის 10 თებერვალს ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გავიდა ლ. ფ-ვას განცხადება: „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“.

6.1.7. 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია „ფ-ას“ ეთერში გავიდა ვ. უ-ძის განცხადება: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში, ხდება ფასნამატის გაკეთება შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“.

6.1.8. 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გავიდა ვ. უ-ძის განცხადება: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება, ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი, შეიძლება ითქვას, უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“.

6.1.9. მოპასუხეთა მიერ სადავო განცხადებების გამოქვეყნება მოხდა ასევე მოპასუხე ორგანიზაციის „ა.მ.“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

6.1.10. 2022 წლის 08 ივნისის საქართველოს შსს მომსახურების საა-

გენტოს ცნობის თანახმად, უ. მ-ი, დაბადებული 06.07.1967 წელს, პ/6 ..., მცხ. თბილისი, ..., არ არის ნასამართლევით და არ იმყოფება ქეზნაში.

6.1.11. 2022 წლის 17 მაისის №13/29951 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილის თანახმად, უ. მ-ს ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ საქმიანობის ირგვლივ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, არ აქვს რაიმე სახის საპროცესო სტატუსი, ამავდროულად არ მომხდარა მისი დაბარება ან/და გამოკითხვა.

6.1.12. 2022 წლის 19 ივლისის №08-6 სს „ს. ფ-ის“ ცნობის თანახმად, 2012 წელს, უ. მ-თან გაფორმდა №46 შრომითი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, იგი იკავებდა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მრჩეველის თანამდებობას.

6.1.13. 2013 წლის 21 ნოემბრის №04-4 ბრძანებისა და უ. მ-ის თანხმობის საფუძველზე, №46 ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა და იმავე წლის 22 ნოემბრიდან იგი დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ.

6.1.14. 2016 წლის 11 თებერვლის აღმასრულებელი დირექტორის №04-1 ბრძანებისა და უ. მ-ის პირადი განცხადების საფუძველზე, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

6.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

6.3. სააპელაციო პალატის განმარტებით, წინამდებარე შემთხვევაში შესაფასებელი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენდა თუ არა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას წარმოშობდა. სახელდობრ, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანი იყო მოპასუხეთა მიერ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენდა თუ არა ცილისწამებას, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელის დისკრედიტაცია, მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

6.4. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მხრიდან უ. მ-ის მისამართით ვრცელდებოდა ინფორმაცია ორ საკითხთან მიმართებით, კერძოდ ერთი მხრივ, საუბარი იყო ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან კავშირის არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ელექტროენერგიის იმპორტთან და აღნიშნული საფუძველით, მოსახლეობისათვის ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირე-

ბით.

6.5. მოსარჩელე მხარის შეფასებით, მოპასუხეთა მიერ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენდა ცილისწამებას, რომელიც ლახავა და მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. ამასთანავე, განცხადებები გავრცელებული იყო მიზანმიმართულად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების მიზნით, კერძოდ: 1) 2022 წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია პ-ის გადაცემა დ. ა-ში ვ. უ-ძის მიერ გაკეთებული განცხადება: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. ქოლ-ცენტრების შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მოქალაქეების კიბერთავდასხმა“; 2) 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან ვ. უ-ძის მიერ გაკეთებული განცხადება: „ამ ქოლცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურიებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“; 3) 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის გადაცემა მ. ა-ში ვ. უ-ძის მიერ აკეთებული განცხადება: „გამორჩეულად ქოლცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაურების ბოლო სართულებზე, სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“.

6.6. საქმეში წარმოდგენილი CD დისკზე არსებული ვიდეო სიუჟეტების ჩანაწერების გამოკვლევის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2022 წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია პ-ის გადაცემა დ. ა-ში გასულ სიუჟეტში მოპასუხე ვ. უ-ძე, უ. მ-ის სურათით ხელში საუბრობს, რომ „უ. მ-ი არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული“. აქვე, ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ორგანიზაციას თუ აქვს ამის შესახებ ფაქტები, იგი პასუხობს, „რა თქმა უნდა ჩვენს ორგანიზაციას აქვს არა მხოლოდ ფაქტები, ესლა ვინცებთ გამოძიებას და მოკვლევას. მივალთ ყველა იმ ქოლ-ცენტრში...“. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოხმობილი განცხადება თავისი შინაარსითა და სიუჟეტის კონტექსტის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა კომენტარს, თვალსაზრისს, მსჯელობას, არამედ წარმოადგენდა კონკრეტულ პიროვნებაზე – უ. მ-ძე და მოვლენაზე – ტრანსნაციონალურ დანაშაულ-

ზე არა ვ. უ-ძის სუბიექტური დამოკიდებულების შემცველ განცხადებას, შეხედულებებს, არამედ იგი მოიცავდა უ. მ-სა და ტრანსნაციონალურ დანაშაულზე ინფორმაციის შემცველ ფაქტს და აღნიშნულ საკითხზე საუბრობდა, როგორც რეალურ და ნამდვილ გარემოებებზე, რომელთა დადასტურებაც მისი მხრიდან შესაძლებელი იყო.

6.7. ასევე, პალატის მითითებით, 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან ვ. უ-ძე აცხადებდა, რომ „ამ ქოლცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურირებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“. ნამყვანის შეკითხვაზე, თუ რით ადასტურებს აღნიშნულს, მოპასუხე პასუხობს „დიახ, ანუ, ნახეთ, არსებობს საერთაშორისო მექანიზმები, რა თქმა უნდა, ხდება საქმეების აღძვრა იმ ქვეყნებში, რომელ ქვეყნებშიც არის დაზარალებული, ეს არის ავსტრია, შვეიცარია, გერმანია, იტალია და ა.შ., თუმცა ეს არის განგრძობადი პროცესი, გერმანიაში საქმის აღძვრას სჭირდება დრო, გამოკვლევას სჭირდება დრო, იდენტიფიცირებას სჭირდება დრო, თუმცა აქ არის შექმნილი სქემა, – რომ ყოველ სამ თვეში ერთხელ, ექვს თვეში ერთხელ ეს ქოლ-ცენტრები იცვლიან ადგილმდებარეობას, როცა ხდება უკვე საქმის გადმოცემა საქართველოსთვის, საქართველოში უბრალოდ ვერ ხდება იდენტიფიცირება ან/და მოჩვენებითად იყო ხოლმე შემთხვევები, როდესაც გერმანიიდან ჩამოსული იყო პროკურატურის წარმომადგენლები და რამდენიმე, ასე ვთქვათ, ქოლცენტრის წარმომადგენელი დააკავეს და რიგითი ადამიანები, უბრალოდ მოჩვენებითად ჩასვეს ციხეში და შემდეგ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გარეთ გამოუშვეს. ანუ, ამ სქემაში არის ჩართული ხელისუფლების გავლენიანი თითქმის ყველა თანამდებობის პირი, გადანაწილებულიც კი არის, რომ ვის რამდენი ქოლ-ცენტრის მფარველობის უფლება აქვს. მთლიანი ბრუნვის 5% პირდაპირ მიდის უ. მ-თან, რომელიც ხდება შემდეგ ე.წ. „შავ ყულაბაში“, რომელი ფულითაც ხდება ე.წ. „ქურის დაფინანსება“, შემდეგ არჩევნებზე არიან ისინი გამოყენებულები, როგორც საფრთხობელა, შემდეგ ისინი ახდენენ ხმების ყიდვას, სხვადასხვა შავბნელი ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც ახდენს ხელისუფლების მიტაცებას, ანუ ფუძე ამ შავი ფულის აკუმულირების კორუფციული გარიგებაა და ეს ისეთი დანაშაულია, რომელ დანაშაულსაც ჩვენ მოვიმკით შემდგომ წლებში, იმიტომ, რომ ეს გროვდება, გროვდება მთელი ევროპის მასშტაბით მოქალაქეების ზღვა როდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი ფაქტიურად არიან დაყაჩაღებულნი კიბერ-დანაშაულის შედეგად და ეს ყაჩაღობის კვალი მოდის თბილისამდე და ამას ჰყავს მფარველი ხელისუფლების სახით, ანუ ჩვენ ისეთი პრობლემები შეიძლება შეგვექმნას, რომ საერთოდ აღარ გვქონდეს საუბარი

არანაირ განვითარებაზე და არანაირ პერსპექტივაზე და სწორედ ამის პრევენციის სახით ჩვენ დავინყეთ კონკრეტული მოძრაობა, სადაც მოვახდენთ იდენტიფიცირებას ყველა ასეთი ოფისის თბილისში, მოვახდენთ იდენტიფიცირებას და მხილებას იმ პირების, რომლებიც დგანან ამ ოფისების უკან და თბილისი პატარა ქალაქია და ყველამ კარგად იცის ვინ, რა, სად, როგორ მფარველობს და კურირებს, თავად საუბრობენ ხოლმე, არ სჭირდება ამას დიდი გამოძიება და აუცილებლად ამ ინფორმაციის, ერთის მხრივ, გასაჯაროვებას მოვახდენთ, მეორეს მხრივ, დავადოკუმენტირებთ და ვთარგმნით ინგლისურ ენაზე და გავაგზავნით ყველა საელჩოში და უკვე გვაქვს აუდიენცია და ლაპარაკები გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის პროკურატურასთან, სადაც მივანვდიოთ ამ ინფორმაციას დეტალურად, განსხვავებით ჩვენი სახელმწიფო უსაფრთხოების და პროკურატურის სამსახურისგან და მოვითხოვთ მათი მხრიდან იქნეს გამოყენებული ბერკეტი, რომ ის თანამდებობის პირები, რომლებიც მფარველობენ ქოლ-ცენტრებს მოხვდნენ შავ სიაში“. სააპელაციო პალატის შეფასებით, აღნიშნული განცხადებით ვ. უ-ძის მიერ გამოხატულ იქნა არა საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულება, საკუთარი შეხედულება ტრანსნაციონალურ დანაშაულზე, არამედ მოიცავდა უ. მ-სა და ტრანსნაციონალურ დანაშაულზე ინფორმაციის შემცველ ფაქტს და აღნიშნულ საკითხზე საუბრობდა, როგორც რეალურ და ნამდვილ გარემოებებზე, რომელთა დადასტურებაც მისი მხრიდან შესაძლებელი იყო და რომელსაც მიაწვდიდა საგამოძიებო ორგანოებს.

6.8. 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია მ-ის გადაცემა მ. ა-ში ვ. უ-ძე საუბრობდა ე. წ. ქოლ ცენტრების „ბიზნესზე“ და აკეთებდა ზოგად მიმოხილვას, სადაც უთითებდა, რომ იგი ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური საქმიანობა გახდა. თუკი ვინმეს თანხა გააჩნდა ყველა ამ „ბიზნესში“ წავიდა. ასევე გულისწერომას გამოხატავდა წამყვანთან ერთად, რომ ამ საქმეში ჩართული იყვნენ ახალგაზრდა განათლებული ადამიანები. მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მითითებული „ბიზნესის განვითარების“ მიზეზი ქვეყანაში არსებული კორუფცია და საკადრო რესურსი იყო“. აქვე მოპასუხე განმარტავდა, რომ ქოლ-ცენტრები გადააქვთ სომხეთში, სადაც მომსახურე პერსონალის დეფიციტია და ამბობდა, რომ „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა ე. წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე, სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შემთხვევაშიც, სადავო წინადადების გაჟღერება მოპასუხის მხრიდან ხდებოდა არა როგორც კო-

მენტარის, მოსაზრების, იდეის, თვალსაზრისის, არამედ როგორც და-
დასტურებული ფაქტის შესახებ, საუბრისას იგი იყენებდა ფრაზებს:
„გამორჩეულად ქოლცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ,
როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა...“ რაც გამოხატავდა და პირდაპირ
ადასტურებდა, რომ იგი საუბრობდა არა როგორც თავის მოსაზრებაზე,
არამედ როგორც რეალურ, ნამდვილ გარემოებებზე.

6.9. სააპელაციო პალატის შეფასებით, ზემოთ მოხმობილი განცხა-
დებები თავისი შინაარსით წარმოადგენდა პირის ბრალდებას დანაშაუ-
ლის ჩადენასთან მიმართებით, რაც მოითხოვდა შესაბამის დადასტუ-
რებას.

6.10. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეზე წარ-
მოდგენილ მტკიცებულებებზე, რომელთა ერთობლივი შესწავლის სა-
ფუძველზე, ვერ იქნება მიჩნეული დადასტურებულად კონკრეტული
პირის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. უფრო მეტიც, პა-
ლატის მოსაზრებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით მოპასუხებმა
ვერც იმ გარემოების დადასტურება უზრუნველყვეს, რომ მათ მიერ
გაჟღერებული განცხადებები ეფუძნებოდა რაიმე ობიექტურ მონაცე-
მებს, რომელიც ამართლებდა ვარაუდს კონკრეტული პირის მხრიდან
დანაშაულის ჩადენასთან მიმართებით.

6.11. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი იყო 2022 წლის 08 ივნისის
საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს ცნობა, რომლის თანახ-
მად, უ. მ-ი, დაბადებული 06.07.1967 წელს, მცხ. თბილისი, ..., არ არის
ნასამართლევი და არ იმყოფება ძებნაში. ასევე, 2022 წლის 17 მაისის
№13/29951 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილის თა-
ნახმად, უ. მ-ს ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმიანობის ირგვლივ მიმდინარე
გამოძიების ფარგლებში არ ჰქონია რაიმე სახის საპროცესო სტატუსი,
ამავდროულად არ მომხდარა მისი დაბარება ან/და გამოკითხვა.

6.12. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ასევე შეეხებოდა: 1) 2022
წლის 10 თებერვალს, ე. ჯ-ს სიუჟეტში ვ. უ-ძის მიერ გაკეთებულ გან-
ცხადებას: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინ-
ფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის საიდანაც ჩვენ
ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები,
რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-
ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვი-
რებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მ-ი წყარო სა-
ქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“; 2) 2022 წლის 10 თებერ-
ვალს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული ლ. ფ-ვას განცხადებას: „ჩვენ
ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, რო-
გორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის კომპანიები და კონ-
კრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარ-

გებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“; 3) 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია მ-ის ეთერში გასული ვ. უ-ძის განცხადებას: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი შეიძლება ითქვას, უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“; 4) 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია ფ-ას ეთერში გასული ვ. უ-ძის განცხადებას: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში, ხდება ფასნამატის გაკეთება, შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“.

6.13. სასარჩელო მოთხოვნის ზემოაღნიშნულ ნაწილშიც, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია შეემონმებინა განცხადებების შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, ის თუ რა ფაქტობრივ კომპონენტებს მოიცავდნენ ისინი.

6.14. 2022 წლის 10 თებერვალს, „ე. ჯ-ს“ სიუჟეტში ვ. უ-ძე განმარტავდა: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება...“. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული განცხადების შინაარსი, გამოთქმის ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა კომენტარს, თვალსაზრისს, მსჯელობას, არამედ წარმოადგენდა კონკრეტულ პიროვნებაზე – უ. მ-ძე და მოვლენაზე – ელექტრო ენერგიის იმპორტში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის შემცველ ფაქტს და აღნიშნულ საკითხზე მოპასუხე საუბრობდა, როგორც რეალურ და ნამდვილ გარემოებებზე. აღნიშნული განცხადება შეიცავდა მოსარჩელის ცილისმწამებლურ ინფორმაციას.

6.15. 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გასულ სიუჟეტში ლ. ფ-ვა განმარტავდა: „ამ ნუთიდან პროკურატურას

შეუძლია დაიწყოს გამოძიება, „სუს“-ის ანტიკორუფციულ სააგენტოს შეუძლია დაიწყოს და თავად ნახავენ იმ კორუფციას, რომელ კორუფციაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რის გამოც საქართველოს მოქალაქეებს, მომხმარებლებს ელექტროენერგიაზე გაუძვირდათ ტარიფი. ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“. პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული განცხადებაც ვერ შეფასდებოდა კომენტარად, თვალსაზრისად ან/და მსჯელობად, რამეთუ წარმოადგენდა ინფორმაციის შემცველ ფაქტს მოსარჩელე უ. მ-ის მიმართ და შეიცავდა მოსარჩელის შესახებ ცილისმამბელო ინფორმაციას. მოპასუხე აღნიშნულ საკითხზე საუბრობდა, როგორც რეალურ და ნამდვილ გარემოებებზე, საუბრობდა გადაჭრით, მტკიცებით ფორმაში, ანუ მოპასუხე აქცენტს რაიმე ვარაუდზე კი არ აკეთებდა, არამედ იყო დარწმუნებული, რომ უტყუარად ჰქონდა ადგილი იმ ფაქტს, რასაც უთითებდა.

6.16. 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გასული ვ. უ-ძის მიერ გაკეთებული განცხადება: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი შეიძლება ითქვას, უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“ და ასევე, 2022 წლის 10 თებერვალს ტელეკომპანია „ფ-ას“ ეთერში გასული ვ. უ-ძის განცხადება: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში ხდება ფასნამატის გაკეთება, შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“, არ წარმოადგენდა კომენტარს, თვალსაზრისს, მსჯელობას, არამედ წარმოადგენდა კონკრეტულ პიროვნებაზე – უ. მ-ძე და მოვლენაზე – ელექტრო ენერგიის იმპორტში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის შემცველ ფაქტს და აღნიშნულ

საკითხზე საუბრობდა, როგორც რეალურ და ნამდვილ გარემოებებზე, რომლის დადასტურებაც შესაძლებელი იყო.

6.17. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოხმობილი განცხადებების ცილისწამებად კვალიფიკაციისათვის, ასევე მნიშვნელოვანი იყო დადგენილიყო მათი მცდარობა. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ სპეციალური კანონით მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზების პირობებში უზრუნველყო დაესაბუთებინა, რომ არ ვლინდებოდა მისი შემხებლობა კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხე მხარემ რელევანტური მტკიცებულებების წარმოდგენის გზით, ვერ შეძლო გაექარწყლებინა მოსარჩელის პოზიცია და ამავდროულად დაესაბუთებინა მის მიერ გაჟღერებული მონაცემის ობიექტური საფუძველი.

6.18. პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა არაერთი პირი, რომლებმაც უარყვეს უ. მ-ის კავშირი რაიმე „ელექტროსისტემის ბიზნესთან“ დაკავშირებით; კერძოდ, მოწმის სახით დაიკითხა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დ. ნ-ია, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის გენერალური დირექტორი დ. თ-ი, კომპანია „ე. გ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ზ. ნ-ი, სს „ს.ს.ე-ის“ გენერალური დირექტორი გ. გ-ი. დასახელებულმა პირებმა უარყვეს რაიმე საქმიანი კავშირის არსებობა უ. მ-თან. სასამართლო სხდომაზე ასევე მოწმის სახით დაიკითხა ბიზნესმენი გ. ც-ვა, რომელმაც დაადასტურა გარკვეული ბიზნეს კავშირები უ. მ-თან, ამასთან მოწმის მითითებით, მისთვის უცნობი იყო უ. მ-ის რაიმე კავშირი ტრანსნაციონალურ დანაშაულთან თუ ელექტროენერგიის ტრანზიტთან დაკავშირებით.

6.19. სააპელაციო პალატის შეფასებით, ზემოთ დასახელებულმა პირებმა დეტალურად განმარტეს მათი უშუალო კავშირი ელექტროენერგიის ტრანზიტთან მიმართებით და გამოორიცხეს უ. მ-ის რაიმე შემხებლობა აღნიშნულ საქმიანობასთან მიმართებით. აღნიშნულის საპირისპიროდ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია საპირწონე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის კავშირს ელექტროენერგიის ტარიფების გაზრდასთან მიმართებით. შესაბამისი ობიექტური საფუძვლის არ არსებობის პირობებში კი, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირება ვერ მიიჩნეოდა გამართლებულად.

6.20. სააპელაციო პალატამ, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც პირის მიმართ ვრცელდება დანაშაულის ნიშნების შემცველი განცხადება, მიუხედავად იმისა, განცხადება მიჩნეულ იქნება ფაქტად, თუ აზრად, მას საფუძვლად უნდა ედოს გარკვეული მონაცემი, იმგვარი

ვითარება, რამაც შესაძლოა განმცხადებელს აფიქრებინოს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია/შეფასება შეესაბამება სინამდვილეს და ემყარება გარკვეულ ობიექტურ წინაპირობებს. მოცემულ შემთხვევაში კი, პალატის განმარტებით, მოპასუხე მხარე არ მიუთითებდა არავითარ გარემოებაზე, თუ რის საფუძველზე განახორციელა უშუალოდ მოსარჩელე უ. მ-ის მიმართ თავისი შეფასებისა თუ ინფორმაციის გავრცელება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ თავისი მტკიცების ფარგლებში შეძლო დაედასტურებინა, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული განცხადებები, რომელიც ასევე გავრცელებულ იქნა მოპასუხე ორგანიზაციის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, წარმოადგენდა ფაქტების შემცველ ინფორმაციას. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პალატამ ასევე განმარტა, რომ მოსარჩელემ მისი მტკიცების ფარგლებში დაადასტურა, რომ ქოლ-ცენტრებთან მიმართებაში არ ყოფილა დაბარებული საქართველოს პროკურატურაში და მას არანაირი სტატუსი არ გააჩნდა აღნიშნულ საქმეში. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ შეძლო აღნიშნული გარემოების დადასტურება, მტკიცების ტვირთის შებრუნების ფარგლებში, მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის ტრანსნაციონალურ დანაშაულში მონაწილეობას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე დადგენილების არსებობა და მოცემულ საქმეზე პირის ეჭვმიტანილად ცნობაც კი, პალატის მოსაზრებით არ შეიძლებოდა მიჩნეულ ყოფილიყო საკმარის საფუძველად იმ გარემოების არსებობისათვის, რომ პირის მიერ ჩადენილი იყო დანაშაულებრივი ქმედება. როგორც მოპასუხე მხარე განმარტავდა, აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო უცხო ქვეყნის საგამოძიებო დანესებულებებიც, თუმცა არც აღნიშნული ორგანიზაციებიდან იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო, კერძო პირი არ იყო უფლებამოსილი ან ბრალდებულად ეცნო, ან დამნაშავედ ელიარებინა პირი.

6.21. მოპასუხე მხარე ასევე უთითებდა, რომ მოსარჩელე ჩართული იყო ელექტრო ენერგიის იმპორტში, რაც გახდა საფუძველი სემეკის მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გასაიდუმლოებისა. მოწმეების: დ. ნ-ის, დ. თ-ის, ზ. ნ-ის და გ. გ-ის განმარტებით, უ. მ-ს ელექტრო ენერგიის იმპორტიორ კომპანიებთან კავშირი არ ჰქონდა და აღნიშნულ საკითხებთან მისი შემხებლობა გამორიცხეს.

6.22. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმ-

ლოება არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მოსარჩელე მხარის ელ. ენერგიის იმპორტში მონაწილეობის დაფარვის მიზნით გასაიდუმლოებად, ვინაიდან ის მონაცემები, რაც გასაიდუმლოებული იყო, წარმოადგენდა კონკრეტული საზოგადოებების კომერციულ საიდუმლოებას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე მხარის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდებოდა ის კომპანიები, რომლებიც მონაწილეობდნენ ელექტრო ენერგიის იმპორტში, თუმცა აღნიშნული კომპანიებიდან არც ერთი არ წარმოადგენდა უ. მ-ის საკუთრებაში არსებულ კომპანიებს.

6.23. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ააიპ „ა.მ.“ აქტიურად ახდენდა ინფორმაციის მოძიებას ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმიანობასა და ელექტროენერგიის იმპორტთან მიმართებით; მათ ასევე მიმართეს არაერთ ორგანიზაციას/დანესებულებას, მათ შორის პროკურატურას და საერთაშორისო ორგანიზაციებს შესაბამისი გამოძიების დაწყების მოთხოვნით. ამდენად, მოპასუხეებმა ერთი მხრივ, მოახდინეს გარკვეული ინფორმაციების მოძიება, საზოგადოებაში შექმნეს განცდა, რომ მათ მიუწვდებოდათ ხელი სათანადო მტკიცებულებებთან, რომლითაც დგინდება კონკრეტულად მოსარჩელე უ. მ-ის ბრალეულობა, თუმცა მიუხედავად არსებული სტატუსისა და განხორციელებული საქმიანობისა, მოპასუხეები ვერ ასახელებდნენ კონკრეტულ სანდო მტკიცებულებებს, რომლებზე დაყრდნობითაც ისინი ბრალს სდებდნენ პირს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, რაც გარკვეულწილად მიუთითებდა მოპასუხეთა განზრახვაზე არა საზოგადოებისათვის სანდო მონაცემზე დაყრდნობით მიენოვებინათ გარკვეული ინფორმაცია, არამედ მათ მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული სუბიექტის დისკრედიტაცია, რომლის რეალური შემხებლობა რაიმე ტიპის დანაშაულთან მიმართებით, მათ მიერ მოძიებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა. ამასთანავე, მოპასუხეები ვერც იმ გარემოებას ასაბუთებდნენ, თუ რაზე დაყრდნობით ჩამოუყალიბდათ მათ ამგვარი ვარაუდი. მითითება სატელევიზო სიუჟეტებზე არარელევანტური იყო, ვინაიდან სატელევიზო სიუჟეტების შექმნა პირიქით, მათ მიერ გავრცელებულ განცხადებებს მოყვა და შესაბამისად, გაუმართლებელი იყო საინფორმაციო გადაცემებზე აპელირება და მტკიცება, რომ დასახელებული საკითხები წარმოადგენდა საზოგადოებისათვის აქტიური განხილვის საგანს.

6.24. სააპელაციო პალატამ მიღებული განჩინების ფარგლებში, ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია შეეფასებინა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი „სასამართლო მეგობრის“ პოზიცია, რომლის მითითების შესაბამისადაც, სასამართლოს „ა.მ.“ უნდა განეხილა, როგორც საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელი უფლება-

დამცველი ორგანიზაცია, ხოლო მისი წევრების მიერ გაცრცელებული სადავო გამონათქვამები – მათთვის გაეროს 1998 წლის დეკლარაციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის ფორმად და იმ შემთხვევაში კი, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროში ჩარევის საფუძველი, სასამართლოს უნდა ემსჯელა, მიღებულ გადაწყვეტილებას ხომ არ ექნებოდა უარყოფითი გავლენა უფლებადამცველთა საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებაზე მომავალში; კერძოდ, ხომ არ გამოიწვევდა აღნიშნულ „მსუსხავ ეფექტს“ მათ მიერ საჯარო ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების კუთხით.

6.25. ზემოაღნიშნულ ნაწილში, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე ააიპ „ა.მ.“ დაარსებული იყო 2021 წლის 24 დეკემბერს, ხოლო სადავო განცხადებები აქტიურად ვრცელდებოდა 2022 წლის იანვარსა და თებერვალში (დაფუძნებიდან დაახლოებით 1 თვეში). ასევე, საგულისხმო იყო, რომ მოპასუხე მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მათი ორგანიზაციის მხრიდან სხვა შესაძლო კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებით დაინტერესებისა და აქტიური საქმიანობის თაობაზე, რაც აჩენდა განცდას, რომ კონკრეტული ორგანიზაციის არსებული სახელწოდებით დაარსების მიზანი შესაძლოა თავიდანვე სწორედ სადავო განცხადებების ფართო მასებისათვის მიწოდება და მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაციისათვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭება ყოფილიყო. შესაბამისად, სახალხო დამცველის პოზიცია უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობის შეფერხებასთან მიმართებით არ იქნა გაზიარებული განსახილველი დავის ფარგლებში, რადგანაც მიუხედავად ორგანიზაციის მიზნისა, მისი საქმიანობის არეალის შეფასებით არ დგინდებოდა, რომ ორგანიზაცია აქტიურად იყო დაკავებული კორუფციის აღკვეთის ინტერესით. აღნიშნულის ნაცვლად, გავრცელებული განცხადებების რაოდენობისა და ქრონოლოგიის გათვალისწინებით, იქმნებოდა განცდა, რომ გავრცელებული განცხადებები არ მიემართებოდა უფლებადამცველობით მიზნებს, არამედ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა კონკრეტული პირის საწინააღმდეგო განცხადებების გავრცელება, იმგვარად, რომ არ იყო დასაბუთებული არსებული განცხადებების გავრცელებისათვის გონივრული საფუძვლის არსებობა. გარდა აღნიშნულისა, მხოლოდ მითითება უფლებადამცველობით საქმიანობაზე არ შეიძლებოდა აპრიორი განხილულიყო ცილისწამების გავრცელებისათვის პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად.

6.26. ამდენად, ზემოთ განვითარებული მსჯელობისა და განჩინებაში მოხმობილი პრეცედენტების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება და გაუმართლებლად

მიიჩნია მოპასუხეთა მხრიდან ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება, რამაც თავის მხრივ განაპირობა მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაუსაბუთებელი შელახვა.

6.27. განსახილველი დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის, სააპელაციო პალატამ ასევე, მნიშვნელოვანად მიიჩნია შეეფასებინა მოსარჩელე უ. მ-ის სტატუსი. აპელანტთა მტკიცებით, უ. მ-ი წარმოადგენდა საჯარო პირს, ვინაიდან იგი გავლენიანი ბიზნესმენია, რომელიც არაერთ კომპანიაში ფლობს წილს, იმავდროულად იგი ქვეყანაში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსის ბ. ი-ის ნათესავია. მითითებული პოზიციის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება მასზედ, რომ უ. მ-ი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის, წარმოადგენს კერძო პირს. ამასთანავე, უ. მ-ის საჯარო პირად განხილვის პირობებშიც, მოპასუხეებს ეკისრებოდათ სპეციალური კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, ვინაიდან როგორც სააპელაციო პალატამ შეაფასა, მოპასუხეებმა გამოიჩინეს აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება და მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება (სპეციალური კანონის მე-14 მუხლი).

6.28. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უ. მ-ს 2012 წელს ეკავა სს „ს. ფ-ის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მრჩეველის თანამდებობა. 2013 წლის 22 ნოემბრიდან მოსარჩელე დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2016 წლის 11 თებერვლის აღმასრულებელი დირექტორის №04-1 ბრძანებისა და უ. მ-ის პირადი განცხადების საფუძველზე იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან [სს „ს. ფ-ი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფ-ი, რომელიც დაარსდა 2011 წელს. ფ-ს მინიჭებული ჰქონდა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო F-ის რეიტინგი „BB“, რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია. „ს.ფ-ი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფ-ის მ-ი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). სს „ს. ფ-ის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით: 1. აქტივების მართვა – ფ-ის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2018 წელს 717 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფ-ის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან: ს. რ-ა – 100% წილი; ს. ნ. და გ. კ-ია – 100% წილი. ფ-ი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო

და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც G. (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე B. პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფ-ი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისთვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფ-ის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არა-კონვერტირებადი) სესხების მეშვეობით (<https://www.fund.ge/who-we-are>)).

6.29. პალატის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, უ. მ-ი არ წარმოადგენდა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირს, რადგან იგი ეწევა ბიზნეს საქმიანობას, ფლობს წილებს რამდენიმე სამეწარმეო საზოგადოებებში, კერძოდ: შპს „ჰ-ი“ – 100%, შპს „გ-ს“ – 100%, სს „მ.ს.კ-ის“ აქციათა 95%, შპს „ჯ.რ.ი-ის“ 80%-ის ფლობელია სს „მ.ს.კ-ი“, შპს „მ.ი.“ – 50%. სააპელაციო პალატამ აპელანტთა არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ უ. მ-ი საჯარო პირია ბ. ი-თან ახლო ნათესაური კავშირის გამო, რომლის მიმართაც თავისი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, მიმართულია საზოგადოების ყურადღება, რამეთუ პალატის მოსაზრებით, ობიექტური შეფასების საზომით, მოსარჩელე ვერ მიიჩნეოდა საზოგადოების ფართო მასებისათვის ცნობად პირად, რომლის საქმიანობა აქტიურად განიხილებოდა ფართო საზოგადოების მხრიდან; მეტიც, საზოგადოების უმრავლესობისათვის უ. მ-ის სახელი და გვარი უცნობი იყო და მისი ტელევიზიის მეშვეობით გაჟღერება უკავშირდებოდა სწორედ მოპასუხეთა მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს და არა პირიქით. რაც შეეხებე ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ბიზნესს, აღნიშნულ ნაწილშიც უ. მ-ის კავშირთან დაკავშირებით ინფორმაცია გავრცელებული იყო თავად მოპასუხეთა მხრიდან, რასაც მოყვა შესაბამისი სატელევიზიო სიუჟეტები. საგულისხმო იყო, რომ მოსარჩელე არ გამოირჩეოდა საჯარო გამოსვლებითა და აქტივობით. ხოლო ბ. ი-ის მხრიდან მისი საჯარო ინტერვიუში ხსენება, „სიტყვისა და გამოხატვის თ-ის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ვერ განიხილებოდა „საჯარო პირად“ მიჩნევისათვის საკმარის წინაპირობად.

6.30. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც უ. მ-ი სპეციალური კანონის მიზნიდან გამომდინარე, მიიჩნეოდა კერძო პირად, პალატის შეფასებით, იგი სარგებლობდა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით, ამასთანავე იმ ვითარებაშიც კი, თუ სასამართლოს მხრიდან უ. მ-ი მიიჩნეოდა „საჯარო პირად“, მის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებები, თავი-

სი სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, ობიექტური წინაპირობების არ არსებობისას, ვერ გამართლდებოდა გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებით.

6.31. ზემოთ მითითებულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის ფარგლებში, მოსარჩელე მხარემ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება. კერძოდ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ: ა) მოპასუხეთა განცხადებები შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ; ბ) ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა (შეიღახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია); გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხეთათვის წინასწარ იყო ცნობილი/მოპასუხეებმა გამოიჩინეს აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

6.32. პალატის განმარტებით, მოპასუხე მხარის აპელირება ზიანის არარსებობასთან მიმართებით დაუსაბუთებელი იყო, რამეთუ ზიანი კონკრეტულ შემთხვევაში გამოსახული იყო პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაში და შესაბამისად, მითითება ზიანის არ არსებობასა და აღნიშნული საფუძვლით სარჩელის უარყოფაზე, დაუსაბუთებელი იყო.

6.33. სააპელაციო პალატამ ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხე ფიზიკურ პირთა აპელირება მათ არასათანადო მოპასუხეობასთან მიმართებით და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეები წარმოადგენდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ა.მ.“, რომლის მთავარ მიზანს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, ხოლო შესაბამისი კვლევების შედეგად, ისინი საზოგადოებას აცნობდნენ ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და შეფასებებს. სააპელაციო პალატის განმარტებით, ბუნებრივი და უდავო იყო, რომ იურიდიული პირი, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, დამოუკიდებლად და მისი წარმომადგენლების გარეშე, ვერ გააკეთებდა ვერანაირ განცხადებას.

6.34. მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 5.1 მუხლზე (კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია)) დაყრდნობით ითხოვდა, რომ საქმეზე გამოყენებულ ყოფილიყო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი, რომლის თანახმადაც, მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე. მოპასუხე მხარე განმარტავდა, რომ როგორც ჟურნალისტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დავისას მო-

პასუხეს წარმოადგენს მედიის მესაკუთრე, ასევე აღნიშნულ საქმეზე მოპასუხე ფიზიკური პირები არ წარმოადგენენ სათანადო მოპასუხეებს, ვინაიდან ისინი აჟღერებდნენ ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. მოსარჩელე მხარის განმარტებით კი, მოპასუხე ფიზიკური პირები მოქმედებდნენ საკუთარი სახელით და სარგებლობდნენ ა.მ. პლატფორმით. მით უფრო, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ორგანიზაციამ განახორციელა კვლევები, მივიდა დასკვნამდე და გამოაქვეყნა უ. მ-ის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია და ეს ინფორმაცია გამოაქვეყნეს მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა. მათი მხრიდან ხდებოდა ა.მ. პლატფორმის გამოყენება მათ მიერ განხორციელებული ქმედებების შესაფუთად.

6.35. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება და მიუთითა, რომ დავის გადაწყვეტისას, სასამართლო ვერ გამოიყენებდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლს, რადგან იგი სპეციალურ (საგამონაკლისო) დანაწესს წარმოადგენს და ეხება კონკრეტულად ჟურნალისტიკის მიერ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო, საქართველოს სა მოქალაქო კოდექსის 5.3 მუხლით კი, სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ განმარტა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.5 მუხლის შესაბამისად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავისას არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენს პირი, რომელიც არ არის განცხადების ავტორი ან რედაქტორი, ან პირი, რომელმაც ტექნიკურად უზრუნველყო განცხადების გავრცელება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის აშკარად და პირდაპირ უჭერდა მხარს განცხადებას, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხეები ვ. უ-ძე და ლ. ფ-ვა წარმოადგენდნენ გავრცელებული ინფორმაციის ავტორებს. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული პირები წარმოადგენდნენ საქმეზე სათანადო მოპასუხეებს.

6.36. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, მოპასუხეებს უნდა დაჰკისრებოდათ მათ მიერ გავრცელებული არასწორი ფაქტების (ცილისწამების) უარყოფა – სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება, რადგანაც სახეზე იყო სპეციალური კანონის მე-13/14 მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა, რაც იწვევდა ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, რომლის მიხედვითაც, ცილისწამებასთან დაკავშირებით, მოპასუხეს შეიძლებოდა დაკისრებოდა სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

6.37. სააპელაციო პალატამ მორალური ზიანის არსებობის ნაწილში გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება და აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ უზრუნველყო დაედასტურებინა, რომ მოპასუხეთა მიერ საჯაროდ გავრცელდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, აღნიშნული განცხადება იყო მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელი – რეპუტაციის შემლახველი და სახელის გამტეხი. სააპელაციო პალატის შეფასებით, საქალაქო სასამართლომ გონივრული ოდენობით მოახდინა მორალური ზიანის განსაზღვრა 5 000 ლარის ოდენობით (თითოეული მოპასუხის ნაწილში), რაც გავრცელებული ფაქტების უარყოფის ვალდებულებასთან ერთად, პროპორციულად უზრუნველყოფდა მოსარჩელის დარღვეული უფლების აღგენას და ამავდროულად, გადაჭარბებულ პასუხისმგებლობას არ დააკისრებდა მოპასუხეებს.

6.38. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ასევე სადავოდ იყო გამოხდარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 ივნისის, 06 ივლისის და 29 ივლისის საოქმო განჩინებები ლ. ხ-ის, ნ. გ-სა და გ. ქ-იას მოწმედ დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ.

6.39. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა პრეტენზია მასზედ, რომ რადგან ლ. ხ-ი არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად იყო ჩართული ე.წ „ქოლ-ცენტრების“ საქმის გამოძიებაში, მას სასამართლოში შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დასკვნები და შეფასებები გაკეთებული იყო ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის შედეგად, რაც ცალსახად გამორიცხავდა მოპასუხეების მიერ აშკარა და უხეში დაუდევრობის გამოჩენას. პალატამ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებისათვის რელევანტურად არ მიიჩნია მოწმე ლ. ხ-ის ჩვენება, ვინაიდან მოპასუხეებს არსებული გარემოება უნდა დაედასტურებინათ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით, რაც ვერ ჩანაცვლდებოდა მოწმის ჩვენებით. ასევე, არ დგინდებოდა მოწმის სახით ნ. გ-სა და გ. ქ-იას დაკითხვის მიზანშეწონილობა მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მიზნით. კერძოდ, აპელანტთა მითითებით, ნ. გ. იყო მ. ა-ის გენერალური დირექტორი, ყურნალისტი, რომელიც პირადად შეხვდა და ინტერვიუ ჩაწერა ე.წ. ქოლ-ცენტრების ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირთან, რომელიც უშუალოდ საუბრობდა უ. მ-ის ე.წ. ქოლ-ცენტრების მფარველობის შესახებ და ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, გ. ქ-ია იყო ყოფილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, რომელიც თავის უფლებამოსილების ფარგლებში უნევედა ზედამხედველობას ელექტროენერგეტიკულ დარგს. მათ მო-

რის, ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციას ენერგეტიკული ბაზრის შესახებ და ფლობდა ინფორმაციას უ. მ-ის კავშირების შესახებ. სააპელაციო პალატის შეფასებით, დასახელებული გარემოებები არ წარმოშობდა მოწმეთა დაკითხვისათვის საკმარის წინაპირობებს და შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

7. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7.1. კასატორების მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7.1.1. კასატორების განმარტებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების კონტექსტი და ის გარემოებები, რასაც ეფუძნებოდა გაკეთებული შეფასებები. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 02 დეკემბრის განჩინებაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიჩნია, რომ გავრცელებული ცნობები იყო მტკიცებით ფორმაში გადმოცემული, არ წარმოადგენდა ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ დასკვნებს და თითქოს ისინი საზოგადოებას ისეთი ფორმით მიეწოდა, როგორც დადასტურებული ინფორმაცია. კასატორების მოსაზრებით, სადავო ცნობების სრულყოფილი შესწავლა აშკარას ხდის, რომ თავად განცხადებების კონტექსტიდან გამომდინარე, მოპასუხეები საზოგადოებისათვის აშკარას ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ გავრცელებული ცნობები იყო მათი დასკვნები.

7.1.2. კასატორების მოსაზრებით, უნდა გაიმიჯნოს, თუ რა წარმოადგენდა ფაქტებად გადმოცემულ ინფორმაციას და რა წარმოადგენდა ორგანიზაციის წარმომადგენლების შეფასებას. ქოლ-ცენტრების საქმესთან დაკავშირებით, კასატორები აღნიშნავენ, რომ ფაქტად გადმოცემულია მხოლოდ ქოლ-ცენტრების არსებობის შესახებ ინფორმაცია, რასაც ადასტურებს მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე განხილული განცხადებები. ორგანიზაციის წარმომადგენლები ფაქტის სახით გადმოსცემდნენ თავად დანაშაულის არსებობას. რაც შეეხება უ. მ-ის ხსენებას, განმცხადებელი თავადაც ასახელებს შემდეგ, რომ აღნიშნული დასკვნა ეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, რის საფუძველზეც ისინი აპირებდნენ გამოკვლევის გაგრძელებას და შესაბამისი მოქმედებების ჩატარების შემდეგ აპირებდნენ მხილებას შესაბამისი თანამდებობის პირებისა. ამასთან, განმცხადებელი საუბრობს იმაზე, რომ ორგანიზაცია აპირებს თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანოებთან და სხვადასხვა ქვეყნის პროკუ-

რატურასთან, რათა გამოძიებით დადგინდეს, თუ ვინ მონაწილეობს დანაშაულებრივ სქემაში. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, სიმართლეს არ შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ მოპასუხეები ინფორმაციას დადასტურებულ ფაქტებად გადმოსცემდნენ.

7.1.3. კასატორების მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ რამდენიმე განცხადებასთან მიმართებით არასწორად განმარტა, რომ მოპასუხეები აქცენტს არ აკეთებდნენ ვარაუდზე. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა კონტექსტზე ყურადღების გამახვილების გარეშე მიიჩნიეს განცხადებები ცილისწამებლურად. მოპასუხეები მათ მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ უთითებდნენ, რომ სავარაუდოდ დანაშაულის ფაქტი არ იყო გამოძიებული და სწორედ ისინი შეუწყობდნენ ხელს მის გამოძიებას. ამდენად, სასამართლოს სწორედ გაჟღერებული ფრაზების კონტექსტის გათვალისწინებით უნდა დაედგინა, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სჭირდებოდა დადასტურება და დამონმება შესაბამისი ორგანოების მიერ, რაც თავისთავად შეიცავდა გაჟღერებული მოვლენის ფაქტად არალქმის პირობას.

7.1.4. კასატორების მოსაზრებით, რამდენადაც მოპასუხეები აპელირებდნენ შესაბამისი ორგანოების რეაგირებასა და გამოძიებაზე დანაშაულების იდენტიფიცირების მიზნით, საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხეების მიერ გაკეთებული განცხადებები იყო შეფასებითი ხასიათის. მედიაში უკვე გავრცელებული იყო ინფორმაცია მაღალი თანამდებობისა და „ქართულ ოცნებასთან“ სხვაგვარად დაკავშირებული პირების სავარაუდო ჩართულობასთან დაკავშირებით. სასამართლოს მითითება მასზედ, რომ სატელევიზიო სიუჟეტების შექმნა მოყვა მათ მიერ გავრცელებულ განცხადებებს, არარელევანტურია და მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები.

7.1.5. კასატორების მითითებით, ელექტრონერგიის გადასახადთან დაკავშირებით „ა.მ.“ მიერ გაკეთებული განცხადებები იყო საჯაროდ გავრცელებული ფაქტების შეფასება და დასკვნები, რაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გააცნეს საზოგადოებას. ელექტრონერგიის გაძვირებასთან დაკავშირებული მოსაზრებები ეყრდნობოდა ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტრონერგიის გადასახადი და მეორე მხრივ, როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოითხოვეს აღნიშნული ინფორმაცია, მათ გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე. მოპასუხეები მიუთითებდნენ, რომ ისინი აუცილებლად მიმართავდნენ სასამართლოს შუამავალი კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიღების

მიზნით, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებას მათ გაცნეს მათი მოსაზრებები, რომლის დასადასტურებლადაც ისინი აუცილებლად მიმართავენ ყველანაირ ზომებს. მსგავსი განცხადებები კი, მაყურებელს უჩენს იმის ვარაუდს, რომ გავრცელებული ცნობები წარმოადგენს შეფასებებს, რომელთაც დასადასტურებლადაც საჭიროა ჩატარდეს გამოძიება და შესაბამისი ზომები იქნეს მიღებული უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან.

7.1.6. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, კასატორები მიიჩნევენ, რომ ე.წ. „ქოლ-ცენტრებთან“ და ელექტრონერგიის იმპორტთან დაკავშირებული განცხადებები წარმოადგენდნენ არა ფაქტებს, არამედ შეფასებებს, რომლებიც გაკეთდა ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში.

7.1.7. კასატორების მითითებით, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზეც, რომ საუბარია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ორ საკითხზე: (1) ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების სავარაუდო ჩართულობაზე ტრანსნაციონალურ დანაშაულებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა რომ „ა.მ.“ მიერ განცხადებების გავრცელებამდე მიმდინარეობდა საზოგადოებაში დისკუსია, რასაც წინ უსწრება მედიაში გავრცელებული არაერთი საგამოძიებო სიუჟეტი. ამდენად, საზოგადოებას ჰქონდა იმის საჭიროება/ინტერესი, რომ მიეღო დამატებითი ინფორმაცია და გაცნობოდა მეტ მოსაზრებას აღნიშნული საკითხის ირგვლივ; (2) ელექტრონერგიის კომუნალური გადასახადის ფასის მატებასთან მიმართებაშიც, ლოგიკურია, რომ არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი. პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ინვესტ გადასახადების მატებას და კავშირში არის თუ არა აღნიშნული ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირების მიერ შესაძლო კორუფციულ გარიგებებთან.

7.1.8. საჯარო ინტერესის საკითხთან დაკავშირებით ევროსასამართლოს განმარტებების (გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას) მიუხედავად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დასაბუთების გარეშე, განცხადებების კონტექსტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკის უგულვებელყოფით, სადავო განცხადებები მიიჩნია ფაქტებად და არა მოსაზრებებად.

7.1.9. კასატორები აღნიშნავენ, რომ განცხადების კონტექსტიდან გამომდინარე, მათ მიზანს წარმოადგენდა არა კონკრეტულ პირზე თავდასხმა, არამედ, დანაშაულებრივი ქმედებების მხილება და შესაბამისი ორგანოებისათვის, ორგანიზაციის მიერ მოკვლეული ინფორმაციის მიწოდება, რათა დაინყოს გამოძიება და შესაბამისმა ორგანომ თავად

დააიდენტიფიციროს კონკრეტული პირები. ამასთან, კასატორების მითითებით, განცხადებებში ნახსენები არიან ხელისუფლებასთან დაკავშირებული სხვა პირებიც, რომელთა სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებზე მიაწინებს მოპასუხე. ამდენად, განცხადებების მიზანი და მთავარი ადრესატი არ ყოფილა კონკრეტული პიროვნება და მასზე თავდასხმა, არამედ ზოგადად ხელისუფლების წარმომადგენლების ან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების დანაშაულებრივი ქმედებების მხილება.

7.1.10. კასატორები არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ „ა.მ.“ დაარსების რეალური მიზანი სადავო განცხადებების ფართო მასებისთვის მიწოდება იყო. ამ მიმართებით, კასატორები ყურადღებას ამახვილებენ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაზე, რომელმაც რამდენიმე კონკრეტულ საქმეში ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო ორგანიზაციის მოდარაჯის ფუნქციაზე და განცხადებების გაკეთების დროს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. ევროსასამართლომ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ განცხადებები ეხებოდა საჯარო პირს, რომელსაც თმენის მაღალი ვალდებულება აქვს ისეთი პირების და ორგანიზაციების კრიტიკის მიმართ, ვინც არ იზიარებს პირის შეხედულებებს. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტის ორგანიზაციის განცხადებები არ ეხებოდა პირის პირად თუ ოჯახურ ცხოვრებას, არამედ მის პოლიტიკურ განცხადებებს. კასატორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული საქმის ანალოგიურად, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკაზე. ამასთან, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებები ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დისკუსიის საგანი იყო როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე და ამასთან, ეხებოდა არა საჯარო პირის პირად/ინტიმურ ცხოვრებას, რაც არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, არამედ აფასებდა უ.მ-ს, როგორც გავლენიან ბიზნესმენსა და ქვეყნის არაფორმალური მმართველის ნათესავს, რომელიც შესაძლოა ფიგურირებდეს დანაშაულებრივ საქმეში და კორუფციულ გარიგებებში. მნიშვნელოვანია სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ის გარემოება, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე არა მარტო მედიის, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ვალდებულებაა. მოპასუხე ორგანიზაცია სწორედ მის ვალდებულებებს ასრულებდა მაშინ, როდესაც ის უთითებდა ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი პირის დეიდაშვილის, უ.მ-ის სავარაუდო ჩართულობაზე ტრანსნაციონალურ დანაშაულში, ხოლო, მეორე

მხრივ, მოსახლეობისათვის გაზრდილი გადასახადების სავარაუდო მიზეზებზე.

7.1.11. კასატორების მითითებით, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია უტყუარი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული შეფასებები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამ მიმართებით კასატორები აკრიტიკებენ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და სააპელაციო პალატის მიერ, ამ მტკიცებულებათა შეფასებებს. კერძოდ, კასატორები აღნიშნავენ, რომ ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების მხედველობაში მიღებით, ცნობა ნასამართლეობის შესახებ და პროკურატურის პასუხი ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად და ვერ დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ გავრცელებული შეფასებები იყო უსაფუძვლო. ამასთან, კასატორების მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საქმე ეხება ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირის ნათესავს და ცნობილ ბიზნესმენ უ. მ.-ს, თავისთავად მიაჩნდება იმაზე, რომ გამოძიების არ დაწყება მის წინააღმდეგ არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ მოპასუხეების მიერ გაკეთებული შეფასებები უსაფუძვლოდ იქნეს მიჩნეული; ბ) მოწმეთა ჩვენებებთან მიმართებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა გაეთვალისწინებინა ერთი მხრივ, ვინაობა თავად მოსარჩელის, ხოლო, მეორე მხრივ, მოწმეების ვინაობა და თანამდებობები და ისე შეეფასებინა მოწმეთა სანდოობა. დაკითხული მოწმეებიდან უმრავლესობა წარმოადგენდა ელექტროენერგიის სფეროში მაღალი თანამდებობის მქონე, ან გავლენიან პირებს, რომლებისგანაც, მათი პირადი ინტერესებიდან (როგორც რეპუტაციული, ისე ეკონომიკური) გამომდინარე, არ არსებობდა მოლოდინი, რომ პირდაპირ დაასახელებდნენ სავარაუდო დანაშაულებრივ საქმეში მონაწილე პირებს, რაც მათაც გახდიდა თანამონაწილეებად. ამდენად, მათ თავად ჰქონდათ პირადი დაინტერესება საკითხის ირგვლივ, რომ არ გამჟღავნებულიყო ის სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები, რისი ვარაუდიც გააჩნიათ მოპასუხეებს; გ) მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლომ სწორად შეაფასოს შპს „ა.ჯ.დ.ჯ.-ას“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა. ამ მიმართებით, კასატორები ყურადღებას ამახვილებენ „ა.ჯ.დ.ჯ.-ას“ წერილში არსებულ ინფორმაციაზე, რომელსაც სს „მ.ს.კ.-ისთვის“ (უ. მ.-ის მიერ დაფუძნებული საინვესტიციო კომპანია) იჯარის უფლებით აქვს გადაცემული საიჯარო ფართი ბიზნეს ცენტრში „ს. თ-ი“. აღნიშნული წერილის საფუძველზე, შპს „ა.ჯ.დ.ჯ.-ას“ თქმით, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით ე.წ „ქოლ-ცენტრები“ ბიზნეს ცენტრში „ს. თ-ი“ აღმოჩენილი არ არის და არანაირი საგამოძიებო მოქმედება აღნიშნულის მიზნით არ ჩატარებულა. ასევე, წერილში ნათქვამია, რომ სს „მ.ს.კ.-ის“ გარდა უ. მ.-ი პირადად ან მათ ხელთ არსებული

ინფორმაციით, მასთან დაკავშირებული რომელიმე კომპანიის მეშვეობით არ ფლობს სხვა საიჯარო ფართს ბიზნეს ცენტრში „ს. თ-ი“. კერძოდ, არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ იმ ფართის მესაკუთრე, სადაც სავარაუდოდ არის განთავსებული „ქოლ-ცენტრები“, თავად დაადასტურებს მათ არსებობას და შესაბამისად, თავადვე აღიარებს დანაშაულებრივ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებას ან მათ დაფარვას. ამდენად, შპს „ა.ჯ.დ.ჯ-ა“ თავად წარმოადგენს უშუალოდ დაინტერესებულ პირს, რომლის ინტერესებშიც არ შედის მისივე საკუთრებაში არსებულ ფართში სავარაუდო ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ქმედებების აღიარება და არც არსებობს მოლოდინი იმისა, რომ ის სასამართლოს მიანვიდია აღნიშნულ ინფორმაციას; ამასთანავე, საყურადღებოა რომ აღნიშნული ინფორმაცია შპს „ა.ჯ.დ.ჯ-ამ“ მხარეს და სასამართლოს მიანოდა 2022 წლის 10 მაისს, ხოლო სასამართლოში მტკიცებულებად წარმოდგენილია 2022 წლის 9 აპრილის გადაცემა შპს „მ. ა-ძე“, სადაც ქოლ-ცენტრის ყოფილი თანამშრომელი უყვება ნ. გ-ს, რომ იმ პერიოდისთვის ქოლ-ცენტრები აღარ იყო იმ ტერიტორიაზე. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, წერილი ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ქოლ-ცენტრები 2022 წლის 10 მაისამდე არ იყო „ს. თ-ის“ ტერიტორიაზე განთავსებული. მნიშვნელოვანია ასევე, „მ. შ-ის“ 2021 წლის 11 დეკემბრის სიუჟეტის ფარგლებში ჩატარებული ჟურნალისტური ექსპერტიმენტი. ექსპერტიმენტის ფარგლებში, ჟურნალისტი მიდის „ს. თ-ის“ შენობაში განთავსებულ ოფისში, თითქოს „ქოლ-ცენტრების“ გასაუბრებაზე, რის შემდეგაც შენობაში მყოფი პირები უდასტურებენ ქოლ-ცენტრების არსებობას. ამდენად, კასატორების შეფასებით, აღნიშნული გარემოებაც ეჭვქვეშ აყენებს წერილის სანდოობას და ის ვერ ჩაითვლება საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად, რაც გამორიცხავს „ქოლ-ცენტრის“ არსებობას „ს. თ-ის“ შენობაში და მის სავარაუდო კავშირს უ. მ-თან. დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, კასატორები მიიჩნევენ, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ვერც ერთი მტკიცებულება ვერ ჩაითვლება უტყუარად და ვერ აღმოჩნდება მოპასუხეებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო ის მაღალი სტანდარტი, რომელიც არსებობს ცილისწამების დავებში და ისე, რომ საქმეში არ იყო უტყუარი მტკიცებულებები, რაც ფაქტების სიმცდარეში დაარწმუნებდა, განცხადებები მიიჩნია ცილისმწამებლურად;

7.1.12. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ უ. მ-ი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საჯარო პირად, ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოების პრაქტიკასა და განმარტებებს საჯარო პირ-

თან დაკავშირებით. უ. მ-ი ხშირად ექცეოდა მედიის ყურადღების ცენტრში, მასზე ღიად საუბრობდა ბ. ი-ი ტელევიზიაში და შესაბამისად, მასზე საზოგადოების ყურადღება იყო მიპყრობილი წლების განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს განმარტება, თითქოს მოპასუხეები უ. მ-ის საჯარო პირად ცნობას ითხოვდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ის ბ. ი-ის დეიდაშვილის, არასწორია. მოპასუხეებმა არაერთხელ მიუთითეს, რომ უ. მ-ი მისი დღევანდელი საქმიანობიდან გამომდინარეც უნდა იქნეს მიჩნეული საჯარო პირად, რამეთუ იგი არის გავლენიანი ბიზნესმენი, რომელზეც არაერთხელ გაჟღერებულა ინფორმაცია მედიებში და რომლის მიმართაც, მიპყრობილია საზოგადოებრივი ყურადღება.

7.1.13. კასატორების განმარტებით, უ. მ-ი სარჩელის არც ერთ ნაწილში არ უთითებს, რომ მოპასუხეებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ გავრცელებული ინფორმაციის ცილისმწამებლური ხასიათის შესახებ; ამასთან მას, როგორც საჯარო პირს, ასევე უნდა ემტკიცებინა, რომ მოპასუხეებმა გამოიჩინეს აშკარა და უხეში დაუდევრობა და გავრცელეს ცილისმწამებლური ინფორმაცია. მოსარჩელეს არც აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაშვების დონეზე იქნება მიჩნეული, რომ მოპასუხეებმა გაავრცელა არსებითად მცდარი ფაქტები, ის დაცულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიით.

7.1.14. სასამართლოს მიერ დადგენილი განცხადებების უარყოფა კასატორების მოსაზრებით, საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებას. მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში მიიღოს ის გარემოებებიც, რომ ვ. უ-ძე სადავო სიუჟეტებში მოწვეული იყო როგორც ექსპერტი, რომელიც მუშაობს „ანტიკორუფციულ მოძრაობაში“. არც მას და არც ლ. ფ-ვას არ აქვთ შესაძლებლობა თავად, საკუთარი სურვილიდან გამომდინარე მოსთხოვონ მედიის წარმომადგენლებს დაუთმონ მათ საეთერო დრო. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მოპასუხისთვის დასაკისრებელი ქმედებები არ უნდა იყოს შეუძლებელი. ამ შემთხვევაში, მოპასუხეები ვერ დაავალდებულებენ ტელევიზიებს დაუთმონ საეთერო დრო განცხადებების გასაკეთებლად, რაც შეუძლებელს ხდის სასამართლოს მიერ დაკისრებული ქმედებების შესრულებას. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნა ლახავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას. ევროპული კონვენციის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე, ინფორმაციის გავრცელების უფლებას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ტელეკომპანიებისთვის იმის დაკისრება, რომ საეთერო დრო დაუთმონ მოპასუხეებს, იქნება მათ სარედაქციო პოლიტიკაში უხეში ჩარევა და ეწინააღმდეგება მე-

დიის თავისუფლების სტანდარტებს.

7.1.15. კასატორების განმარტებით, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოებაც, რომ მოპასუხეები წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ხელისუფლების წარმომადგენლების შესაძლო მხილება. სააპელაციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და არასამთავრობო მიერ დადგენილი პრინციპები უნდა მიეღოს მხედველობაში ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლიდან, მათი განცხადებების საჯარო დისკუსიებში წვლილის შეტანიდან და მოსარჩელის (როგორც საჯარო პირის) თემნის ვალდებულებიდან გამომდინარე დაედგინა სამართლიანი ბალანსი ორ ურთიერთდაპირისპირებულ უფლებას შორის. ამის მიუხედავად, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტები და უპირობოდ მიანიჭა უპირატესობა უ.მ-ის რეპუტაციის დაცვას (სადავო განცხადებების არასწორი შეფასებით და მათი ცილისწამებად მიჩნევით). გარდა ამისა, მან გადაწყვეტილებაში ეჭვქვეშ დააყენა მოპასუხე არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის რეალური მიზნები. სააპელაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების უგულვებელყოფით, უპირატესობა მიანიჭა პირადი ცხოვრების უფლებას.

7.1.16. კასატორების განმარტებით, იურიდიული პირი, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, დამოუკიდებლად, წარმომადგენლების გარეშე, ვერ გააკეთებს ვერანაირ განცხადებას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მედიით გავრცელებულ ინფორმაციას ავრცელებს ფიზიკური პირი ჟურნალისტი, პასუხისმგებლობა ეკისრება არათუ მას, არამედ თავად მედიის მესაკუთრეს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ჩანანერები ვრცელდება მედიებზე და მის მესაკუთრეებზე, ანალოგიური მსჯელობა რელევანტურია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართაც. შესაბამისად, ფიზიკური პირები – ვ. უ-ძე და ლ. ფ-ვა საკასაციო პალატამ უნდა მიიჩნიოს არასათანადო მოპასუხეებად და მათ წინააღმდეგ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება, რადგან ისინი განცხადების გაკეთებისას წარმოადგენენ ორგანიზაციას და ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ შეფასებებს აჟღერებდნენ.

7.1.17. გარდა ზემოაღნიშნულისა, კასატორების პრეტენზია შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, თანხის დაკისრების სამართლებრივ საფუძველსა და დაკისრებული თანხის ოდენობასაც. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განმარტებები ზიანთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკასთან. ამასთან, კასატორები ყურად-

ლებას ამახვილებენ მონმე გ. ც-ვას ჩვენებაზე, რომელიც უ. მ-ის ბიზნესპარტნიორია და რომელმაც ვერ დაადასტურა მიზეზობრივი კავშირი გაკეთებულ განცხადებებსა და სავარაუდო მორალურ ზიანს შორის. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვერ უთითებს ვერცერთ ისეთ გარემოებაზე, რომელიც დაადასტურებდა მიყენებულ ზიანს, არაგონივრულია მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც დაეკისრათ მოპასუხეებს.

7.1.18. კასატორები გასაჩივრებულ განჩინებას სადავოდ ხდიან იმ ნაწილშიც, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 13 ივნისის, 06 ივლისისა და 29 ივლისის საოქმო განჩინებები მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ. კასატორების მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ხ-ი არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად იყო ჩართული ე.წ „ქოლ-ცენტრების“ საქმის გამოძიებაში, მას სასამართლოში შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დასკვნები და შეფასებები გაკეთებული იყო ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის შედეგად, რაც ცალსახად გამორიცხავდა მოპასუხეების მიერ აშკარა და უხეში დაუდევრობის გამოჩენას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში აღნიშნული გარემოებები და დაუსაბუთებლად თქვა უარი მონმის დაკითხვაზე, რაც ასევე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიზიარა საპელაციო სასამართლომაც. კასატორებს მიაჩნიათ, რომ განჩინება, რითაც უარი ეთქვათ მოპასუხეებს ლ. ხ-ის მონმედ დაკითხვაზე, უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან მას სასამართლოსთვის შეეძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება სადავო საკითხის ირგვლივ. ლ. ხ-ის მსგავსად, საქმისათვის რელევანტური ინფორმაციის მიწოდება შეეძლოთ ნ. გ-სა და გ. ქ-იასაც, რომელთა მონმედ დაკითხვაზეც ასევე დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 20 თებერვლის განჩინებით, ააიპ „ა.მ.“, ვ. უ-ძისა და ლ. ფ-ვას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესაძლებლობად, ხოლო, ამავე სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განჩინებით, უ. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მარტის განჩინებით ააიპ „ა.მ.“, ვ. უ-ძისა და ლ. ფ-ვას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის (არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისათან დაკავშირებულ დავებზე) საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შემოწმებისა და მოსარჩელის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). შესაბამისად, წინამდებარე განჩინების 6.1.1.-6.1.14 პუნქტებში მითითებულ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

12. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებათა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

13. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სა-

მართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (იხ.: სუსგ საქმეებზე: №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

14. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის (მოპასუხეთა მიერ, საჯარო სივრცეში გაკეთებული განცხადებების ცილისწამებად აღიარება, გავრცელებული ცილისწამებლური ინფორმაციის უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება), სასარჩელო მოთხოვნებისა და მის საფუძველად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, საკასაციო პალატას აძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოიცავს დათქმას სპეციალურ – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონზე.

15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. შესაბამისად, სადავო საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და დასადგენად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის სამართლებრივი დანაწესიდან გამომდინარე, გამოყენებულ უნდა იქნეს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც წარმოადგენს პატივისა და ღირსების სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმატიულ აქტს და საბოლოოდ ქმნის საკითხის სამართლებრივად გადაწყვეტის წინაპირო-

ბას.

16. მოხმობილი ნორმების სადავო ფაქტებთან სუბსუმირების მიზნით, საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, სპეციალური კანონის მე-3 მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე – ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები (დამატებით იხ. სპეციალური კანონის მე-2 მუხლი: ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად).

16.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავდემუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

16.2. სპეციალური კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება.

16.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – „კონვენციის“) მე-10 მუხლით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხე-

დავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

17. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორების პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს.

18. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში სადავოა და კასატორები არ ეთანხმებიან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს მოპასუხეთა მიერ გავრცელებული სადავო გამონათქვამების ცილისწამებად შეფასებისა და აღნიშნულის გამო, მათთვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. კასატორები გასაჩივრებული განჩინების მოტივაციის საპირისპიროდ მიიჩნევენ, რომ განცხადებები დაფუძნებული იყო სუბიექტურ შეფასებებზე, რაც მათი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის მიერ უნდა შეფასდეს, ვლინდება თუ არა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა) ან მე-14 (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის

წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება), 17.1 (ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადანაცვეტილების შესახებ), 17.3 (თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება) მუხლებით და ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413.1 (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით) მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. ამისათვის კი, აუცილებელია გაირკვეს – მოპასუხეთა მიერ, მოსარჩელის შესახებ საჯაროდ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენდა თუ არა ცილისწამებას (დიფამაციური შინაარსის განცხადებას), რომელმაც შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია; ამასთან, შესაფასებელია, მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის უფლებების დასაცავად.

19. იმისათვის, რომ გამოყენებული იქნეს კონვენციის მე-8 მუხლი, პირის რეპუტაციაზე თავდასხმა უნდა ატარებდეს სიმძიმის გარკვეულ ხარისხს და განხორციელებული უნდა იყოს პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე წინასწარ შექმნილი განწყობით გავლენის მოხდენის მიზნით (იხ. „Delfi AS v. Estonia“ [GC], no. 64569/09, § 137, ECHR 2015 და „Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina“ [დიდი პალატა], № 17224/11, § 76, 27 ივნისი 2017). იმ საშუალების ზომა, რომლის ფარგლებშიც ჩაითვლება დაცულად კონვენციის მე-8 მუხლი, ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლებში ექცევა, პოზიტიურია სახელმწიფოს ეს ვალდებულება თუ ნეგატიური. ასევე კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფლება იმის შეფასებისას, თუ რამდენად და რა მოცულობით ჩაითვლება აუცილებლად ჩარევა ამ მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში (იხ. „Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland“ [დიდი პალატა], № 931/13, § 162, 27 ივნისი 2017 და „Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France“ [დიდი პალატა], № 40454/07, § 90, ECHR 2015).

20. რამდენადაც სპეციალური კანონი ერთმანეთისაგან განასხვა-

ვებს კერძო პირისა და საჯარო პირის სტატუსს და ამ პირთა მიმართ ცილისწამებისას მოსარჩელის მტკიცების ფარგლებს, ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე სადავო მოსარჩელის სტატუსი, საკასაციო პალატა პირველ რიგში იმსჯელებს მოსარჩელე წარმოდგენს კერძო პირს თუ საჯარო პირს.

21. კერძო და საჯარო პირების განსაზღვრებას იძლევა სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, საჯარო პირი არის – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადანაცვები ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება (სპეციალური კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), ხოლო, კერძო პირი არის – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით, საზოგადოებრივ ყურადღებად განიშარტება – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. ამასთან, სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (მოქმედი რედაქციით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“) საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს „თანამდებობის პირთა“ ჩამონათვალს.

22. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ უ. მ-ს 2012 წელს ეკავა სს „ს. ფ-ის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მრჩეველის თანამდებობა; 2013 წლის 22 ნოემბრიდან მოსარჩელე დაინიშნა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ, თუმცა, 2016 წლის 11 თებერვლის აღმასრულებელი დირექტორის №04-1 ბრძანებისა და უ. მ-ის პირადი განცხადების საფუძველზე, იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ამდენად, დადგენილია, რომ სადავო განცხადებების გავრცელების პერიოდში, უ. მ-ი არ წარმოადგენდა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით (სადავო განცხადებების გავრცელების პერიოდში მოქმედი რედაქცია) განსაზღვრულ „თანამდებობის პირს“, რამეთუ სადავო პერიოდში იგი ეწეოდა და დღეის მდგომარეობითაც ეწევა ბიზნეს საქმიანობას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მასზედ, რომ უ. მ-ი მისი დღევანდელი საქმიანო-

ბიდან გამომდინარეც უნდა იქნეს მიჩნეული საჯარო პირად, ვინაიდან იგი არის გავლენიანი ბიზნესმენი, რომელზეც ღიად საუბრობდა ტელევიზიაში ბ. ი-ი და რომლისკენაც მიპყრობილია საზოგადოებრივი ყურადღება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას მასზედ, რომ მოსარჩელე არ გამოირჩევა საჯარო გამოსვლებითა და აქტივობით. იგი ვერ მიიჩნევა საზოგადოების ფართო მასებისათვის ცნობად პირად, რომლის საქმიანობა აქტიურად განიხილებოდა/განიხილება ფართო საზოგადოების მხრიდან; მეტიც, საზოგადოების უმრავლესობისათვის უ. მ-ის სახელი და გვარი უცნობი იყო და მისი ტელევიზიის მეშვეობით გაჟღერება სწორედ მოპასუხეთა მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს უკავშირდება. ამასთან, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ბ. ი-ის მხრიდან უ. მ-ის საჯარო ინტერვიუში ხსენება, „საჯარო პირად“ მიჩნევისათვის საკმარის წინაპირობას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ კანონი პირის მიმართ საზოგადოების ყოველგვარ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსს არ ანიჭებს. შესაძლოა ბ. ი-თან კავშირის გამო, ან თუნდაც, უ. მ-ის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესი და ცნობისმოყვარეობა მის მიმართ მართლაც არსებობს, თუმცა ასეთ ინტერესს კანონი საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსს არ ანიჭებს, რამეთუ იგი დაკავშირებული არ არის საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის დასკვნას მასზედ, რომ მოსარჩელე „კერძო პირის“ სტატუსში ექცევა.

23. სპეციალური კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა. მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, ვალდებული მოსარჩელეა, ამტკიცოს, რომ შესრულებულია ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა, კერძოდ:

- ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
- გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და

საქმიან რეპუტაციას.

24. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია და სადავო არ არის, რომ:

24.1. 2022 წლის 30 იანვარს, ტელეკომპანია „პ-ის“ გადაცემა „დ. ა-ში“ ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მოქალაქეების კიბერთავდასხმა“.

24.2. 2022 წლის 31 იანვარს, რადიო თ-ის ჟურნალისტთან ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეიდაშვილი, რომელიც კურიერებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში, თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“.

24.3. 2022 წლის 18 თებერვალს, ტელეკომპანია „მ-ის“ გადაცემა „მ. ა-ში“ ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ, როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებული ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე, სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“.

24.4. 2022 წლის 10 თებერვალს, „ე. ჯ-ს“ სიუჟეტში ვ. უ-ძის მიერ გაკეთდა განცხადება: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის საიდანაჯ ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომპანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მთავარი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“.

24.5. 2022 წლის 10 თებერვალს ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გავიდა ლ. ფ-ვას განცხადება: „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომლის კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლებიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“.

24.6. 2022 წლის 10 თებერვალს, ტელეკომპანია „ფ-ას“ ეთერში გავი-

და ვ. უ-ძის განცხადება: „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკრულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში, ხდება ფასნამატის გაკეთება შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სადაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“.

24.7. 2022 წლის 21 იანვარს, ტელეკომპანია „მ-ის“ ეთერში გავიდა ვ. უ-ძის განცხადება: „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფციული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტროსისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება, ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახელები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მთავარი ბოსი, შეიძლება ითქვას, უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით, თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა საქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“.

24.8. მხარეთა შორის დავას არ იწვევს არც ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული სადავო განცხადებების გამოქვეყნება მოხდა ასევე მოპასუხე ორგანიზაციის ააიპ „ა.მ.“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

25. საკასაციო საჩივრის შესწავლითაც ირკვევა, რომ კასატორები სადავოდ არ ხდიან ტელეკომპანია პ-ის გადაცემა „დ. ა-ში“, ტელეკომპანია „მ-ის“ საინფორმაციო გამოშვებაში, რადიო თ-ის ეთერში, ე. ჯ-ს ეთერში, ტელეკომპანია მ-ის გადაცემა „მ. ა-ში“, ტელეკომპანია „ფ-ას“ ეთერში და ასევე, ორგანიზაცია ააიპ „ა.მ.“ ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე მოსარჩელის შესახებ სადავო განცხადებების მათი მხრიდან გავრცელების ფაქტს, შესაბამისად, სახეზეა სპეციალური კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული, მოსარჩელის მტკიცების ფარგლებში შემავალი პირველი გარემოება – მოპასუხეებმა მოსარჩელის შესახებ გავრცელებს სადავო განცხადებები.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს განეკუთვნება იმის დადასტურება, რომ გავრცელებული ინფორმაცია არსებითად მცდარ ფაქტებს წარმოადგენს და არა პირის მოსაზრებას/მის სუბიექტურ ვარაუდს/შეხედულებას, რამეთუ ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება.

27. პალატა აღნიშნავს, რომ ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა, როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

შესახებ“ კანონის, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზით, მათი განსხვავება შესაძლებელია.

28. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“ (პ-ი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად: „ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს“ (2); „ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ“ (5); „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“ (6); „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ“.

28.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, როგორც წესი, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ფაქტის გადამოწმება და დადგენა, რეალურად არსებობდა თუ არა ის, შესაძლებელია. უმეტეს შემთხვევაში აზრები და ფაქტები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მათი გამოიჯვანა არცთუ ისე ადვილია. რეალურად გამოხატვის (გამოთქმის) ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება ე.წ. „სუფთა სახით“. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადას-

ტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან, როგორც ფაქტის გადმოცემის, სამართლებრივი კვალიფიკაციის დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (სუსგ-ები: №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ; №ას-790-739-2017, 17.01.2018წ; №ას-928-868-2017, 17.01.2018წ; №ას-989-2019, 28.06.2022წ.). სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემონმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ-ები №ას-1477-1489-2011, 3.04.2012წ.; №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.).

28.2. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა: „ფაქტის მტკიცებას ახასიათებს – მტკიცებულებით დადასტურებადი – ობიექტური კავშირი გამოთქმულსა და სინამდვილეს შორის, მაშინ, როდესაც, აზრის/მოსაზრების მაკვალიფიცირებელია პოზიციის ან რწმენის ელემენტი (იხ. სუსგ საქმეზე №ას-547-2020, 14.12.2021 წ.).

28.3. ევროსასამართლომ აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხაზგასასმელად, თავის გადანყვეტილებებში საქმეებზე: ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (*Lingens v. Austria*, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Oberschlik v. Austria* (Application no. 11662/85 (N1), 1991 23.05.1991) გამიჯნა განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არაღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ, 1997 წლის 24 თებერვალი, §42, ანგარიშები 1997-I_ *De Haes and Gijssels*, §42.), თუმცა, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანაზომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“ გასაჩივრებული განცხადებისათვის; თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული (*De Haes and Gijssels v. Belgium*, §47; ობერშლიკი ავსტრიის წინა-

აღმდეგ (N2), 1997 წლის 1 ივლისი, §33, ანგარიშები 1997-IV (Oberschlick v. Austria (no. 2), 1 July 1997, § 33, Reports 1997-IV); ბრასილიერი საფრანგეთის წინააღმდეგ, №71343/01, § 36, 11/04/2006 (Brasilier v. France, no. 71343/01, § 36, 11 April 2006) და ლინდონი, ოჩაკოვსკი-ლაურენსი და ჟული, §55_ Linton, Otchakovsky-Laurens and July, § 55). ფაქტობრივი ბრალდებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ განცხადებები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების თაობაზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას (იხ. Morice v. France [GC], no. 29369/10, §126, ECHR 2015).

29. როგორც უზენაესმა სასამართლომ განმარტა (სუსგ №ას-677-638-2011, 24.09.2012წ.) ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (სუსგ №ას-179-172-2012, 01.10.2014წ.; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.). განსახილველ შემთხვევაში, სადავო განცხადებებით გამოცემული ინფორმაცია ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და არცერთი გადმოცემული ფაქტი არ არის მოკლებული ობიექტურ (ფაქტობრივ) სიცხადეს. კერძოდ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჯაროდ გავრცელებულ სადავო განცხადებებში, მოპასუხეთა მხრიდან, მოსარჩელის მისამართით ვრცელდებოდა ინფორმაცია ორ საკითხთან მიმართებით: ერთი მხრივ, საუბარი იყო უ. მ-ის კავშირის არსებობაზე ე.წ. „ქოლ ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან (30.01.2022 წ. – ტელეკომპანია „პ-ი“; 31.01.2022 წ. – რადიო „თ-ა“; 18.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“), ხოლო, მეორე მხრივ, უ. მ-ის კავშირის არსებობაზე ელექტრონერგიის იმპორტთან და აღნიშნული საფუძვლით, მოსახლეობისათვის ტარიფის გაძვირებაზე (10.02.2022 წ. – „ე.ჯ.“; 10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“; 10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „ფ-ა“; 21.01.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“).

30. ე.წ. „ქოლ ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირზე მოპასუხე ვ. უ-ძე აღნიშნავს შემდეგს: „ეს არის ადამიანი, კორუფციის სიმბოლო საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეს არის უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ შესახებ, საიდანაც ხდება ევროპის მოქალაქეების კიბერთავდასხმა“ (30.01.2022 წ. – ტელეკომპანია „პ-ი“); „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტუ-

ლი პირები, მათ აქვთ სახელები და გვარები. ეს არის უ. მ-ი, ი-ის დეი-
დაშვილი, რომელიც კურიერებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში,
თუ ამას შეიძლება ბიზნესი დავარქვათ“ (31.01.2022 წ. – რადიო „თ-ა“);
„გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი და თქვენ,
როგორც აღნიშნეთ ბიზნესის ფრთა, რომლებიც პირადად აფინანსებენ
საარჩევნო კამპანიებს არაფორმალურ ნაწილში, ეს არის ამომრჩევლე-
ბის მოსყიდვა, ე.წ. ქუჩის დაფინანსება, ისინი რჩება, განსაკუთრებუ-
ლი ზომების დაცვით, მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების
ბოლო სართულებზე, სადაც შესვლა ფაქტიურად შეუძლებელია“
(18.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“), ხოლო, ელექტროენერგიის იმ-
პორტთან უ. მ-ის კავშირსა და აღნიშნული საფუძვლით, მოსახლეობი-
სათვის ტარიფის გაძვირებაზე, მოპასუხეები – ვ. უ-ძე და ლ. ფ-ვა აღ-
ნიშნავენ შემდეგს: „გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ გვაქვს დაზუსტე-
ბული ინფორმაცია, რომ საქართველოსა და იმ ქვეყნებს შორის საიდა-
ნაც ჩვენ ვყიდულობთ ელექტროენერგიას, არსებობენ შუამავალი კომ-
პანიები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ ერთ როლს, ეს
არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთა-
ვად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მთა-
ვარი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“ (10.02.2022
წ. – „ე.ჯ.“, ვ. უ-ძე); „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმა-
ლური მმართველები, როგორიც არის ბატონი ფ-ძე, ბატონი უ. მ-ი, რომ-
ლის კომპანიები და კონკრეტულად ის შუამავალი კომპანიები, რომლე-
ბიც იმპორტიდან სარგებლობენ და მიაქვთ ე.წ. „შავი ფული“ და ამაში
ჩართული არის სემეკის თავმჯდომარე ბატონი ნ-ია და ეს არის დიდი
ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელ-
მძღვანელობს ი-ის რეჟიმი“ (10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“, ლ. ფ-
ვა); „დღეს ჩვენ მოვედით ასევე ესკოსთან, ენერგეტიკული ბაზრის
მმართველ კომპანიასთან, რომელიც უშუალოდ აფორმებს ამ ხელშეკ-
რულებებს უ. მ-ის ე.წ. შუამავალ კომპანიებთან და ამ შემთხვევაში,
ხდება ფასანმატის გაკეთება შუამავალი კომპანიების მეშვეობით, სა-
დაც სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკე-
თებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინა-
ლური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“ (10.02.2022 წ. –
ტელეკომპანია „ფ-ა“, ვ. უ-ძე); „ეს კამპანია ემსახურება იმ კორუფცი-
ული სქემის დამარცხებას, რომელიც არის საქართველოს ელექტრო-
სისტემაში და ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარი-
ფი გვიძვირდება, ამას ჰყავს თავისი შემოქმედები და მათ აქვთ სახე-
ლები და გვარები, ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მთა-
ვარი ბოსი, შეიძლება ითქვას, უ. მ-ი, რომელიც თავისი კომპანიებით,
თავისი გარემოცვით არის ჩართული კორუფციულ სქემაში, როცა სა-

ქართველო ახდენს ელექტროენერგიის შეძენას იმპორტზე, ეს არის რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი“ (21.01.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“, ვ. უ-ძე).

31. აზრისა და ფაქტის გამიჯვნის მიზნებისათვის, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს თითოეულ საკითხთან მიმართებით განცხადების გაკეთებისას, მოპასუხეთა მიერ გამოყენებულ კონკრეტულ ფრაზებს, კერძოდ: „... უ. მ-ი, რომელიც ხელმძღვანელობს და მფარველობს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ დანაშაულს, ეს არის ტრანსნაციონალური დანაშაული და ყველას გვაქვს ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ შესახებ ...“ (30.01.2022 წ. – ტელეკომპანია „პ-ი“, ვ. უ-ძე); „ამ ქოლ-ცენტრების უკან დგანან კონკრეტული პირები, ... ეს არის უ. მ-ი ... რომელიც კურიერებს მთლიანად ამ ბიზნესს საქართველოში ...“ (31.01.2022 წ. – რადიო „თ-ა“, ვ. უ-ძე); „გამორჩეულად ქოლ-ცენტრები, რომლებსაც ფლობენ უ. მ-ი ... მათი ოფისები იქნება განთავსებული თაუერების ბოლო სართულებზე ...“ (18.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“, ვ. უ-ძე); „... ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ... ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება, რაც თავისთავად აძვირებს თვითღირებულებას ელექტროენერგიის და ეს არის მთავარი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“ (10.02.2022 წ. – „ე.ჯ.“, ვ. უ-ძე); „ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორიც არის ბატონი უ. მ-ი ... ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“ (10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“, ლ. ფ-ვა); „... სახელმწიფოს და მოქალაქეების ხარჯზე მილიონობით ლარს აკეთებს უ. მ-ი და მისი გარემოცვა, რომელიც არის დაკავებული კრიმინალური და კორუფციული საქმიანობით ამ ქვეყანაში“ (10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „ფ-ა“, ვ. უ-ძე); „... ის, რომ ჩვენ (მოსახლეობას) ელექტროენერგიის ტარიფი გვიძვირდება, ამას ჰყავს თავისი შემოქმედები ... ეს არის არაფორმალური ვერტიკალის ერთ-ერთი მ-ი ბოსი, შეიძლება ითქვას, უ. მ-ი...“ (21.01.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“, ვ. უ-ძე). საკასაციო პალატის მოსაზრებით, დასახელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის, არც მისი შინაარსის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში, არ იძლევა მათი „აზრის“ კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, რამეთუ მათი მეშვეობით, მოპასუხეები დადასტურებულად აღწერენ და მოსაზრებაზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ე.წ. „სუფთა სახით“ მიუთითებენ „ობიექტურად არსებულ გარემოებებზე“ და შეიცავენ ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელთა დადასტურება ან უარყოფა უთუოდ შესაძლებელია. მოპასუხეთა მხრიდან გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით, რომ მოსარჩელე წარმოჩინდა, ერთი მხრივ, ტრანსნაციონალური დანა-

შაულის ხელმძღვანელად თუ მფარველად, ხოლო, მეორე მხრივ, ელექტროენერგიის იმპორტთან კავშირში ყოფნის გამო, მოსახლეობისათვის ტარიფის გაძვირებაზე პასუხისმგებელ პირად, რაც ამ შემთხვევაშიც, დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებს; დასახელებულ ფაქტებზე/“ობიექტურად არსებულ გარემოებებზე“ კი, სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები ვრცელდება.

32. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ევროსასამართლოს განმარტებით, რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). განსახილველ შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული განცხადებების კონტექსტისა და შინაარსის გათვალისწინებით, ისინი ერთობლიობაში განაპირობებდა მოსარჩელისათვის შერაცხული ქცევის განსაკუთრებულად შეუსაბამოდ მიჩნევას, როგორც მორალური, ისე სოციალური თვალსაზრისით, ე.ი. ბრალდება მეტად სერიოზულს წარმოადგენდა, ვინაიდან განმცხადებლები მოსარჩელეს დანაშაულის ჩადენაში სდებდნენ ბრალს, თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოებები, რომ უ. მ-ი არ არის ნასამართლელი, არ იმყოფება ძებნაში, ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ საქმიანობის ირგვლივ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მას არ აქვს რაიმე სახის საპროცესო სტატუსი და არ მომხდარა მისი დაბარება ან/და გამოკითხვა, საკმარისია იმ შეფასების გასაკეთებლად, რომ დადასტურებული შეუსაბამობა არსებობს სინამდვილესა და განცხადებაში გადმოცემულ ფაქტებს შორის. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირის არსებობაზე გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა. იმ პირობებში კი, როდესაც მოსარჩელემ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელიც უარყოფს მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებების შინაარსს, სამოქალაქო პროცესში არსებული მტკიცების ტვირთი ბრუნდება და სწორედ მოპასუხეს (კასატორს) ეკისრება ვალდებულება, მიუთითებული ფაქტის სინამდვილის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულებები წარმოადგინოს. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა რაიმე რელევანტური მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს ფაქტების სისწორეში დაარწმუნებდა.

33. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორების იმ არგუმენტსაც, რომლითაც ისინი ეჭვქვეშ აყენებენ შპს „ა.ჯ.დ.ჯ-ას“ წერილისა და მასში გადმოცემული ინფორმაციის სანდოობას და მიიჩნევენ, რომ დასახელებული წერილი ვერ ჩაითვლება საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად, რაც გამორიცხავს „ქოლ-ცენტრის“ არსებობას „ს. თ-ის“ შენობაში და მის საგარეუდო კავშირს უ. მ-თან. აღნიშნულთან

დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირის არსებობაზე გავრცელებული განცხადებების ცილისწამებად მიჩნევის ნაწილში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა ეყრდნობა არა შპს „ა.ჯ.დ.ჯ-ას“ წერილსა და მასში გადმოცემული ინფორმაციას, არამედ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს 2022 წლის 08 ივნისის ცნობას, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 17 მაისის № 13/29951 წერილსა და იმ გარემოებას, რომ მოპასუხეებმა მტკიცების ტვირთის შემობრუნების ფარგლებში ვერ წარმოადგენს მითითებული ფაქტის სინამდვილის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულებები. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოების საკვლევ გარემოებას წარმოადგენდა უშუალოდ უ. მ-ის კავშირის დადგენა ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან, რის დასადასტურებლადაც, მარტოოდენ „ს. თ-ის“ შენობაში ე.წ. „ქოლ-ცენტრის“ არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენა, საკმარისად ვერ მიიჩნევა და გადანყვეტილებას საფუძვლად ვერ დაედება.

34. რაც შეეხება ელექტროენერგიის იმპორტთან უ. მ-ის კავშირსა და აღნიშნული საფუძვლით, მოსახლეობისათვის ტარიფის გაძვირებაზე გავრცელებულ განცხადებებს, პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ვერ დაუპირისპირა სააპელაციო პალატის მსჯელობას მასზედ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა: დ. ნ-იას, დ. თ-ის, ზ. ნ-ის და გ. გ-ის ჩვენებების, ასევე, ენერგეტიკული ბაზრის მმართველი კომპანიიდან (ე.წ. „ესკო“) და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომპანიიდან (ე.წ. „სემეკი“) მოპასუხე მხარის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, გამოირიცხა უ. მ-ის რაიმე შემხებლობა აღნიშნულ საქმიანობასთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, მტკიცების ტვირთის შემობრუნების ფარგლებში, კასატორებს არ წარმოუდგენიათ საპირწონე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის კავშირს ელექტროენერგიის ტარიფების გაზრდასთან. ასეთ ვითარებაში კი, მოსარჩელემ დაძლია სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების (ელექტროენერგიის იმპორტთან უ. მ-ის კავშირსა და აღნიშნული საფუძვლით, მოსახლეობისათვის ტარიფის გაძვირებაზე გავრცელებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.

35. რაც შეეხება კასატორების არგუმენტს მასზედ, რომ დაკითხულ მოწმეთაგან უმრავლესობა წარმოადგენდა ელექტროენერგიის სფერო-

ში მაღალი თანამდებობის მქონე პირებს და თავად ჰქონდათ პირადი დაინტერესება საკითხის ირგვლივ, რომ არ გამჟღავნებულიყო ის სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა ვარაუდიც გააჩნიათ მოპასუხეებს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სტრასბურგის სამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Lüdi v. Switzerland*, გადანყვეტილება 15.06.1992, სერია A, N238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zraggen v. Switzerland* გადანყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

36. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ მიუთითებენ სარწმუნო არგუმენტებსა და რაიმე რელევანტურ მტკიცებულებებზე დაკითხულ მოწმეთა დამოუკიდებლობის სანინაალმდეგოდ, ხოლო, მარტოოდენ კასატორების სუბიექტურ აღქმებზე დამყარებული განცხადება მოწმეთა პირადი დაინტერესების თაობაზე, ვერ გახდება მათი ჩვენების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, რომ მოწმეები სასამართლოს მიერ დაკითხულ იქნენ კანონით დადგენილი წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოწმეები სასამართლოს მიერ გაფრთხილებულ იქნენ განზრახ არასწორი ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

37. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოსაზრებას მასზედ, რომ ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირზე დასკვნა ეყრდნობოდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, რის საფუძველზეც ისინი აპირებდნენ გამოკვლევის გაგრძელებასა და შესაბამისი მოქმედებების ჩატარების შემდეგ აპირებდნენ მხილებას შესაბამისი თანამდებობის პირებისა, ხოლო, ელექტრონერგიის იმპორტთან დაკავშირებული მოსაზრებები ეყრდნობოდა ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის გადასახადი და მეორე მხრივ, როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოითხოვეს აღნიშნული ინფორმაცია, მათ გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა გან-

მარტავს, რომ მოპასუხეს ე.წ. „ქოლ ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირზე საუბრისას, არ მიუთითებია, რომ ინფორმაციის გადამცემის როლში მოქმედებდა და რომ ინფორმაცია სხვა წყაროებიდან მიიღო. მოპასუხე დადასტურებული ფაქტის სახით აწვდიდა საზოგადოებას ინფორმაციას ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ უ. მ-ის მიერ ფლობის, ხელმძღვანელობისა და მფარველობის შესახებ. ანალოგიურად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებით უ. მ-მ საუბრისას, განმცხადებლები ოთხივე შემთხვევაში (10.02.2022 წ. – „ე.ჯ.“; 10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“; 10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „ფ-ა“; 21.01.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“) დადასტურებული ფაქტების სახით აწვდიდნენ საზოგადოებას ინფორმაციას უ. მ-ის კავშირზე ელექტროენერგიის იმპორტთან და მას წარმოაჩენდნენ რა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებაზე პასუხისმგებელ პირად, ისინი ბრალს სდებდნენ მოსარჩელეს კორუფციული საქმიანობის განხორციელებაში. ოთხი განცხადებიდან ორ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მოპასუხეები თავადვე აღნიშნავდნენ, რომ მითითებული გარემოებები დაზუსტებულ ინფორმაციას წარმოადგენდა („ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია“ – „ეს არის უ. მ-ისთვის დამატებითი თანხების აკუმულირება ... ეს არის მთავარი წყარო საქართველოში ელექტროენერგიის გაზრდის“ (10.02.2022 წ. – „ე.ჯ.“); „ჩვენ ვიცით, რომ – არსებობენ ქვეყანაში არაფორმალური მმართველები, როგორც არის ბატონი უ. მ-ი ... ეს არის დიდი ერთობლივი, ორკესტრირებული კორუფციული სქემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი-ის რეჟიმი“ (10.02.2022 წ. – ტელეკომპანია „მ-ი“)). იმ ვითარებაში, როდესაც მოპასუხეებმა ორ შემთხვევაში გამოხატვის ფორმად შეარჩიეს და ტექსტი დაიწყეს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია“, „ჩვენ ვიცით, რომ ...“, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლებმა თავი წარმოაჩინეს როგორც ამ ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის მქონე პირებად და ამ ვითარებაში, თავიანთ განცხადებებზე პირდაპირი პასუხისმგებლობა გააჩნდათ. ანალოგიურ განმარტებას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე *Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina* (დიდი პალატა, 17224/11, 27.6.2017), სადაც ევროსასამართლომ განმარტა, რომ „მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა განმცხადებლების მიერ სადავო წერილში გამოყენებული ტექსტი. მათ პირდაპირ არ მიუთითეს, რომ მოცემული ინფორმაციის ნაწილი რასაც სახელმწიფო ორგანოებს უზიარებდნენ სხვა წყაროებიდან მიიღეს, კერძოდ კი რადიოს თანამშრომლებისგან. მათ თავიანთი წერილი დაიწყეს სიტყვებით: „ჩვენი ინფორმაციის თანახმად“, თუმცა ნათლად არ მიუთითეს, რომ ინფორმაციის გადამცემის როლში მოქმედებდნენ. შესაბამისად,

მათ თავი წარმოაჩინეს როგორც ამ ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის მქონე პირებად და ამ ვითარებაში თავიანთ განცხადებებზე პირდაპირი პასუხისმგებლობა გააჩნდათ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ აბზაცში განვითარებული მსჯელობა გამორიცხავს კასატორების არგუმენტის საფუძვლიანობას მასზედ, რომ ფიზიკური პირები – ვ.უ-ძე და ლ. ფ-ვა საკასაციო პალატამ უნდა მიიჩნიოს არასათანადო მოპასუხეებად, რადგან ისინი განცხადების გაკეთებისას წარმოადგენენ ორგანიზაციას და ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ შეფასებებს აჟღერებდნენ. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას მასზედ, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი (მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სამართლო დავისას მოპასუხეა მედიის მესაკუთრე) წარმოადგენს სპეციალურ (საგამონაკლისო) დანაწესს და ეხება კონკრეტულად ჟურნალისტის მიერ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 5.3 მუხლით, სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

38. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ალოგიკურია მოპასუხეების განმარტება იმის შესახებ, რომ ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებული განცხადებების საფუძველი იყო ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის გადასახადი, ხოლო, მეორე მხრივ, როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოითხოვეს აღნიშნული ინფორმაცია, მათ გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე. საქმის მასალებში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ელექტროენერგიის ტარიფების ზრდასთან მოსარჩელეს რაიმე კავშირი აქვს ან, რომ კონკრეტული ინფორმაციის გასაიდუმლოება მოსარჩელე მხარის ელექტროენერგიის იმპორტში მონაწილეობას უკავშირდება. აღნიშნულის საპირისპიროდ მოწმის ჩვენების მიხედვით დგინდება, რომ ის მონაცემები, რაც გასაიდუმლოებულია, წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოებების კომერციულ საიდუმლოებას. მოპასუხეები კი, თავიანთ განცხადებებს ავრცელებდნენ იმგვარად, რომ მათ არათუ რაიმე რელევანტური მტკიცებულება, არამედ დამაჯერებელი ახსნა-განმარტებაც კი არ წარმოუდგენიათ, თუ რა კავშირი აქვს უ.მ-ს ელექტროენერგიის იმპორტთან და ამ მიზეზით, ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირებასთან, მით უფრო იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ 2016 წლის 11 თებერვლის N04-1 ბრძანებისა და პირადი განცხადების საფუძველზე, მოსარჩელე გათავისუფლდა სს „ს.ფ-სი“ დაკავებული თანამდებობიდან და უდავოა, რომ დღეის მდგომარეობით მოსარჩელე

ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ საფუძველს მოკლებულია კასატორების განმარტება მასზედ, რომ ე.წ. „ქოლ ცენტრების“ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან უ. მ-ის კავშირზე დასკვნა ეყრდნობოდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, ხოლო, ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებული მოსაზრებები ეყრდნობოდა ერთი მხრივ, იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის გადასახადი და მეორე მხრივ, როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოითხოვეს აღნიშნული ინფორმაცია, მათ გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე.

39. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მძიმე ფაქტობრივი ბრალდება შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს შეფასებით მსჯელობად. აქვე, საკასაციო პალატა მოიშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მოსარჩელის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს შეაფასებდა, როგორც შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტს, სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ პრაქტიკას, რომლის მიხედვით, თუნდაც განცხადება წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მის გასამყარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩაითვლება არასათანადოდ“ (იხ. ეგილ ეინარსონი ისლანდიის წინააღმდეგ (Egill Einarsson v. Iceland), N 24703/15, §52, 7 ნოემბერი 2017) პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ (Pfeifer v. Austria), № 12556/03, §46, 15 ნოემბერი 2007). ევროსასამართლოს დასახელებული განმარტებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეფასებითი მსჯელობაც კი, გარკვეულ ფაქტობრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რათა ეს შეფასებითი მსჯელობა სათანადოდ ჩაითვალოს. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით კი, უტყუარად დადგინდა, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული საკმაოდ სერიოზული ბრალდებები, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძველს.

40. ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ არასწორ ფაქტად მიიჩნია პოლიტიკური თანამდებობის პირის – მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც მან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრი ფულის მიღების სანაცვლოდ, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემაში დაადანაშაულა. მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება შეიცავდა დადასტურებად ფაქტებს (თანხის მიღება არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემის მიზნით) და აღნიშნა, რომ კონვენცია არ

მოითხოვდა პირებისაგან მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის მოთმენას და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე სისხლის-სამართლებრივ ქმედებებში საჯაროდ დადანაშაულებას ... როდესაც საზოგადოება მოელის გადამონმეზულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს (იხ. „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი № 18925/09, 20 სექტემბერი, 2018 წელი).

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ დაადასტურა სპეციალური კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული, მისი მტკიცების ფარგლებში შემავალი გარემოება – სადავო განცხადებები არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ მცდარი ფაქტების შემცველია.

42. რაც შეეხება ბრალდებების შედეგს, ბრალდებები მძიმე ხასიათის იყო და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მომჩივანი ხელმძღვანელობდა და მფარველობდა ერთი მხრივ, ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსაციონალურ დანაშაულს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩადიოდა ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებულ კორუფციულ დანაშაულს, რამაც ტარიფის ზრდა გამოიწვია. ასეთი ცილისმწამებლური ბრალდებები, როგორც უკვე აღინიშნა, განაპირობებს მოსარჩელისათვის შერაცხული ქცევის განსაკუთრებულად შეუსაბამოდ მიჩნევას, როგორც მორალური, ისე სოციალური თვალსაზრისით; ე.ი. ბრალდება მეტად სერიოზულია და ზიანს აყენებს მოსარჩელის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. აღსანიშნავია, რომ იმ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის ბრალდებას, სტრასბურგის სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად. საკასაციო პალატა დამატებით, იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას და იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას მასზედ, რომ ცილისმწამებლური გამონათქვამების გამოქვეყნებით, მოსარჩელე დაექვემდებარა საზოგადოების მხრიდან დაკვირვებას მაშინ, როცა ამ განცხადებების გავრცელებამდე, საზოგადოების უმრავლესობისათვის უ. მ-ის სახელი და გვარი საერთოდაც უცნობი იყო.

43. ამდენად, მოსარჩელემ დაადასტურა სპეციალური კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული, მისი მტკიცების ფარგლებში შემავალი მესამე გარემოება – სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.

44. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი საკითხის შეფასებისას, მნიშვნელოვან ფაქტორს წარ-

მოადგენს, ბრალდებების მთავარი მიზანი მოსარჩელის დადანაშაულება იყო, თუ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება მოსარჩელის „კანონსაწინააღმდეგო“ ქმედებების შესახებ და კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების პროვოცირება, რათა ეწარმოებიათ გამოძიება და გადაემონუმებინათ განცხადებებში მითითებული ბრალდებები. კასატორებმა მიუთითეს, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა არა კონკრეტულ პირზე თავდასხმა, არამედ, დანაშაულებრივი ქმედებების მხილება და შესაბამისი ორგანოებისათვის, ორგანიზაციის მიერ მოკვლეული ინფორმაციის მიწოდება, რათა დაიწყოს გამოძიება და შესაბამისმა ორგანომ თავად დააიდენტიფიციროს კონკრეტული პირები. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან სადავო განცხადებების კონტექსტი კომპეტენტური ორგანოების მხრიდან გამოძიების ჩატარების, ბრალდებების გადამოწმების, სიმართლის დადგენისა ანდა დანაშაულებრივ ქმედებებთან კავშირში მყოფი პირის დაიდენტიფიცირების მოწოდებას კი არ შეიცავდა, როგორც კასატორები აპელირებენ, არამედ მოპასუხეები დაზუსტებული ინფორმაციის სახით მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ერთი მხრივ, მფარველობდა და ხელმძღვანელობდა ე.წ. „ქოლ-ცენტრების“ ტრანსაციონალურ დანაშაულს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩადიოდა ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებულ კორუფციულ დანაშაულს, გამოძიების შემთხვევაში კი, განმცხადებლების მითითებით, დანამდვილებით დადასტურდებოდა მათ მიერ მითითებული ფაქტები – უ. მ-ის მონაწილეობა ტრანსაციონალურ დანაშაულსა და ელექტროენერგიის იმპორტში, რაზედაც მათ ორგანიზაციას „უკვე ჰქონდა ფაქტები“, რომლის გასაჯაროებაც, დადოკუმენტირებაც, ინგლისურ ენაზე თარგმნას და ყველა საელჩოში გაგზავნას განახორციელებდნენ. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო განცხადებების გავრცელების მიზანს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება არ წარმოადგენდა.

45. აქვე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს კასატორის იმ არგუმენტზე, სადაც იგი აპელირებს არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკასა და მისი, როგორც სოციალური მოდარაჯის ფუნქციაზე (იხ. 7.1.10 აბზაცი). ამ მიმართებით, პალატა მიუთითებს ევროსასამართლოს ერთ-ერთ გადამწყვეტილებაზე (*Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina*) [დიდი პალატა] – 17224/11, 27.6.2017), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე ყურადღების მიქცევისას არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს საზოგადოებრივი მოდარაჯის როლს, რაც პრესის მნიშვნელოვნების ტოლფასია და შეიძლება დახასიათდეს როგორც სოციალური მოდარაჯე. პრესის თავისუფლების სფეროში, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თანდაყოლილი ვალდებულებე-

ბისა და პასუხისმგებლობების საფუძველზე დაყრდნობით მე-10 მუხლით ჟურნალისტისთვის დადგენილი გარანტიები საზოგადო ინტერესის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისას, დამოკიდებულია იმაზე, ჟურნალისტი მოქმედებდა თუ არა კეთილსინდისიერად ჟურნალისტის ეთიკის ნორმებთან შესაბამისობაში ზუსტი და სანდო ინფორმაციის მისაწოდებლად. იგივე პირობები ვრცელდება არასამთავრობო ორგანიზაციაზე, როდესაც ის სოციალური მოდარაჯის ფუნქციას ახორციელებს. კონკურენტული ინტერესების დაბალანსებისას აუცილებელია იმ კრიტერიუმის გათვალისწინება, რომელიც ზოგადად მოქმედებს მედიის მიერ თავისი საზოგადოებრივი მოდარაჯის ფუნქციის განხორციელებისას ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებაზე:

(ა) რამდენად ცნობილი იყო სამიზნე პირი და რა წარმოადგენდა ბრალდების საგანს;

(ბ) მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები;

(ც) გამხელილი ინფორმაციის ავთენტურობა.

46. საკასაციო პალატამ თითოეულ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმთან მიმართებაში უკვე იმსჯელა და მიიჩნია, რომ მოპასუშეებმა ინფორმაცია გაავრცელეს კერძო პირის შესახებ; გავრცელებული ინფორმაცია დადასტურებადი ფაქტის შემცველი და ცილისმწამებლურია; ასეთი ინფორმაცია კი, ზიანს აყენებს ინფორმაციის ადრესატის პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას. აქვე, პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ მხოლოდ მითითება ააიბ „ა.მ.“ უფლებადამცველობით საქმიანობაზე, არ შეიძლება აპრიორი განიხილებოდეს ცილისმწამების გავრცელებისათვის პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად. ამასთან, ააიბ „ა.მ.“ დაარსების თარიღისა (2021 წლის 24 დეკემბერი) და სადავო განცხადებების გავრცელების პერიოდის (2022 წლის იანვარი და თებერვალი) გათვალისწინებით, ასევე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მოპასუხე მხარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მათი ორგანიზაციის მხრიდან სხვა შესაძლო კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებით და ინტერესებისა და აქტიური საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია, საკასაციო პალატა სააპელაციო პალატის მსგავსად მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის არსებული სახელწოდებით დაარსების მიზანი შესაძლოა სწორედ სადავო განცხადებების ფართო მასებისათვის მიწოდება და მათ მიერ გაჟღერებული ინფორმაციისათვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭება ყოფილიყო.

47. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ პალატის მიერ უ. მ-ის „საჯარო პირად“ მიჩნევის შემთხვევაშიც, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნი-

და საქმეზე ობიექტური გადანყვეტილების მისაღებად, მით უფრო მაშინ, როდესაც კასატორს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ რაიმე გამომრიცხავი მტკიცებულება არ წარუდგენია. ამ მიმართებით, პალატა აღნიშნავს, რომ სპეციალური კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. დასახელებული სპეციალური ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარეობს, რომ მსგავსი ტიპის დავის განხილვისას, სასამართლოში სარჩელის წარდგენისას სწორედ მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს რომ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას; დ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა. ამდენად, სპეციალური კანონის მე-14 მუხლი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის პირობებში, საჯარო პირის ცილისწამებისას, ისევე როგორც კერძო პირის ცილისწამების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, თუმცა, კერძო პირის ცილისწამების შემთხვევებისაგან განსხვავებით, საჯარო პირის ცილისწამებისას სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დამატებითი წინაპირობაა იმ გარემოების უტყუარად დადგენა, რომ განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. ამდენად, მოსარჩელემ მის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებების მცდარობისა და განცდილი ზიანის გარდა, დამატებით უნდა ამტკიცოს, რომ მოპასუხეებისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოქმედებდნენ აშკარა და უხეში დაუდევრობით ფაქტებით გაუმყარებული ბრალდებების გავრცელებისას.

48. განსახილველ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ საკასაციო პალატამ უკვე იმსჯელა და გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ სახეზეა კერძო პირის ცილისწამებისას, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის გათვალისწინებული ყველა წინაპირობა (უდავოა, რომ სადავო

განცხადებები მოპასუხეებმა გაავრცელეს; დადგენილია, რომ გავრცელებული ინფორმაცია დადასტურებადი ფაქტის შემცველია; დადგენილია, რომ ასეთი ინფორმაცია ზიანს აყენებს ინფორმაციის ადრესატის პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას), საკასაციო პალატა იმსჯელებს და შეაფასებს მხოლოდ დამატებით კრიტერიუმს (განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა), რასაც საჯარო პირთა ცილისწამებისას, მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების პირობებში, სპეციალური კანონის მე-14 მუხლი უწესებს მოსარჩელეს.

49. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებები იყო საკმაოდ მძიმე, სერიოზული და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა სხვადასხვა სახის დანაშაულები. შესაბამისად, განმცხადებლებს მოეთხოვებოდათ გადამოწმებინათ ფაქტების ნამდვილობა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მოეხდინათ ამგვარი მძიმე ბრალდებების გავრცელება. გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხეები თავად აპელირებდნენ ორგანიზაციის – ააიპ „ა.მ.“ სახელით მოქმედების შესახებ, ხოლო, მოსარჩელის თაობაზე გავრცელებული ბრალდებების – კორუფციული საქმიანობის მოკვლევა ექცეოდა ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში, აღნიშნული მათ აკისრებდათ უფრო მაღალ პასუხისმგებლობას ფაქტების სიზუსტის გადამოწმების თვალსაზრისით, რამეთუ ორგანიზაციას, თავისი საქმიანობისა და დასახელების გათვალისწინებით, შეეძლო გამოეწვია ნდობა საზოგადოების თვალში. დასახელებული მოთხოვნის საპირისპიროდ კი, საქმეში არ იკვეთება ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა გამოიჩინეს საკმარისი ძალისხმევა იმ ბრალდებების გადასამოწმებლად, რომლებსაც ისინი ამტკიცებდნენ თავიანთ განცხადებებში. იმ გარემოებას, რომ მოპასუხეებმა სულ მინიმუმ გამოიჩინეს აშკარა და უხეში დაუდევრობა (თუ არ ჩავთვლით, რომ მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ბრალდებები იყო ცრუ), ადასტურებს ის მოცემულობაც, რომ ააიპ „ა.მ.“ დაარსდა 2021 წლის 24 დეკემბერს, ხოლო სადავო განცხადებები აქტიურად ვრცელდებოდა ორგანიზაციის დაფუძნებიდან დაახლოებით 1 თვეში – 2022 წლის იანვარსა და თებერვალში, რაც ასეთი მძიმე ბრალდებების გადასამოწმებლად არაგონივრულ პერიოდს წარმოადგენს. ამავე დასკვნის საფუძველს იძლევა თავად მოპასუხეთა განმარტება მასზე, რომ ელექტრონული იმპორტთან დაკავშირებით გავრცელებული განცხადებების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოითხოვეს ინფორმაცია, მათ გაუგებარი მიზეზების გამო უარი ეთქვათ ინფორმაციის მიწოდებაზე. ეს უკანასკნელი გარემოება ქმნის ისეთ ვი-

თარებას, როდესაც მოპასუხემ თითქოს გადადგა გონივრული ნაბიჯი მოკვლევის ჩასატარებლად, თუმცა, სათანადო პასუხის მიუღებლობის პირობებში (რაც გამოწვეული იყო ინფორმაციის კომერციული საიდუმლოებით), ბრალდება დადასტურებულად მიიჩნის და ფაქტის სახით მიაწოდეს საზოგადოებას. ამდენად, პალატა განმარტავს, რომ მოპასუხე მხარემ მათ მიერ გავრცელებული განცხადებების ნამდვილობის გადასამოწმებლად მიიღო იმდენად არასაკმარისი და არაგონივრულად მცირე ზომები, რომ აღნიშნული ვერ ჩაითვლება მოპასუხეთა მიერ სათანადო გულისხმიერების გამოჩენად, რასაც შეეძლო მათი ქმედებისათვის აშკარა და უხეში გაუფრთხილებლობის კვალიფიკაცია გამოე-რიცხა.

50. საკასაციო პალატა აქაც მოიშველიებს ევროსასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ მოკვლევის დანიშვნა, მისი შედეგებისთვის დალოდების გარეშე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სათანადო გულისხმიერების გამოჩენის სტანდარტის დაცვის მცდელობად (იხ. ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ (JISHKARIANI v. GEORGIA) §61, საჩივარი N 18925/09, 20 სექტემბერი 2018).

51. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლები მოსარჩელის მიმართ ბრალდებების გავრცელებისას, მოქმედებდნენ დაუდევრობით. მათ გადასცეს მიღებული ინფორმაცია მისი სიზუსტის გადამოწმების გონივრული ძალისხმევის გარეშე. შესაბამისად, განმცხადებლებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდნენ, რომ არ გააჩნდათ მოსარჩელის მიმართ თავიანთ განცხადებებში ასახული ბრალდებების საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები, რის გამოც, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ მოსარჩელის საწინააღმდეგო განცხადებების გავრცელება მიზანმიმართულად ხორციელდებოდა იმგვარად, რომ არ საბუთდებოდა არსებული განცხადებების გავრცელებისათვის გონივრული საფუძვლის არსებობა.

52. საკასაციო სასამართლო, ყურადღებას მიაქცევს გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასა და მის გამოკვეთილ პრიორიტეტს რეპუტაციის დაცულობასა და გარკვეულ სხვა უფლებებთან მიმართებაში, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებს გარეთაა ისეთი განცხადებები, რომელიც შეეხება საჯარო პირის მიმართ გაჟღერებულ უსაფუძვლო და სერიოზულ ბრალდებებს.

53. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ მომჩივანის (დეპუტატის) განცხადება მიუღებლად გამოაცხადა „აშკარა უსაფუძვლობის“ მოტივით, ვინაიდან, ბრალდების სერიოზული ხასიათი და ხარისხი, მომჩივანმა ვერავითარი საფუძვლით ვერ გაამყარა. დასახელებულ საქმეში, უნგრეთის პარლამენტის დეპუტატმა (სოციალისტური პარტიიდან) პარლამენტის სესიაზე განაცხადა, რომ ულტრა-

მემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფის საქმის გამოუძიებლობა გამონ-ვეული იყო „პასუხისმგებელი მინისტრის“ (ვინაობის დასახელების გა-რეშე) ლოიალური დამოკიდებულებით, რაც, თავის მხრივ განპირობე-ბული იყო იმ ფაქტით, რომ მინისტრის მამა წარმოადგენდა შოვინის-ტური ულტრა-მემარჯვენე ორგანიზაციის Hungarista-ს (რომელიც დიდ სიმპათიას ამჟღავნებდა ნაციზმისადმი) წევრს. ეს განცხადება დეპუ-ტატმა შემდეგ დაადასტურა სატელევიზიო გამოსვლის დროს, დაასა-ხელა მინისტრის ვინაობაც. ეროვნულმა სასამართლოებმა, მიიჩნიეს, რომ საქმე შეეხებოდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების სერიო-ზულ ბრალდებას, რომელიც დამტკიცებას საჭიროებდა, ხოლო, ამის დასადასტურებლად დეპუტატს არანაირი მტკიცებულება არ წარუდ-გენია (Keller v. Hungary, decision of 4 April 2006).

54. ამდენად, ზემოაღნიშნული მოხმობილი პრაქტიკისა და ევრო-კონვენციური სტანდარტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხეების მიერ გაკეთებული განცხადებების სა-თანადო მტკიცებულებებით დაუდასტურებლობის პირობებში, ასეთი ფაქტის გავრცელება საჯარო პირის მიმართ, ვერ მიიჩნევა გამოხატვის თ-ის მაღალი სტანდარტის რეალიზებად და ვერც ისეთ ღირებულ მო-საზრებად, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში უპირატესი დაცვის ღირ-სი ინტერესი ექნებოდა, კონკრეტული საჯარო პირის თმენის ვალდე-ბულებასა და რეპუტაციასთან მიმართებით.

55. რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას მოწმის სახით კონკრე-ტული პირების: ლ. ხ-ის, ნ. გ-სა და გ. ქ-იას დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2022 წლის 13 ივნისის, 06 ივლისისა და 29 ივლისის საოქმო გან-ჩინებების ძალაში დატოვების თაობაზე, საკასაციო პალატა მიუთი-თებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოწმედ შეიძლება იყოს ყოვე-ლი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადც იძახებენ მოწმეს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტი-სათვის.

56. სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესით, კანონმდე-ბელმა განსაზღვრა მტკიცებულებათა სათანადოობის გამოკვლევის წე-სი და დაადგინა, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახ-მად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შე-იძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

57. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზია-

რებს სააპელაციო პალატის შეფასებას მასზედ, რომ კასატორების მიერ მითითებული გარემოების (ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დაცვნები და შეფასებები გაკეთებული იყო ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის შედეგად, რაც ცალსახად გამორიცხავდა მოპასუხეების მიერ აშკარა და უხეში დაუდევრობის გამოჩენას) დასადასტურებლად, მონმე ლ. ხ-ის ჩვენება რელევანტურად ვერ მიიჩნევა, რამეთუ მოპასუხეებს არსებული გარემოება უნდა ედასტურებინათ სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით, რაც ვერ ჩანაცვლდება მონმის ჩვენებით. ამასთან, საკასაციო პალატამ უკვე იმსჯელა და მიიჩნია, რომ ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებისას, განმცხადებლებს არ მიუთითებიათ ინფორმაციის გადამცემის როლში მოქმედებაზე და ინფორმაციის სხვა წყაროებიდან მიღებაზე. დადგენილია ის გარემოებაც, რომ გარკვეული განცხადებების გავრცელებისას, მოპასუხეებმა თავი წარმოაჩინეს როგორც ამ ინფორმაციაზე პირდაპირი წვდომის მქონე პირებად და ამ ვითარებაში, თავიანთ განცხადებებზე პირდაპირი პასუხისმგებლობა გააჩნდათ (ვრცლად იხ. 37-ე აბზაცი). მხარეთა შორის უდავო ფაქტებისა და მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიის გვერდის ავლით კი, შეუძლებელია მარტოდენ მონმე ლ. ხ-ის ჩვენების საფუძველზე, საპირისპირო გარემოების დამტკიცების შესაძლებლობა. გარდა ამისა, პალატა მიიჩნევს, რომ მონმე ლ. ხ-ის ჩვენება ვერც მოპასუხეთა დაუდევარი ქმედების გამოსარიცხად მიიჩნევა რელევანტურად, რამეთუ საქმის მასალებში არაფერი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ეფექტური შესაძლებლობა, მოეპოვებინათ რელევანტური მტკიცებულებები თავიანთი ბრალდებების დასადასტურებლად. ასეც რომ არ იყოს, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია და საკასაციო პალატის მიერ გაზიარებულია, რომ მოსარჩელე „კერძო პირის“ სტატუსში ექცევა, შესაბამისად, დასახელებული კრიტერიუმი (განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა) სპეციალური კანონის მე-13 მუხლის ფარგლებში შეფასებას არ ექვემდებარება. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო პალატამ იმსჯელა ამ საკითხზეც და მიიჩნია, რომ განცხადებების გავრცელებისას, მოპასუხეები მოქმედებდნენ დაუდევრობით; მათ გადასცეს მიღებული ინფორმაცია მისი სიზუსტის გადამოწმების გონივრული ძალისხმევის გარეშე. შესაბამისად, ყველა ის გარემოება, რის დადასტურებასაც მოპასუხეები მონმე ლ. ხ-ის ჩვენების საფუძველზე ცდილობდნენ, გამოკვლეულია, ხოლო სამართლებრივი შეფასებისათვის, მონმის ჩვენება ვერ გახდება საკმარისი საფუძველი საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულად მიჩნევისთვის.

58. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორების განმარტებას მასზედ, რომ საქმისათვის რელევანტური ინფორმაციის მოწოდება შეეძლოთ ნ. გ.-სა და გ. ქ-იასაც, რომელთა მოწმედ დაკითხვაზეც ასევე დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი. ამ მიმართებით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, ნ. გ.-ს დაკითხვაზე უარის თქმა დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ რადგანაც ნ. გ.-ს მესამე პირისგან ჰქონდა მიღებული ინფორმაცია და ეს ჩანაწერი არსებობდა (იგულისხმება ინტერვიუ), შესაძლებელი იყო უშუალოდ ამ ჩანაწერის წარმოდგენა და საქმეზე დართვა; რაც შეეხება გ. ქ-იას მოწმის სახით დაკითხვას, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მხარის მითითება მასზედ, რომ ის ერთ-ერთი ყოფილი თანამდებობის პირი იყო და მას შეიძლება ჰქონოდა რაიმე ინფორმაცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებით, სადავო საკითხებს წარმოადგენდა ელექტროენერგიის საფასურის სავარაუდო გაძვირებასთან მოსარჩელის კავშირი და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები გ. ქ-იას როგორ უნდა დაედგინა ანდა გამოეკვლია, სასამართლოსთვის გაურკვეველი იყო. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დასახელებულ მოტივაციას და მართებულად მიიჩნევს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი.

59. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას მასზედ, რომ არ დასტურდება მოსარჩელისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის მე-18 მუხლი იცავს პიროვნების პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას. პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ; ღირსება ამ პიროვნების მიერ საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებაა, ხოლო, საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება (იხ. სუსგ №ას-448-775-05, 01.12.2005 წ.). სადავო გამონათქვამების გავრცელებისას, ფიზიკური პირის მიმართ ზიანი არაქონებრივი სახით, სწორედ პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს და მას არ გააჩნია ღირებულება, ამ ზიანის დამტკიცებისათვის სპეციალური კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია (იხ. სუსგ საქმეზე №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ.). განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც დადგინდა, რომ სადავო განცხადებებმა ზიანი მიაყენა მოსარჩელის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, სსკ-ის

მე-18 მუხლისა და 413-ე მუხლების საფუძველზე, სახეზეა მოპასუხეთათვის მორალური ზიანის სახით, ფულადი თანხის დაკისრების წინაპირობა. ამასთან, პალატის მოსაზრებით, დაკისრებული თანხის ოდენობა დარღვეული უფლების დაცვის მიზნის პროპორციულია.

60. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების არგუმენტს მასზე, რომ მოპასუხეები ვერ დაავალდებულებენ ტელევიზიებს დაუთმონ საეთერო დრო განცხადებების გასაკეთებლად, რაც შეუძლებელს ხდის სასამართლოს მიერ დაკისრებული ქმედებების შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა პირველ რიგში მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. „სიციყისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ უფლება მოიცავს არამარტო სასამართლოსადმი მიმართვის, საქმის საჯარო და სამართლიანი განხილვის, საკითხის გონივრულ ვადებში გადაწყვეტის უფლებებს, არამედ გადაწყვეტილების აღსრულების უფლებასაც. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება, როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ელემენტი, დაცული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.

61. პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

სიტყვაში – „უზრუნველყოფენ“, პრეცედენტული სამართლის მიხედვით განიმარტება არა მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებანი, არ ხელყოს კონვენციური უფლებანი, არამედ ასევე, პოზიტიური ვალდებულებანი, დაიცვას უფლებანი და თავისუფლებანი, მათ შორის მესამე პირების მიერ დარღვევის შემთხვევაში. დაცვაში იგულისხმება რეალური, ეფექტური დაცვა შესაბამისი ინსტიტუტებისა და პროცედურების საშუალებით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია, უზრუნველყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძველი მე-8 მუხლით დაცული უფლების რეალიზაციისათვის. პრეცედენტული სამართლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს. ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ იყოს გამოტანილი. სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჩრჩილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები. სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას („ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, №24), „სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ([დიდი პალატა] №69698/01, § 101, ECHR 2007-V), „ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ [დიდი პალატა] №48876/08, § 100, ECHR 2013).

62. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ უკვე გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნა მასზედ, რომ მოსარჩელემ დაძლია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი. კერძოდ, წარ-

მოადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები და დაადასტურა მოპასუხეთა მიერ, მის შესახებ გავრცელებული განცხადებების ცილისმწამებლური შინაარსი, ხოლო, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა საპირწონე მტკიცებულება, რომელიც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას ეჭვქვეშ დააყენებდა. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცილისმწამებლური გამონათქვამები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენდა მოსარჩელის პირად უფლებებზე თავდასხმას, შესაბამისად, სახეზეა მოსარჩელის კანონიერი ინტერესების მიზანმიმართული დაზიანება.

63. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით. კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44).

64. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ასკვნის, რომ მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამომდინარეობს კანონმდებლობიდან, არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება კანონიერ მიზანს – მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზანს. ამასთან, უფლებაში ჩარევის საშუალება, ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი და აღსრულებადია.

65. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შე-

იცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სახეზე არ არის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ააიპ „ა.მ.“, ვ. უ-ძისა და ლ. ფ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 02 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო პირის ცილისწამება

გადანწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-366-2022

31 მაისი 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

**შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნძე**

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ტ. წ-მა (შემდეგში წოდებული „მოსარჩელე“, „მონინალმდგე“ მხარედ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „ს.კ.რ.“-ის (შემდეგში წოდე-

ბული „მოპასუხე“, „კასატორ“ მხარედ) მიმართ და მოითხოვა: 1. დ. ჯ-ას, ნ. ს-ისა და ნ. მ-ძის მიერ მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა ამავე სამაუწყებლო კომპანიის მეშვეობით, შემდეგი სახით: „ს.კ. „რ.“ არ იზიარებს, უარყოფს და ემიჯნება ჩვენი სამაუწყებლო კომპანიის 2016 წლის 31 ივლისს სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ და 2016 წლის 1 აგვისტოს, გადაცემა „კ. საათზე“ ჟურნალისტების: დ. ჯ-ას, ნ. ს-ისა და ნ. მ-ძის მიერ ტ. წ-ის მისამართით გავრცელებულ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ შემდეგ ცნობებს: „ტ. წ-ი თითქოსდა სამშობლოს ღალატისთვის ერთხელ უკვე გასამართლებული პოლკოვნიკია და მას ისევ საიდუმლო მასალების რუსეთისათვის გადაცემაში ადანაშაულებენ და რომ, თითქოსდა დასახელებულია ის გვარებიც, რომლებიც წ-ს გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლაში ეხმარებოდნენ. პოლკოვნიკ ტ. წ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თითქოსდა სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს. ს.კ. „რ.“-ის ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ თითქოსდა ტ. წ-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული“, არ შეესაბამება სინამდვილეს. 2. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა, გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებებით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის სახით, მოპასუხისთვის 30 000 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის საფუძვლები

2.1. 2004 წელს, ს.კ. „რ.“-ის მეშვეობით სააგტორო გადაცემა „წ-ის“ მიერ ტ. წ-ის მიმართ გავრცელდა ცილისწამება იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში, ტ. წ-ი იარაღით ვაჭრობდა და, ასევე თითქოს იგი მონაწილეობდა ბიზნესმენ ბ-ის გატაცების მცდელობაში. დასახელებული ფაქტები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, არ დადასტურდა, ს.კ. „რ.“-ს და ჟურნალისტ ა. გ-ს დაევალოთ ტ. წ-ის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობის საჯაროდ უარყოფა. მათვე სასამართლოს მიერ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის 5000 ლარის გადახდა. 2008 წლის აგვისტოში, მოსარჩელე უკანონოდ დაპატიმრეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა).

2.2. 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №76-ს „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებით, უარყოფილ იქნა მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მოსარჩელე ცნობილ იქნა პოლიტპატიმრად.

2.3. აღნიშნულის ფონზე, მოპასუხე მპს „ს.კ.რ.“-ის ჟურნალისტების:

დ. ჯ-ას, ნ. ს-ისა და ნ. მ-ძის მიერ მოსარჩელის მიმართ 2016 წლის 31 ივლისს, სატელეფიზიო გადაცემა „პ-ში“ და 2016 წლის 1 აგვისტოს, გადაცემა „კ. საათზე“ გავრცელდა შემდეგი განცხადებები: ტ. ნ-ი თითქოსდა სამშობლოს ღალატისთვის ერთხელ უკვე გასამართლებული პოლკოვნიკია და მას ისევ საიდუმლო მასალების რუსეთისათვის გადაცემაში ადანაშაულებენ და რომ, თითქოსდა დასახელებულია ის გვარებიც, რომლებიც ნ-ს გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლაში ეხმარებოდნენ. პოლკოვნიკ ტ. ნ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თითქოს სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს. ს.კ. „რ.“-ის ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ თითქოს ტ. ნ-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული.

2.4. მოსარჩელე აცხადებს, რომ აღნიშნული განცხადებები არ შეესაბამება სიმართლეს და არის მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი.

3. მოპასუხის პოზიცია

3.1. მოპასუხე შპს „ს.კ.რ.“-მა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3.2. მოპასუხის განმარტებით, სარჩელი მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან საეთერო მასალებში წარმორჩენილია მხარეთა პოზიციები, არ არის დარღვეული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ნორმები. წარმოდგენილი სარჩელითა და მტკიცებულებებით ვერ დასტურდება მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის უფლებების, საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვა.

3.3. მოპასუხის მტკიცებით, საეთერო მასალები მომზადდა გადაღების მომენტისათვის არსებულ კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით. გადაცემაში წარმორჩენილია რამდენიმე მხარე, რომელთა აზრიც გაჟღერებულია საეთერო მასალებში. არ არის არცერთი რესპოდენტის აზრი კონტექსტიდან ამოვარდნილი, დამახინჯებული სხვა პირის მიერ. მოცემულ შემთხვევაში, მედიის პირდაპირი ფუნქცია და მოვალეობაა უსაუბროს სადავო თემებზე, შესაბამისად, ამ კონკრეტულ სადავო საქმეზე დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ფასეულობა, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, პრევალირებს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნებზე, ვინაიდან სადავო განცხადებები წარმოადგენს მოპასუხის აზრს და არა ფაქტის შემცველ განცხადებებს.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

4.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ტ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

4.2. მოპასუხე შპს „ს.კ.რ.“-ს დაევალა ცნობის გამოქვეყნება მოცემულ სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ, შემდეგი ფორმით: „ტ. წ-ის სარჩელისა გამო შპს „ს.კ.რ.“-ის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა, რომ შპს „ს.კ.რ.“-ის ჟურნალისტის, ნ. მ-ძის მიერ სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ 2016 წლის 31 ივლისს გავრცელებული ინფორმაცია: „პოლკოვნიკ ტ. წ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს“; „ს.კ.რ.“-ის ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ტ. წ-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული“ და ამავე სამაუწყებლო კომპანიის ჟურნალისტების: დ. ჯ-ასა და ნ. ს-ის მიერ სატელევიზიო გადაცემაში „კ. საათზე“ 2016 წლის 1 აგვისტოს გავრცელებული ინფორმაცია: „სამშობლოს ღალატისათვის ერთხელ უკვე გასამართლებულ პოლკოვნიკს ისევ საიდუმლო მასალების რუსეთისათვის გადაცემაში ადანაშაულებენ. დასახელებულია ის გვარებიც, რომლებიც წ-ს გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლაში ეხმარებოდნენ“, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამავე გადაწყვეტილებით, გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებებით მოსარჩელე ტ. წ-ის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით მიყენებული მორალური ზიანის სახით, მოპასუხე შპს „ს.კ.რ.“-ს მოსარჩელე ტ. წ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარის გადახდა.

4.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.კ.რ.“-მა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 იანვრის განჩინებით, შპს „ს.კ.რ.“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

5.2. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სპეციალური სამართლებრივი მონესრიგების გათვალისწინებით, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავდა თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას (სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის საფუძველი), უნდა გარკვეულიყო მოპასუხის მსჯელობა მიეკუთვნებოდა „აზრის“ თუ „არსებითად მცდარი ფაქტის“ კატეგორიას.

5.3. სააპელაციო პალატამ საქართველოში არსებული ნორმატიული ბაზის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და სტრას-

ბურგის სასამართლო პრაქტიკის გამოყენების შედეგად დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები შეიცავს პირის კონკრეტული დანაშაულის საფუძვლით მსჯავრდებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მოცემულობას და გამონათქვამი წარმოადგენს ფაქტების შემცველ ინფორმაციას, რომლის ნამდვილობის გადამოწმებაც ობიექტურად შესაძლებელი იყო. კერძოდ, პალატამ მიუთითა, რომ 2004 წელს, შპს „ს.კ.რ.“-ის მეშვეობით საავტორო გადაცემა „... წ-ის“ მიერ ტ. წ-ის მიმართ გავრცელდა ცილისწამება იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში ტ. წ-ი იარაღით ვაჭრობდა და ასევე, თითქოს იგი მონაწილეობდა ბიზნესმენ ბ-ის გატაცების მცდელობაში. დასახელებული ფაქტები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, არ დადასტურდა, რის შედეგადაც ს.კ. „რ.“-ს და ჟურნალისტ ა. გ-ს დაევალათ ტ. წ-ის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობის საჯაროდ უარყოფა. მათვე სასამართლოს მიერ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის 5000 ლარის გადახდა. 2008 წლის აგვისტოში, მოსარჩელე უკანონოდ იქნა დაპატიმრებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა). დადგენილია, რომ 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №76-III „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებით, უარყოფილ იქნა მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მოსარჩელე ცნობილ იქნა პოლიტპატიმრად.

5.4. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ ტელეკომპანია „რ.“-ის გადაცემებში („პ-ი“ და „კ... საათზე“) ჟურნალისტების მეშვეობით გავრცელებული განცხადებები წარმოადგენდა აზრს და არ სცდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. ასევე პალატამ არ გაიზიარა ის არგუმენტიც, რომ ჟურნალისტებისათვის არ იყო ცნობილი ან არ შეიძლება ყოფილიყო ცნობილი მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა, რამეთუ 2004 წელს, იმავე ს.კ., „რ.“-ის მეშვეობით საავტორო გადაცემა „... წ-ის“ მიერ ტ. წ-ის მიმართ გავრცელდა ასევე მსგავსი შინაარსის ცილისმწამებლური განცხადებები, რასთან მიმართებითაც არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე კომპანიას და ჟურნალისტს დაევალათ ტ. წ-ის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობის საჯაროდ უარყოფა. მათვე სასამართლოს მიერ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის 5000 ლარის გადახდა. შესაბამისად, პალატის აზრით, მოპასუხე ტელეკომპანიის მიერ სადავო განცხადებების გავრცელების დროს, უკვე არსებობდა კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ინფორმაციის მცდარობის შესახებ. ამდენად, მოპასუხისთვის იმთავითვე ცნობილი იყო ის გარემოება, რომ სადავო განცხადებების ეს ნაწილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეფასდა, როგორც ფაქტის შემცველი, ცილისმწამებლური განცხადება, რის გამოც დაევაღათ აღნიშნული გამონათქვამების უარყოფა.

5.5. სააპელაციო პალატის შეფასებით, შპს „ს.კ.რ.“-ის ჟურნალისტის, ნ. მ-ძის მიერ სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ 2016 წლის 31 ივლისს, გავრცელებული სადავო განცხადებები წარმოადგენდა არა მოსაზრებებს, არამედ მითითებას ფაქტების შესახებ, რომელთა შინაარსით, გამოთქმის ფორმითა და კონტექსტით ერთმნიშვნელოვნად ყალიბდებოდა მოპასუხის მხრიდან ფაქტობრივი ბრალდება მოსარჩელის მიმართ, მის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების, ძირითადად, სამშობლოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ.

5.6. სააპელაციო პალატამ დასძინა, რომ მოსარჩელის მიმართ, მართალია არსებობდა გამამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა აღნიშნული არ იყო დაკავშირებული იარაღით ვაჭრობასთან ან სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან, ამასთან, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რომ 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №76-IX „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებით, უარყოფილი იქნა მოსარჩელის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მოსარჩელე ცნობილ იქნა პოლიტპატიმრად.

5.7. სააპელაციო პალატის აზრით, დამნაშავედ ცნობასთან მიმართებით გავრცელებული ინფორმაცია ექვემდებარება ჟურნალისტთა მხრიდან გადამოწმებას, შესაბამისად პირის მიმართ სამშობლოს ღალატთან მიმართებით მტკიცებითი ფორმის ინფორმაციის გავრცელებამდე ჟურნალისტს ეთიკური სტანდარტიდან გამომდინარე, სულ მცირე ევალებოდა გადამოწმებინა არსებული ფაქტის ნამდვილობა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მოეხდინა იმგვარი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც პირის მიმართ სამშობლოს ღალატის მუხლით გასამართლებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გადამოწმების მინიმალური სტანდარტის დაუცველობის პირობებში, პალატამ მიიჩნია, რომ შეპირისპირებული ინტერესებიდან გამომდინარე უპირატესობას გამოხატვის თავისუფლებას ვერ მიანიჭებდა, რადგანაც მასზე პრეველირებს პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მით უფრო საგულისხმოა, რომ ამავე ტელევიზიის ეთერით გავრცელებულ მსგავსი შინაარსის განცხადებასთან მიმართებით არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც გავრცელებული ინფორმაცია ცილისწამებად შეფასდა.

5.8. სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელე მხარემ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება. კერძოდ, საქმეზე დადგინდა რომ: ა) მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ; ბ) ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა (შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია); გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი/მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. რის შესაბამისადაც, პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა მის მიერ გავრცელებული არასწორი ფაქტების (ცილისწამების) უარყოფა – სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება, რამეთუ იკვეთებოდა სპეციალური კანონის მე-14 მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა, რაც იწვევდა ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, რომლის მიხედვითაც, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

5.9. სააპელაციო პალატამ მორალური ზიანის არსებობის ნაწილში გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ უზრუნველყო დაედასტურებინა, რომ მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, აღნიშნული განცხადება იყო მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელი – რეპუტაციის შემლახველი და სახელის გამტეხი. პალატის განმარტებით, დამრღვევი პირისათვის დასაკისრებული მორალური ზიანის სამართლიანი ოდენობის დადგენისას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეულ მორალურ ზიანს მატერიალური ეკვივალენტი არ გააჩნია და ობიექტურად შეუძლებელია პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებული პირის მიერ განცდილი სულიერი ტკივილის ხარისხის შეფასება და მისი ფულადი თანხით კომპენსირება. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის უფლებების და რეპუტაციის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად გამოხატვის დაცულ უფლებაში ჩარევის პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.

5.10. დაკისრებულ ზიანის ოდენობასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლომ გონივრული ოდენობით მოახდინა მორალური ზიანის განსაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით, რაც გავრცელებული ფაქტების უარყოფის ვალდებულებასთან ერთად, პროპორციულად უზრუნველყოფდა მოსარჩელის დარღვეული უფლე-

ბის ალგენას და ამავდროულად, გადაჭარბებულ პასუხისმგებლობას არ დააკისრებდა მედია საშუალებას.

5.11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 იანვრის განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ს.კ.რ.“-მა.

6. კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები

6.1. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

6.2. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არამართლზომიერად და დაუსაბუთებლად დაადგინა მხარისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, ასევე პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი, რადგან კასატორი მაუწყებლობის მიერ არ დარღვეულა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ნორმები.

6.3. კასატორის მტკიცებით, სადავო სიუჟეტში წამყვანს გადმოცემული აქვს ინფორმაცია წყაროზე დაყრდნობით, კერძოდ, სიუჟეტის მიმდინარეობისას არაერთგზის აღინიშნა შემდეგი სიტყვები: „კ-ძის მტკიცებით“, „კ-ძე საუბრობს“, „იგი ასევე ამბობს, რომ“. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სადავო სიუჟეტში წამყვანი საუბრობს მესამე პირში და ფაქტებს არ ახსენებს მტკიცებით ფორმაში, არამედ ახმოვანებს მისი წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომლის სიზუსტეზეც მაუწყებელი პასუხისმგებელი არ არის.

6.4. კასატორის აზრით, აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს ჟურნალისტის მიერ სხვა პირის მიერ ე.ი. იდენტიფიცირებული წყაროს მიერ გადაცემული ინფორმაციის გავრცელებაში ხელშეწყობას, რისი შეზღუდვაც მედიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უთანაბრდება (ამ არგუმენტს კასატორი ამყარებს სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკით: *Jersild v. Denmark*, 1994., *Thoma v. Luxembourg*, 2011).

6.5. კასატორის მტკიცებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო დაედასტურებინა მაუწყებლობის მხრიდან მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტი. კასატორის მტკიცებით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძო პირის ცილისწამებისთვის მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს, აღნიშნული მტკიცების ტვირთი კი, კასატორის მტკიცებით, მოსარჩელემ ვერ დასძლია.

6.6. კასატორი აცხადებს, რომ მედია საშუალებისთვის და წამყვანისთვის გავრცელებული ცნობების გავრცელების უარყოფის დავალება, წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდ-

ვას, მასზე ცენზურის განხორციელების მიზნით. პრესის თავისუფლებას მაღალი ღირებულება გააჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში. კასატორის მტკიცებით, აუცილებლად უნდა შეფასებულიყო მედია საშუალების მიერ გავრცელებული სადავო ინფორმაცია რამდენად იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს გამოთქმული კრიტიკა რამდენად ეხებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს და სადავო რეპორტაჟი ხომ არ ემსახურებოდა საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას, რაც მედიის უმთავრესი დანიშნულებაა.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის: „არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე“ საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას და-

ედო საფუძვლად, არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო შედეგება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანაცვების მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მოსარჩელე 1990-2008 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება. მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში;

- მოსარჩელე ტ. წ-მა 2004 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია – „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თადარიგის ვეტერან ოფიცერთა კავშირი“;

- 2004 წელს „ს.კ.“-ის მეშვეობით საავტორო გადაცემა „... წ-ის“ მიერ ტ. წ-ის მიმართ გავრცელდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში ტ. წ-ი იარაღით ვაჭრობდა და ასევე იგი მონაწილეობდა ბიზნესმენ ბ-ის გატაცების მცდელობაში. დასახელებული ფაქტები თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადანაცვებით არ დადასტურდა, ს.კ. „რ.“-ს და ჟურნალისტ ა. გ-ს დაევალებათ ტ. წ-ის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობის საჯაროდ უარყოფა. მათვე სასამართლოს მიერ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის 5000 ლარის გადახდა;

- 2008 წლის აგვისტოში, მოსარჩელე დაპატიმრეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა). მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა;

- 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №76-IX „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებით უარყოფილი იქნა მის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მოსარჩელე ცნობილ იქნა პოლიტპატიმრად;

- მოპასუხე შპს „ს.კ.“-ის ჟურნალისტების: დ. ჯ-ას, ნ. ს-ისა და ნ. მ-ძის მიერ, მოსარჩელის მიმართ, 2016 წლის 31 ივლისს სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ და 2016 წლის 1 აგვისტოს, გადაცემა „კ... საათზე“ გავრცელდა შემდეგი განცხადებები: „ტ. წ-ი სამშობლოს ლალატისთვის ერთხელ უკვე გასამართლებული პოლკოვნიკია და მას ისევ საიდუმლო მასალების რუსეთისათვის გადაცემაში ადანაშაულებენ და დასახელებულია ის გვარებიც, რომლებიც წ-ს გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლაში ეხმარებოდნენ. პოლკოვნიკ ტ. წ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის

შემდეგ სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს. ს.კ.-რ. “-ის ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ტ. წ-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული;

– მოსარჩელე ტ. წ-ი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის, წარმოადგენს საჯარო პირს; კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო პირად კვალიფიკაციისათვის რამდენიმე დამოუკიდებელი საფუძველია ჩამოყალიბებული: ა) სპეციალური კანონი თავის მხრივ, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე უთითებს; ბ) პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; გ) პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედებების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. მოცემულ საქმეზე, დადგენილია, რომ მოსარჩელე ტ. წ-ი 1990-2008 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება. მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში. მოსარჩელე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში და 2004 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თადარიგის ვეტერან ოფიცერთა კავშირი“, რომლის მიზანს შეადგენდა მშვიდობიანი მოლაპარაკებებითა და პოლიტიკური მეთოდებით ყველა სადავო და პრობლემატიკური საკითხების მოგვარებაში ხელშეწყობა. ამავე დროს, როგორც სამხედრო საქმის ექსპერტი, აწარმოებდა მონიტორინგს თავდაცვის სფეროში განეულ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სპეციალური კანონის მიზნებისათვის, მოსარჩელე განხილულია, როგორც საჯარო პირი.

10. საკასაციო პალატა, იმთავითვე განმარტავს, რომ განსახილველი კატეგორიის დავები განსაკუთრებით სენსიტიურია, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის, მისი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინ-

ფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად (იხ. მრავალთა შორის ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკა – სუსგ-ები: №ას-348-2020, 31.10.2022; №ას-989-2019, 28.06.2022წ; №ას-1016-2021, 25.05.2022წ; №ას-358-2021. 13.04.2022წ; №ას-336-2021, 26.01.2022წ; №ას-547-2020, 14.12.2021წ; №ას-960-2020, 13.10.2021წ; №ას-697-651-2017მ 20.05.2021წ; №ას-706-2020, 21.04.2021წ; №ას-981-2020, 21.04.2021წ; №ას-1151-2019, 21.04.2021წ; №ას-938-2020, 18.05.2021წ; №ას-810-2019, 05.03.2021წ; №ას-1705-2019, 27.11.2020წ; №ას-1606-2019, 25.11.2020წ; №ას-1696-2018, 31.07.2020წ; №ას-1366-2019, 6.04.2020წ; №ას-648-648-2018, 26.03.2020წ.).

11. გამოხატვის უფლება საქართველოში უზრუნველყოფილია არამხოლოდ კონსტიტუციით, არამედ მას აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიც, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

12. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მიშენელობას ანიჭებს, მის შესაზღუდად შეფასების მაღალ სტანდარტებს იყენებს და ამის გასამართლებლად წონად დასაბუთებას მოითხოვს. შესაბამისად, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს „სამართლიანი ბალანსის“ განსაზღვრისას, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების არეალი ძალიან ფართო არასდროს არის, თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებით (გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 128).

13. გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია დემოკ-

რეალური სახელმწიფოსათვის, მეტიც, იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 30) და დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნდამენტურ ელემენტს მიეკუთვნება (იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის /IDFI/ გზამკვლევი-გამოხატვის თავისუფლება v პატივისა და ღირსების დაცვა; 2018; გვ.4). გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 6). თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 13.).

14. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შემდეგ ქცევის წესს: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით, დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების კანონიერება, კერძოდ, მედიასაშუალებით მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებები, რომლებთან მიმართებითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, არის თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქოსამართლეობრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეფასების საგანია: წარმოადგენს თუ არა მოპასუხის გამონათქვამები ცილისწამებას (დიფამაციური შინაარსის განცხადებას), რომელმაც შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ასევე დასაადგენია მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მო-

სარჩელის უფლებების დასაცავად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს სპეციალური კანონის ნორმები. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტი განსაზღვრავს, რომ ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

15. უპირველესად, იმისათვის, რათა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები გამოიკვეთოს აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თუ ვის მიმართ განხორციელდა სადავო განცხადებები კერძო თუ საჯარო პირის მიმართ, რადგან კერძო პირის უფლების დაცულობის სტანდარტი უფრო მაღალია საჯარო პირებთან შედარებით, რომელთაც სიტყვის თავისუფლების მიმართ თმენის განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრებათ (იხ. სუსგ. საქმე №ას-1373-2022, 2023 წლის 23 მარტი). ამ მიმართებით, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად და ცნობილი და არც კასატორს წარმოუდგენია დასაბუთებული შედეგება მასზედ, რომ მოსარჩელე ტ. წ-ი სპეციალური კანონის მიზნებისთვის წარმოადგენს – საჯარო პირს. მეტიც, თავად კასატორივე საკასაციო საჩივრის მე-6 გვერდზე, უთითებს, რომ მოსარჩელე საჯარო პირია, რომელსაც თმენის უფრო მაღალი ვალდებულება გააჩნია.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი ადგენს საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტს და უშვებს აღნიშნულს ისეთ შემთხვევებში: თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელეა ვალდებული, დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობის არსებობა, კერძოდ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას; დ) მოპასუხემ წინასწარ იცოდა განცხადებული ფაქტის მცდარობის თაობაზე ან მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება მოპასუხის აშ-

კარა და უხეშმა დაუდევრობამ გამოიწვია. ასევე, უნდა გაირკვეს, ხომ არ არსებობს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები (იხ. სუსგ. საქმე №ას-989-2019, 2022 წლის 28 ივნისი).

17. მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებებიდან სადავოდაა გამხდარი 2016 წლის 31 ივლისს, სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ და 2016 წლის 1 აგვისტოს, გადაცემა „კ... საათზე“, გავრცელებული შემდეგი განცხადებები: „ტ. წ-ი სამშობლოს ღალატისთვის ერთხელ უკვე გასამართლებული პოლკოვნიკი და მას ისევ საიდუმლო მასალების რუსეთისათვის გადაცემაში ადანაშაულებენ და დასახელებულია ის გვარებიც, რომლებიც წ-ს გასაიდუმლოებულ ობიექტებზე შესვლაში ეხმარებოდნენ; პოლოვნიკ ტ. წ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს; ს.კ. „რ.“-ის ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ტ. წ-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული“.

18. მოცემულ შემთხვევაში, მოხმობილი განცხადებების გავრცელების ფაქტი უდავოდაა დადგენილი, თუმცა კასატორი აცხადებს, რომ მისი გავრცელება მოხდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების სრული დაცვით. კასატორის მტკიცებით, სადავო სიუჟეტში წამყვანს გადმოცემული აქვს ინფორმაცია წყაროზე დაყრდნობით, კერძოდ, სიუჟეტის მიმდინარეობისას არაერთგზის აღინიშნა შემდეგი სიტყვები: „კ-ძის მტკიცებით“, „კ-ძე საუბრობს“, „იგი ასევე ამბობს, რომ“. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სადავო სიუჟეტში წამყვანი საუბრობს მესამე პირში და ფაქტებს არ ახსენებს მტკიცებით ფორმაში, არამედ ახმოვანებს მისი წყაროს მიერ გადმოცემულ ინფორმაციას. მოხმობილ მსჯელობას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და კასატორს განუმარტავს, რომ იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამები შეიცავს თუ არა ცილისწამებულურ განცხადებას (რაც სსკ-ის 18.2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია), უნდა გაირკვეს, მსჯელობა წარმოადგენს „არსებითად მცდარ ფაქტს“, თუ ის „აზრის“ კატეგორიას განეკუთვნება, ასევე, უნდა გამოირკვეს კონტექსტი და ის ვითარება, რაც წინ უძღოდა ამ განცხადებებს.

19. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანო-

ნით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლების საფუძველია.

20. გასათვალისწინებელია, რომ აზრი ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში, აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგან მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა (მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 259).

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, ჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან, როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირობის დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.20126; №ას-790-739-2017, 17.01.20186; №ას-928-868-2017, 17.01.20186.). სადავო გამონათ-

ქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტორები ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ; №ას-569-540-2014, 11.03.2016 წ; №ას-1366-2019, 06.04.2020 წ.).

22. აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხაზგასასმელად აღსანიშნავია, რომ თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v. Austria (საჩივარი №9815/82), 08.07.1986წ., §46) და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Oberschlick v. Austria (საჩივარი №11662/85), 23.05.1991წ., §63) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირდეს, მაშინ, როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს, ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს, ეს შეენიშნაღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (De Haes and Gijssels v. Belgium, (საჩივარი №19983/92), 24.02.1997წ., §42) (შდრ. სუსგ №ას-938-2020, 18.03.2021წ.).

23. საკასაციო პალატის აზრით, ფაქტის მტკიცებას ახასიათებს – მტკიცებულებით დადასტურებადი – ობიექტური კავშირი გამოთქმულსა და სინამდვილეს შორის, მაშინ, როდესაც, აზრის/მოსაზრების მაკვალიფიცირებელია პოზიციის ან რწმენის ელემენტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამების აზრისა თუ ფაქტისადმი კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მათი წარმოთქმის მთლიანი კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე. ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს კონტექსტის გარეშე ვერ მიენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან მათი განცალკევებულად განხილვა გამოიწვევს გამონათქვამის შინაარსის დაკარგვას. შინაარსს კი სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს (შდრ. სუსგ №ას-547-2020, 14.12.2021წ.).

24. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2004 წელს „ს.კ.რ.“-ის მეშვეობით, საავტორო გადაცემა „... წ-ის“ მიერ, ტ. წ-ის მიმართ გავრცელდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში ტ. წ-ი იარაღით ვაჭრობდა და ასევე იგი მონაწილეობდა ბიზნესმენ ბ-ის გატაცების მცდელობაში. დასახელებული ფაქტები თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დადასტურდა, ს.კ. „რ.“-ს და ჟურნალისტ ა. გ-ს დაევალა ტ. წ-ის პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობის საჯაროდ უარყოფა. მათვე სასამართლოს მიერ სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის

5000 ლარის გადახდა. მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოში, მოსარჩელე დააპატიმრეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა). მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, 2012 წლის 5 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის №76-IX „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ დადგენილებით უარყოფილი იქნა ტ. წ-ის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მოსარჩელე ცნობილ იქნა პოლიტპატიმრად.

25. ზემოთ მოხმობილის გათვალისწინებით, მით უფრო მაშინ, როდესაც პოლიტპატიმრების სია მიჩნეულია პოლიტიკურ აქტად, საჯაროა და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტთანაა გაიგივებული, საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს დასაბუთებულად 2016 წელს, მედიასაშუალებით მოსარჩელის მიმართ სადავო რეპორტაჟის „აზრად“ დაკვალიფიცირების შესახებ კასატორის შედავებას. სასამართლოს ეს შეფასება რელევანტურია განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სადავო გამონათქვამები, შეიცავს მოსარჩელის მიერ მორალურად და სამართლებრივად ისეთი მძიმე დანაშაულების ჩადენის შესახებ ბრალდებას, როგორებიცაა სამშობლოს ღალატი, საიდუმლო ინფორმაციის გავრცელება და იარაღით უკანონო ვაჭრობა. ასევე, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები, ჩამოყალიბებულია იმპერატიული ფორმით და მიუთითებს კონკრეტული ფაქტების შესახებ, მაგალითად: სადავო განცხადებაში აღნიშნულია, რომ „პოლოვნიკ ტ. წ-ს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სამშობლოს ღალატისთვის პატიმრობა მიუსაჯეს“. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინებაში მოყვანილი წინმსწრები გარემოებების და კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე ცალკე აღებულიც, სადავოდ ქცეული განცხადებები, წარმოადგენს ფაქტების შემცველ განცხადებებს, რომლის გადამოწმებაც ობიექტურად შესაძლებელი იყო. კასატორს რეპორტაჟის გამოქვეყნებამდე, შეძლო გაერკვია იყო თუ არა მოსარჩელე სასამართლებული სამშობლოს ღალატისთვის და ედებოდა თუ არა მას ბრალად იარაღით უკანონო ვაჭრობა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატა ადგენს, რომ სააპელაციო პალატამ სადავო განცხადებები სრულიად მართებულად მიაკუთვნა „ფაქტების“ კატეგორიას. ხოლო, კანონმდებლობა ავალდებულებს მოპასუხეს მიიღოს ყველა ზომა პროგრამაში მოყვანილი (გადაცემული) ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომა (მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი).

26. საკასაციო პალატა ასევე, ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას მასზედ, რომ სადავო რეპორტაჟში მოხდა ჟურნალისტისთვის კონკრეტული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ჟურნალისტმა ყველა შესაძლო საშუალებით გადაამოწმა. ამასთანავე, უსაფუძვლოა კასატორის ის მითითებაც, რომ განცხადებაში არსებული გამონათქვამები აზრის შემცველია მანამ, სანამ მოსარჩელე არ დაადასტურებს საწინააღმდეგოს და სასამართლო დასაბუთებული მსჯელობის საფუძველზე არ დაასკვნის, რომ სადავო გამონათქვამები ფაქტის შემცველია. ანუ კასატორი მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დასძლია მასზე კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთი. პალატა განმეორებით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე 2016 წლის 31 ივლისს, სატელევიზიო გადაცემა „პ-ი“ და 2016 წლის 1 აგვისტოს, გადაცემა „კ. საათზე“, გასულ სიუჟეტში დადანაშაულებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებების ჩადენაში – სამშობლოს ღალატში, საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებასა და იარაღის უკანონო ვაჭრობაში. ამიტომ, საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მოსაზრებას, რომ კასატორზე გადავიდა მტკიცების ტვირთი, რის შესაბამისადაც სწორედ მოპასუხე მედიასაშუალებას უნდა დაემტკიცებინა, რომ მოსარჩელის მხარემ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება ჩადინა, რაც არათუ საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ დგინდება საპირისპირო – მოსარჩელის პოლიტპატიმრად გამოცხადება.

27. მიუხედავად სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს ჟურნალისტების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომ იმოქმედონ კარგი განზრახვით, საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად. ჟურნალისტური ეთიკა უნდა მოითხოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლების გამოყენების საფუძველზე, ჟურნალისტმა არ გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, რომლებიც გამოიწვევს ძალადობასა და სიძულვილს საზოგადოებაში (იხ. *Lingens v. Austria*; *Cumpana and mazare v. Romania*; *Editions Plon v. France*; *Observer and Guardian v. U.K*; *Radio france v. France*; *Bladet tromso and Stensaas v. Norway*; *Surek v. Turkey*; *Von Hannover v. Germany*; *Thoma v. Luxembourg*). ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს პატიოსნად, მან უნდა დაადგინოს ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა.

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამები ჩამოყალიბებულია იმდაგვარად, რომ მსმენელზე მხოლოდ მოსარჩელის მიმართ მოპასუხის პირადი განწყობისა და დამოკიდებულების შთაბეჭდილებას არ დატოვებდა, ისინი ამკარად მიმართული იყო მოსარჩელის

პიროვნული დისკრედიტაციისაკენ.

29. საკასაციო პალატა ერთ-ერთ საქმეში (სუსგ. №ას-1373-2022, 30 მარტი, 2023 წელი) განმარტავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, აზრის გამოხატვის თავისუფლება ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით სხვა ფუნდამენტურ უფლებებსა ან საზოგადოებრივ ინტერესებთან დაპირისპირებისას. ასეთი მიდგომა, გამოხატვის თავისუფლებას აბსოლუტურ უფლებად აქცევდა, თუმცა, პიროვნების შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“? ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (*Chauvy and others v. France* (საჩივარი №64915/01), 29.06.2004წ.).

30. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მძიმე ფაქტობრივი ბრალდება შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს შეფასებით მსჯელობად. აქვე, საკასაციო პალატა მოიშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას მასზედ, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მოსარჩელის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს შეაფასებდა, როგორც შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტს, სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ პრაქტიკას, რომლის მიხედვით, თუნდაც განცხადება წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი მის გასამყარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ჩაითვლება არასათანადოდ“ (იხ. ეგილ ეინარსონი ისლანდიის წინააღმდეგ (*Egill Einarsson v. Iceland*), №24703/15, §52, 7 ნოემბერი 2017) პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Pfeifer v. Austria*), №12556/03, §46, 15 ნოემბერი 2007). ევროსასამართლოს დასახელებული განმარტებებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეფასებითი მსჯელობაც კი, გარკვეულ ფაქტობრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რათა ეს შეფასებითი მსჯელობა სათანადოდ ჩაითვალოს. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით კი, უტყუარად დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული საკმაოდ სერიოზული ბრალდებები, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძველს.

31. პალატა ასევე მიუთითებს ევროსასამართლოს ერთ-ერთ გადამწყვეტილებაზე (*Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina*) [დიდი პალატა] – 17224/11, 27.6.2017), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ პრესის საქმიანობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც სოციალური მოდარაჯე. პრესის თავისუფლების სფეროში, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის თანდაყოლილი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების საფუძველზე დაყრდნობით მე-10 მუხლით

ჟურნალისტიკის დამდგენილი გარანტიები საზოგადო ინტერესის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისას, დამოკიდებულია იმაზე, ჟურნალისტი მოქმედებდა თუ არა კეთილსინდისიერად ჟურნალისტიკის ეთიკის ნორმებთან შესაბამისობაში ზუსტი და სანდო ინფორმაციის მისაწოდებლად. როდესაც ის სოციალური მოდარაჯის ფუნქციას ახორციელებს. კონკურენტული ინტერესების დაბალანსებისას აუცილებელია იმ კრიტერიუმის გათვალისწინება, რომელიც ზოგადად მოქმედებს მედიის მიერ თავისი საზოგადოებრივი მოდარაჯის ფუნქციის განხორციელებისას ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებაზე: (ა) რამდენად ცნობილი იყო სამიზნე პირი და რა წარმოადგენდა ბრალდების საგანს; (ბ) მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები; (გ) გამხელისი ინფორმაციის ავთენტურობა.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ინფორმაცია გაავრცელა საჯარო პირის შესახებ; გავრცელებული ინფორმაცია დადასტურებადი ფაქტის შემცველი და ცილისმწამებლურია; მოპასუხემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის დაძლევა, ასეთი ინფორმაცია კი, ზიანს აყენებს ინფორმაციის ადრესატის პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას.

33. საკასაციო პალატა კვლავ ამახვილებს ყურადღებას ჟურნალისტური ქცევის სტანდარტებზე და მიუთითებს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადამწყვეტილებაზე (იხ. 2017 წლის 26 ივლისის გადამწყვეტილებაში საქმე №ას-1011-972-2016), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ავტორი ირწმუნება, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა, ამ ფაქტების ჭეშმარიტების დადასტურება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებითაც, რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილი არ არის შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რაიმე მიმდინარე საქმესთან მოსარჩელის კავშირს. ასეც რომ ყოფილიყო, აღნიშნული დასტური იქნებოდა იმისა, რომ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადასტურდებოდა დანაშაულის ჩადენა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელემ წარმატებით დაძლია სპეციალური კანონით დამდგენილი მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის საფუძველად მითითებული გარემოების (გავრცელებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შე-

საძლებლობას იძლევა.

34. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომლის თანახმად, ჟურნალისტიები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუკი დაამტკიცებენ რომ ინფორმაცია ოფიციალური წყაროდან მიიღეს, ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. სხვა შემთხვევაში, ასევე უნდა დაადასტუროს ინფორმაციის გადამოწმება რა დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (ბლეიდი ტრომსო და სტენსაასი ნორვეგიის წინააღმდეგ). ჟურნალისტიების „მოვალეობები და პასუხისმგებლობების“ წარმოშობა გამოწვეულია იმ საფუძვლით, რომ გამოხატვის თავისუფლების საპირწონედ დაცული იყოს კერძო და საჯარო პირების პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია (იხ. *Von Hannover v Germany*).

განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ვერ შეძლო აღნიშნული გარემოებების დადასტურება, რაც ცალსახად მიუთითებს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობაზეც.

35. საკითხის სრულად ამოწურვის მიზნით, საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ საკასაციო საჩივარი ასევე არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას ჟურნალისტის დაუდევრობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ მოპასუხე დაადასტურებდა, რომ ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია გამოირიცხოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ჟურნალისტიების მხრიდან დაუდევრობა გამოირიცხება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ს.კ. „რ.“-ს და ჟურნალისტ ა. გ.-ს დაევალათ ტ. ნ.-ის პატივისა და ღირსების ხელშეწყობის – კერძოდ, თავდაცვის სამინისტროში მუშაობის პერიოდში ტ. ნ.-ის იარაღით ვაჭრობისა და ბიზნესმენ ბ.-ის გატაცების მცდელობაში მონაწილეობის შესახებ საჯაროდ უარყოფა. თუმცა, მიუხედავად ამ მოცემულობისა, შპს „ს.კ.რ.“-ის ჟურნალისტმა მოსარჩელის მიმართ, 2016 წლის 31 ივლისს სატელევიზიო გადაცემა „პ-ში“ კვლავ გაავრცელა ამონარიდი 2004 წელს გასული „...ნ.-ის“ რეპორტაჟიდან, რომ პოლოვნიკ ტ. ნ.-ი თავდაცვის სამინისტროდან იარაღის უკანონო ვაჭრობით იყო დაკავებული;

36. როგორც განსახილველი საქმის ანალიზიდან ირკვევა, დარღვე-

ულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებებით, რომლითაც ხდებოდა კონკრეტულ ფაქტებზე მითითება, მტკიცებულებების გარეშე, ზიანი მიადგა ადრესატის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, მიუხედავად იმ მაღალი თმენის ვალდებულებისა, რომელიც მოსარჩელეს, მისი სტატუსიდან (საჯარო პირის) გამომდინარე გააჩნდა. გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით და მანერით, რომ საშუალო მკითხველში აღძრავს მოსარჩელის მიმართ ზიზღს, მოსარჩელეს წარმოაჩენს, როგორც დამნაშავეს, ამასთან, სახეზეა კანონიერი ინტერესის – სხვათა უფლებების დაცვა, სერიოზული დაზიანება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ის გარემოებები, რომლებიც კასატორის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ, საკმარისადაა მოცემული (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1332-1258-2012).

37. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით. კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

38. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ანალოგიურ დავებში, ვიდრე ჩარევის თანაზომიერების საკითხი გადაწყდებოდა, მნიშვნელოვანია გაირკვეს ჩარევის „აუცილებლობის“ საკითხი, ვინაიდან თუ „აუცილებლობა“ არ იქნება დასაბუთებული, არც გამოხატვის შეზღუდვის საფუძველი იარსებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცი-

ის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. როგორც აღინიშნა, ანალოგიური პრინციპია გატარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ აღნიშნული ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს. აქვე ხაზგასასმელია, რომ ევროპული სტანდარტების მიხედვით, შეურაცხმყოფელი, გამოგნებელი ან შემაშფოთებელი ინფორმაცია ყველაზე მეტად პრესის თავისუფლებითაა უზრუნველყოფილი. დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და შემწყნარებლობის ფასეულობებს, ცალკეულ შემთხვევებში ადამიანებს ავალდებულებს აიტანონ მათთვის მიუღებელი ინფორმაციის მოსმენა. ამასთან, საჯარო პირებთან მიმართებაში „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან მიმართებაში. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოიხატება.

39. პალატა ასკვნის, რომ სადავო შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება. უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია.

40. რაც შეეხება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ხარისხს, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უფლების შეზღუდვა იმდენად დისპროპორციული არ უნდა იყოს, რომ ამას შედეგად მოჰყვეს მედიასაშუალების გამოხატვის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტი. არათანაზომიერების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში განისაზღვრება. მაგალითად, დაკისრებული ჯარიმისა და კომპენსაციის დიდ ოდენობას დაეფუძნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა ჩარევის არათანაზომიერად მიჩნევის თაობაზე, საქმეში *KARHUAARA AND ILTALEHTI v. FINLAND*, რომელიც შეეხებოდა გაზეთის მთავარი რედაქტორის დასჯას პარლამენტის დეპუტატის პირად ცხოვრებაში ჩარევისათვის.

41. საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში, ღირსება გამოხატავს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას თვით ამ პიროვნების მიერ, ხოლო პატივი პიროვნული თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, ანუ იმას, თუ როგორ აღიქმება პიროვნება საზოგადოების თვალში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შესწავლა იძლევა იმგვარი პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ სადავო ინფორმაციის გავრცელებით შეილახებო-

და ნებისმიერი საშუალო ადამიანის პატივი და ღირსება, მით უმეტეს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერაა დადგენილი, მოსარჩელე ცნობილი საჯარო პირია. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხს შეეხებოდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია“ (იხ.სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი).

42. მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს მორალური ზიანის გამოთვლის წესს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს სსკ-ის 413-ე მუხლი (რომელიც ადგენს ზოგად წესს). აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სასამართლო ადამიანის პიროვნული ღირებულებების ხელყოფის ფაქტის შემთხვევაში მორალური ზიანის შინაარსსა და მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობისა და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს (იხ. სუსგ №ას-645-2019, 26.07.2019 წ.).

43. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის ხარისხის და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე (იხ. სუსგ №ას-660-660-2018, 20.07.2018 წ., №ას-1040-2018, 26.07.2019 წ.).

44. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მოითხოვა მოპასუხისათვის 30 000 ლარის დაკისრება, როგორც მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, თუმცა სასამართლომ მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ – 10 000 ლარის დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მიკუთვნებული მორალური ზიანის ოდენობა პროპორციულია იმ რეპუტაციული თუ მორალური ზიანისთვის, რომელიც მოსარჩელეს მიადგა. ამასთან, დაკისრებული ოდენობა არ არის იმდენად მაღალი, რომ მსუსხავი ეფექტი იქონიოს მოპასუხე მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლებაზე, რის გამოც პალატა ასკვნის, რომ ამ ნაწილშიც სააპელაციო პალატის განჩინება კანონიერია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, საკასაციო შედეგება ასევე არ არის დასაბუთებული. სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადია.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის პოზიციის მართებულობას, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

46. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

47. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კასატორმა ვერ წარადგინა დასაბუთებული პრეტენზია, რაც მისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას განაპირობებდა.

48. სსსკ-ის 55.2 მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში, რადგან საკასა-

ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა:

1. შპს „ს.კ.რ.“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. 1. კასატორ შპს „ს.კ.რ.“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟი 500 ლარის ოდენობით;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო პირის ცილისწამება

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-501-2020

20 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. გ. კ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ლ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. დაევალოს მოპასუხეს მოსარჩელის შესახებ ცილისმწამებლური განცხადებების უარყოფა სატელევიზიო მედიასაშუალებების – ტელეკომპანია „იმედისა“ და „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით, აგრეთვე, საინფორმაციო პორტალების – „ინტერპრესნიუსისა“ (www.ipn.ge) და „ნიუსჯის“ (www.news.ge) მეშვეობით, სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი სახის ცნობების გამოკვეყნების გზით: სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 10.08.2015 წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ გაკეთებული განცხადებები: 1. „ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა“; 2. „ადამიანი (გ. კ-ი), რომელიც არის ცნობილი ნარკომანი და კრიმინალი ჩვეულებრივი და თავზე ხელაღებული, წლების განმავლობაში ს-ის, ასე ვთქვათ მონა“; 3. „დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი (გ. კ-ი) იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ“ – არის სიცრუე და ცილისწამება და მოსარჩელის პატივისა და ღირსების, ასევე – მისი საქმიანი რეპუტაციის შემლახველი განცხადება.

1.2. დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება სიმბოლურად 1 ლარის ოდენობით.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 04.09.2019 წელს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.02.2020 წლის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, განჩინება ეფუძნება შემდეგს:

5.1. მოსარჩელე არის 2012 წლის მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრი ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიით, 10.08.2015 წლის მდგომარეობით იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და წარმოადგენდა

საჯარო პირს.

5.2. მოპასუხე 10.08.2015 წლის მდგომარეობით იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი და წარმოადგენდა საჯარო პირს.

5.3. მოსარჩელე 10.08.2015 წელს ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართავდა თავის ავტომობილს და გადაადგილდებოდა სოფელ ქვიშხეთში, რა დროსაც შეაჩერეს შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საგზაო მანევრირების წესების დარღვევის საბაბით. მოსარჩელეს პატრულის თანამშრომლებთან მოუვიდა შელაპარაკება, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მოსარჩელე და მის მანქანაში მყოფი ერთ-ერთი პირი, რომელსაც წარედგინა ბრალდება პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის.

5.4. 10.08.2015 წელს მასმედიასთან მიცემულ ინტერვიუში მოსარჩელემ განაცხადა შემდეგი: „ნება მომეცით საზოგადოებას ბოდიში მოვუხადო მომხდარი ინციდენტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პოლიციელების ქმედება ატარებდა წინასწარ განზრახული პროვოკაციის ნიშნებს, ჩემს საქციელს – ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომას და გინებას გამართლება არ აქვს და გულწრფელად ვნანობ“.

5.5. ზემოაღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით 10.08.2015 წელს მოპასუხემ, პრემიერ მინისტრმა, სატელევიზიო მედიასაშუალებებისათვის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია „იმედი“) მიცემულ ინტერვიუში განაცხადა შემდეგი: „მე მინდა დავგმო ეს ფაქტი, ეს არის ყოვლად აღმაშფოთებელი, სრულიად მიუღებელი ფაქტი, ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა, ეს ცალსახად ასე ჩანს კარგად და თქვენ ნახეთ, საზოგადოებამ დღეს იხილა კადრები, თუ როგორ აგინებს, როგორ შეურაცხყოფს საქართველოს პოლიციას და ქართულ პოლიციას, ადამიანი, რომელიც არის ცნობილი ნარკომანი და კრიმინალი, ჩვეულებრივი და თავზეხელაღებული, წლების განმავლობაში ს-ის ასე ვთქვათ მონა, მე არ მინდოდა ამ სიტყვების ხმარება, მაგრამ ისინი იმსახურებენ ამას, იმიტომ რომ ჩემთვის აბსოლუტურად აღმაშფოთებელი იყო ის რაც ვნახე. მე მინდა მივმართო ქართულ პოლიციას, რომ მათ აბსოლუტურად პროფესიონალურად მოიქცნენ, მათ დაიცვან საკუთარი ღირსება და საკუთარი მუნდირი და ასე გააგრძელონ, რომ არცერთი ადამიანი არ დარჩება დაუსჯელი, ვინც კანონს დაარღვევს, იქნება ეს კ-ი, იქნება ეს ჩვენი დეპუტატი, თუ იქნება ეს მინისტრი თუ სხვა;“ „არცერთი ადამიანი არ დარჩება დაუსჯელი, ვინც კანონს დაარღვევს, იქნება ეს კ-ი, იქნება ეს ჩვენი დეპუტატი თუ იქნება ეს მინისტრი თუ სხვა. ნებისმიერი მოქალაქე, ვინც ქართულ პოლიციის წინააღმდეგ რაიმე ქმედებას განახორციელებს, ის იქნება რა თქმა უნდა კანონის შესაბამისად მკაცრად დასჯილი. ეს არის ჩემი პოზიცია და ამას მე მტკიცედ დავიცავ. ამიტომ მე ყველას მოვუწოდებ, პირველ რიგში, ამ პრო-

ვოკატორებს, რომლებიც ცდილობენ, რომ ქართული პოლიციის სახელი შებღალონ, რომ მათი ეს მცდელობა დასრულდება კრახით, იმიტომ რომ ისინი დაისჯებიან სამაგალითოდ, იქნება ეს კ-ი, თუ ნებისმიერი სხვა, ბ-ძე, რომლებიც პირდაპირ პროვოცირებენ და ინვევენ ჩვენს პოლიციელებს. მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პოლიციას, ასეთი ღირსეული და პროფესიონალური მოქცევისათვის და მე მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ყველა ასეთი ფაქტი იქნება ბოლომდე გამოძიებული და ყველა კანონდამრღვევი იქნება დასჯილი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ, სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ასეთ ბოდეებს და ასეთ სისულელეებს არ მოიგონებდა“.

5.6. 10.08.2015 წელს შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სისხლის სამართლის საქმეზე №077100815001, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, ბრალდებულის სახით დააკავეს მოსარჩელე, რომელიც იმავე დღეს გაათავისუფლეს და მის მიმართ ბრალდების შესახებ დადგენილება არ გამოტანილა.

5.7. 23.09.2015 წელს სისხლის სამართლის №077100815001 საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე მოსარჩელის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 25-19, 379-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რომელზეც 08.08.2019 წლის ცნობის შესაბამისად, შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

5.8. 12.08.2015 წელს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია ექსპერტიზის დასკვნა №0044732615, რომლის თანახმად, მოსარჩელისაგან საანალიზოდ აღებული ბიოლოგიური მასალის (შარდის) იმუნოქიმიური სტრიქტესტებით შემოწმებისას ნარკოტიკულ საშუალებებზე: ამფეტამინზე, ბუპრენორფინზე, მორფინზე, მეთადონსა და ტეტრაჰიდროკანაბინოლზე მიღებულია უარყოფითი შედეგი.

5.9. 12.08.2015 წელს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულია ცნობა №4-022552, რომლის თანახმად, მოსარჩელე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არ იმყოფება.

5.10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 06.10.2015 წლის ცნობის შესაბამისად, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მოსარჩელე არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება.

5.11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

5.12. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, „სიცუვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში „სპეციალური კანონი“) მე-7, მე-14 მუხლებით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სპეციალური კანონის მე-14 მუხლის ასამოქმედებლად, აუცილებელია, დადგინდეს, რომ მოპასუხის განცხადებები უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა, განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისწამებლურ განცხადებას, უნდა გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოდგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“.

5.13. სააპელაციო პალატის მითითებით, მოპასუხე მის მიერ გაკეთებული გამონათქვამების (1. „ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა“; 2. „ადამიანი, რომელიც არის ცნობილი ნარკომანი და კრიმინალი ჩვეულებრივი და თავზე ხელაღებული, წლების განმავლობაში ს-ის, ასე ვთქვათ მონა“; 3. „დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ“) გაჟღერებისას არ უთითებს, რომ რომელიმე წყაროზე დაყრდნობით ავითარებს ამ აზრს, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, ეს იყო მისი პირადი აზრი, სუბიექტური შეფასება მოსარჩელის მიმართ, გამომდინარეობდა მისი პირადი წარმოდგენიდან, რომელიც შეექმნა 10.08.2015 წლის მოვლენების გამო და არის მსჯელობის, შეფასების შედეგი. შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის პირველივე აუცილებელი პირობა – ცილისწამება, ვინაიდან მოპასუხემ გაავრცელა არა არსებითად მცდარი ფაქტები, არამედ გამოთქვა პირადი აზრი და ადგილი ჰქონდა შეფასებით მსჯელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ 10.08.2015 წელს მოსარჩელის მისამართით გაკეთებული განცხადება არის შეფასებითი მსჯელობა.

5.14. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელე საჯარო პირია და, სპეციალური კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საჯარო პირის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები მეტად ფართოა. მოპასუხე საჯარო პირია და მან განცხადებები გააკეთა მოსარჩელის – როგორც საჯარო პირის მიმართ. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენს იმ მოვლენების მწვავე და ერთგვარად უხეში ფორმით პოლიტიკურ შეფასებას, რასაც ადგილი ჰქონდა 10.08.2015 წელს.

5.15. მოპასუხის მიერ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გაკეთება, რომელიც ცილისწამებას გაუთანაბრებოდა, არ დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ ნორმის დისპოზიციით განმტკიცებული მეორე ელემენტი – მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტი აღარ გამოიკვლია და სამართლებრივად აღარ შეაფასა.

5.16. სსკ-ის 230-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი არის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, რომლის დაკმაყოფილებასაც უკავშირდება მოსარჩელის მეორე მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მსგავსი ტიპის დავების განხილვის დროს დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, გაირკვეს, რას წარმოადგენს მოპასუხის მიერ გაკეთებული სადავო გამონათქვამები – ფაქტებს თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს). რადგან აღნიშნული საკითხი დგინდება სამართლებრივი შეფასების გზით, სასამართლო ვალდებულია, იკვლიოს სარჩელის იურიდიული მართებულობა. ამასთან, საყურადღებოა, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იყო შესაგებელი წერილობითი ფორმით, რომლითაც იგი სადავოდ ხდიდა სარჩელში მითითებულ გარემოებებს და განმარტავდა, რომ მისი განცხადებები წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები, რის გამოც არ არსებობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.07.2019 წლისა და

04.09.2019 წლის საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის (არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე) საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის, მისი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდეგში „კონვენციის“) მე-10 მუხლით, ყველას აქვს უფლება, გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის

ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მის შესაზღუდად შეფასების მაღალ სტანდარტებს იყენებს და ამის გასამართლებლად წონად დასაბუთებას მოითხოვს. შესაბამისად, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს „სამართლიანი ბალანსის“ განსაზღვრისას, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების არეალი ძალიან ფართო არასდროს არის, თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებით (გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურიდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 128).

11. მოცემულ დავაში საკასაციო პალატის შეფასების საგანია, 10.08.2015 წელს სხვადასხვა მედიასაშუალებით მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებები არის თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლით (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან) დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, წარმოადგენს თუ არა მოპასუხის გამონათქვამები ცილისწამებას (დიფამაციური შინაარსის განცხადებას), რომელმაც შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის უფლებების დასაცავად. მოცემული დავის გადანყევტისას გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე – სპეციალური კანონის ნორმები. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტი განსაზღვრავს, რომ ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

12. მოცემული საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერება, რომლითაც უცვლელად დარჩა სსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყევტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასა-

მართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, მოპასუხე მხარის საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტი თავისთავად დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას არ გამოიწვევს. სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებს თუ არა (სუსგ №ას-1337-2019, 02.03.2020წ.).

13. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას, იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს თუ აზრს ან შეილახა თუ არა მოპასუხის პატივი, ღირსება, ან საქმიანი რეპუტაცია, სამართლის საკითხია და მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანონის ძალით დადასტურებულად მიიჩნევა თავად განცხადების გავრცელების ფაქტი მისი შინაარსის გათვალისწინებით, რომლის სამართლებრივი შეფასებაც სასამართლოს გადასაწყვეტია, ხოლო სასამართლო ამ შემთხვევაში არ არის შეზღუდული მხარის მითითებებით (სუსგ №ას-1179-1124-2013, 30.04.2015წ.).

14. მოსარჩელის მიერ მითითებულია და მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულადაა მიჩნეული შემდეგი გარემოებები:

14.1. მოსარჩელე არის 2012 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიით;

14.2. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილედ, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილედ;

14.3. მოსარჩელესა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის 10.08.2015 წელს ადგილი ჰქონდა ინციდენტს, კერძოდ, მოსარჩელე ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართავდა თავის ავტომობილს და გადაადგილდებოდა სოფელ ქვიშხეთში საკუთარი სახლის მიმართულებით, ასევე სოფელში სახლებში უნდა დაეტოვებინა

სუფრის რამდენიმე წევრი. 00:45 საათზე გააჩერეს შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საგზაო მანევრირების წესების დარღვევის საბაბით;

14.4. მოსარჩელეს პატრულის თანამშრომლებთან მოუვიდა შელაპარაკება, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს მოსარჩელე და მის მანქანაში მყოფი ერთ-ერთი პირი, რომელსაც წარედგინა ბრალდება პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისთვის;

14.5. ინციდენტი გააშუქა მასმედიამ;

14.6. 10.08.2015 წელს მასმედიის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში მოსარჩელემ განაცხადა შემდეგი:

„ნება მომეცით, საზოგადოებას ბოდიში მოვუხადო მომხდარი ინციდენტის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პოლიციელების ქმედება ატარებდა წინასწარ განზრახული პროვოკაციის ნიშნებს, ჩემს საქციელს – ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომას და გინებას გამართლება არ აქვს და გულწრფელად ვნანობ“;

14.7. ზემოაღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით 10.08.2015 წელს მოპასუხემ, პრემიერ მინისტრმა, სატელევიზიო მედია საშუალებებისათვის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია „იმედი“) მიცემულ ინტერვიუში განაცხადა შემდეგი:

„ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა. ეს ცალსახად, ეს ასე ჩანს კარგად და თქვენ ნახეთ, საზოგადოებამ დღეს იხილა კადრები, თუ როგორ აგინებს, როგორ შეურაცხყოფს საქართველოს პოლიციას, ადამიანი, რომელიც არის ცნობილი ნარკომანი და კრიმინალი ჩვეულებრივი და თავზე ხელაღებული, წლების განმავლობაში ს-ის, ასე ვთქვათ მონა, მე არ მინდოდა ამ სიტყვების ხმარება, მაგრამ ისინი იმსახურებენ ამას, ... დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. სხვა შემთხვევაში ასეთ ბოძებს და სისულელეებს არ მოიგონებდა“;

14.8. მოსარჩელე ინციდენტის მომენტში არ იმყოფებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ;

14.9. მოსარჩელე არ იმყოფება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე;

14.10. მოსარჩელეს არასოდეს გაუკეთებია პრეზიდენტ ს-ის მიმართ მამებლური გამონათქვამები.

15. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით) საჯარო პირია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

16. მოსარჩელე და მოპასუხე სადავო განცხადებების გაკეთების დროს იყვნენ საჯარო პირები, კერძოდ:

16.1. მოსარჩელე იყო 2012 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით, 10.08.2015 წლის მდგომარეობით იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი („საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს პარლამენტის წევრი არის თანამდებობის პირი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია)) და წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს (სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997 წლის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

16.2. მოპასუხე 10.08.2015 წლის მდგომარეობით იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი და წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს (სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997 წლის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

17. სპეციალური კანონის მე-14 მუხლი ადგენს საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტს და უშვებს აღნიშნულს ისეთ შემთხვევებში: თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელეა ვალდებული, დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობის არსებობა, კერძოდ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას; დ) მოპასუხემ წინასწარ იცოდა განცხადებული ფაქტის მცდარობის თაობაზე ან მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება მოპასუხის აშკარა და

უხეშმა დაუდევრობამ გამოიწვია. ასევე, უნდა გაირკვეს, ხომ არ არსებობს ცილისნამებისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

18. მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებებიდან სადავოდაა გამხდარი შემდეგი წინადადებები: 1. „ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა“; 2. „ადამიანი (გ. კ-ი), რომელიც არის ცნობილი ნარკომანი და კრიმინალი ჩვეულებრივი და თავზე ხელაღებული, წლების განმავლობაში ს-ის, ასე ვთქვათ მონა“; 3. „დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი (გ. კ-ი) იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ“.

19. იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამები არის თუ არა ცილისწამებლური განცხადება (რაც სსკ-ის 18.2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია), უნდა გაირკვეს, იგი წარმოადგენს „არსებითად მცდარ ფაქტს“ თუ „აზრის“ კატეგორიას განეკუთვნება, ასევე, კონტექსტი და ის ვითარება, რაც წინ უძღოდა ამ განცხადებებს. აღნიშნული წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას და სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს მასზე, მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაშიც კი.

20. სადავო გამონათქვამების აზრისა თუ ფაქტისადმი კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მათი წარმოთქმის მთლიანი კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე. ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს კონტექსტის გარეშე ვერ მიენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან მათი განცალკევებულად განხილვა გამოიწვევს გამონათქვამის შინაარსის დაკარგვას. შინაარსს კი სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს. საკასაციო სასამართლო მითითებული ამონარიდების შეზღუდული კონტექსტით ვერ შემოიფარგლება და მათ განცხადებასთან ერთიანობაში განიხილავს (შდრ. სუსგ №ას-547-2020, 14.12.2021წ.).

21. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ-

ლი და უპირობო გათავისუფლების საფუძველია.

22. გასათვალისწინებელია, რომ აზრი ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში, აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგან მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა (მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.259).

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“, ფართოდ განმარტებისას, გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან, როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიციურობის დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ; №ას-790-739-2017, 17.01.2018წ; №ას-928-868-2017, 17.01.2018წ.). სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ; №ას-569-540-2014, 11.03.2016წ; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.). აზრის თავისუფლების დაც-

ვის სტანდარტის ხაზგასასმელად აღსანიშნავია, რომ თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v. Austria (საჩივარი №9815/82), 08.07.1986წ., §46) და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Oberschlick v. Austria (საჩივარი №11662/85), 23.05.1991წ., §63) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირდეს, მაშინ, როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს, ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს, ეს შეენიშნა აღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (De Haes and Gijssels v. Belgium, (საჩივარი №19983/92), 24.02.1997წ., §42) (შდრ. სუსგ №ას-938-2020, 18.03.2021წ.).

24. ფაქტის მტკიცებას ახასიათებს – მტკიცებულებით დადასტურებადი – ობიექტური კავშირი გამოთქმულსა და სინამდვილეს შორის, მაშინ, როდესაც, აზრის/მოსაზრების მაკვალიფიცირებელია პოზიციის ან რწმენის ელემენტი. ბერლინის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელის პიროვნების დამამცირებელი სუბიექტური ელემენტით დატვირთული კომენტარები მიიჩნია შეფასებად და განმარტა, რომ კომენტარების ფორმით გამოხატული ზიზლი და უპატივცემულობა, ვერც ერთად აღებული და ვერც ფაქტის შემცველი ე.წ. ფაქტობრივი ელემენტის მეშვეობით, ვერ შეფასდება ჭეშმარიტობის ან მცდარობის კრიტერიუმით (შდრ. ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 11.03.2020წ. გადაწყვეტილება სოციალურ ქსელში დიფამაციის თემაზე, №10 W 13/20, §22, იხ. ჟურნალში შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11/2021, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 155, თამარ ერგემლიძის თარგმანი).

25. როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხის მიერ განცხადების გამოქვეყნებას წინ უძღოდა 10.08.2015 წლის ინციდენტი, რომლის დროსაც მოსარჩელე ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართავდა ავტომობილს, იგი შეაჩერეს შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საგზაო მანევრირების წესების დარღვევის საბაზით, რასაც მოჰყვა შელაპარაკება და მოსარჩელის დაკავება. 10.08.2015 წელს მასმედიასთან ინტერვიუში მოსარჩელემ ამ ინციდენტთან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა და გამოთქვა ეჭვი, რომ „პოლიციელების ქმედება ატარებდა წინასწარ განზრახული პროვოკაციის ნიშნებს“.

26. მოპასუხის განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ მათში ასახული მსჯელობა ეფუძნებოდა 10.08.2015 წელს მომხდარ ფაქტს, რომელიც ვრცლად გააშუქეს მედიასაშუალებებმა, სადაც ორივე მხარის პო-

ზიცია და ურთიერთბრალდებები (ორივე განცხადებაში საუბარია ე.წ. „პროვოკაციაზე“, კერძოდ, „ცალკეული პოლიციელების ქმედება ატარებდა წინასწარ განზრახული პროვოკაციის ნიშნებს“ (მოსარჩელე), „ეს არის პროვოკაცია, რომელიც დაგეგმა კ-მა“ (მოპასუხე)) დაფიქსირდა.

27. მოპასუხის განცხადებებში გადმოცემულია ამ ინციდენტის მიმართ თავად მისი სუბიექტური დამოკიდებულება, მოსარჩელის ქმედებების მწვავე, უხეში ფორმით შეფასება. საკასაციო პალატა ამახვილებს ყურადღებას მასზე, რომ 10.08.2015 წლის მდგომარეობით მოსარჩელე იყო სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, საქართველოს პარლამენტის წევრი, შესაბამისად, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოა. ასეთმა პირებმა კრიტიკა (ზოგჯერ დაუმსახურებელი) უნდა აიტანონ და ზიდონ ის ტვირთი, რაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე განწესებას ახლავს. თავის მხრივ, თანამდებობრივი პოზიციიდან გამომდინარე, მათ უამრავი საშუალება აქვთ კრიტიკაზე პასუხის გასაცემად (პოზიციის გამოსახატავად) (სუსგ №ას-989-2019, 28.06.2022წ.).

28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკოსი საზოგადოების ყურადღების ცენტრში თავს შეგნებულად აყენებს, მისი სიტყვა და საქმე გარდაუვლად ხდება როგორც ჟურნალისტების, ისე მთლიანად, საზოგადოების დაჟინებული, გამომცდელი მეთვალყურეობის ობიექტი, ამიტომ პოლიტიკოსის მოთმინების უფრო მაღალი ხარისხის გამოჩენა მართებს (Lingens v. Austria (საჩივარი №9815/82), 08.07.1986წ., §42), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის თავად აკეთებს ისეთ საჯარო განცხადებებს, რომლებიც კრიტიკისკენ მიდრეკილია (Oberschlick v. Austria (საჩივარი №11662/85), 23.05.1991წ., §59; Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia (საჩივარი №20981/10) 17.04.2014წ. (საბოლოო გახდა 17.07.2014წ.), §40).

29. ზოგადად, თემნის ვალდებულება ვრცელდება პოლიტიკური კლასის ყველა წევრზე, იქნება ეს პრემიერ-მინისტრი (Tuşalp v. Turkey (საჩივარი №32131/08, №41617/08), 21.02.2012წ. (საბოლოო გახდა 21.05.2012წ.), §45; Axel Springer AG v. Germany (no. 2), (საჩივარი №48311/10), 10.07.2014წ. (საბოლოო გახდა 10.10.2014წ.), §67; Dickinson v. Turkey (საჩივარი №25200/11), 02.02.2021წ. (საბოლოო გახდა 31.05.2021წ.), §55), მინისტრი (Turhan v. Turkey (საჩივარი №48176/99), 19.05.2005წ. (საბოლოო გახდა 19.08.2005წ.), §25), მერი (Brasilier v. France (საჩივარი №71343/01), 11.04.2006წ. (საბოლოო გახდა 11.07.2006წ.), §41), პოლიტიკური მრჩეველი (Morar v. Romania (საჩივარი №25217/06), 07.07.2015წ. (საბოლოო გახდა 07.10.2015წ.)), პარლამენტის წევრი (Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia (საჩივარი №20981/10) 17.04.2014წ. (საბოლოო გახდა 17.07.2014წ.); Monica Macovei v. Romania (საჩივარი №53028/14),

28.07.2020წ. (საბოლოო გახდა 28.10.2020წ.) თუ პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე (Oberschlick v. Austria (no. 2) (საჩივარი №20834/92), 01.07.1997წ.) (გზამკვლევი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესახებ, გამოხატვის თავისუფლება, ბოლო განახლება 28.02.2023, ველი 248, გვ. 46, chrome-extension://efaidnbmninnibpcapjpcglefindmkaj/https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_10_eng).

30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებით პრობლემურია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ განცხადება პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (Süreç v. Turkey (№1) (საჩივარი №26682/95), 08.07.1999წ., §61; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [GC] (საჩივარი №21279/02, №36448/02), 22.10.2007წ., §46; Brasilier v. France (საჩივარი №71343/01), 11.04.2006წ. (საბოლოო გახდა 11.07.2006წ.), §41).

31. როგორც უკვე აღინიშნა, განცხადებების გამოქვეყნებისას მოპასუხეც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი (პრემიერ-მინისტრი) იყო. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამები, მათი შინაარსისა და გამოთქმის ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოადგენს, 10.08.2015 წლის ინიციდენტიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ პოლიტიკური ოპონენტის – ოპოზიციური საპარლამენტო პარტიის წევრის, მისი ქცევის (არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა, სამართალდამცველების გინება) ნეგატიურ შეფასებას. მოპასუხის განცხადებებში, რომლებიც შეიცავს სადავო გამონათქვამებს, გადმოცემულია მისი კომენტარი, სუბიექტური შეხედულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და შეუძლებელია, მიჩნეულ იქნეს რეალურ თუ მცდარ გარემოებად. აღნიშნულზე მეტყველებს განცხადებებში ასახული წინადადებების მთლიანი აზრი, რომელთაგან განყენებულად ვერ შეფასდება სადავო გამონათქვამები. სადავო გამონათქვამები გამოხატვის ერთიანი კონტექსტის გათვალისწინებით – „ეს ცალსახად, ეს ასე ჩანს კარგად“, „დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი იყო ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. სხვა შემთხვევაში ასეთ ბოძვებს და სისულელეებს არ მოიგონებდა“ – შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება. ყოველივე აღნიშნული კი გამონათქვამების აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს. შესაბამისად, არ არსებობს პასუხისმგებლობის ისეთი წინაპირობაც, როგორიცაა განცხადებების მცდარობის თაობაზე მოპასუხის წინასწარი ინფორმირებულობა ან მათი გავრცელება მოპასუხის აშკარა და უხეში დაუდევრობით.

32. გამოხატვის თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოს სა-

ფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია – გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39). გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს, ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. [...] ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობისა და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

33. იმავდროულად, თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებსა თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკასა და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის მეუცვლეელი წყაროა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40).

34. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებსა“ და „იდეებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც

შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემაშფოთებელია (Nilsen and Johnsen v. Norway (საჩივარი №23118/93), 25.11.1999წ., §43; Matalas v. Greece (საჩივარი №1864/18), 25.03.2021წ., §38). აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრება ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლება, რომელიც შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი და შემაწუხებელია (Castells v. Spain (საჩივარი №11798/85), 23.04.1992წ., §42). შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“? ევრო-სასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (Chauvy and others v. France (საჩივარი №64915/01), 29.06.2004წ.). ამდენად, შესაფასებელია გამოხატვის ფორმა და ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა (შდრ. სუსგ №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.).

35. საკასაციო სასამართლოს განსჯით, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები მათი მიზნისა და იმ ზემოქმედების გათვალისწინებით, რაც მას საზოგადოებაზე შესაძლოა, მოეხდინა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმდენად გადაჭარბებულად, რომ გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. რადგან არ დადგინდა კანონით დაცული უფლების დარღვევა, ვერ იქნება გაზიარებული მოსარჩელის მითითება მისთვის მორალური ზიანის მიყენების თაობაზე. სადავო გამონათქვამები ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას.

36. პალატა მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განისაზღვროს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ დადასტურდეს. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (Handyside v. the United Kingdom (საჩივარი №5493/72), 7.12.1976წ.; Stoll v. Switzerland [GC] (საჩივარი №69698/01), 10.12.2007წ., §101; Animal Defenders International v. the United Kingdom [GC] (საჩივარი №48876/08), 22.04.2013წ., §100; Morice v. France [GC] (საჩივარი №29369/10), 23.04.2015წ., §124; Balaskas v. Greece (საჩივარი №73087/17), 05.11.2020წ., §36) (შდრ. სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016წ.). მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მწვავე საჭიროების დამადასტურებელი რაიმე გარემოება წინამდებარე საქმეში არ გამოკვეთილა.

37. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, დავა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სხვაგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვა ხელყოფ-

და შეხედულებების თავისუფლების არსს იმის გათვალისწინებითაც, რომ სადავო გამონათქვამები სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გამოხატვაა. რადგან სადავო გამონათქვამები, როგორც შეფასებითი მსჯელობა, ცილისწამებად ვერ მიიჩნევა, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოში მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

38. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

39. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.02.2020 წლის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმიანი რეპუტაციის შელახვა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-348-2020

31 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. რ. ბ-მა (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის (ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლე, შემდგომ – მერია, მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველით მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველები:

2. გამგეობამ 1997 წლის 4 სექტემბრის №... და 1998 წლის 20 იანვრის №... დადგენილებებით სახაზინო სანარმო „ქ-ი“ (შემდგომ – სანარმო), რომლის დირექტორიც მოსარჩელე იყო, ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო და მის ბალანსზე რიცხული ქონება სახაზინო სანარმო „გ-ს“ მართლსაწინააღმდეგოდ გადასცა მოგონილი, ცრუ საფუძველით, კერძოდ, „სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის“ გამო. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილებები ბათილად არის ცნობილი.

3. რაკი სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სანარმოს დირექტორის უფლება-მოვალეობათა შემადგენელი ნაწილია, ფაქტობრივად, გამგეობამ დადგენილებებით სანარმოს დირექტორის მიერ საქმიანობის არასათანადოდ, არაკეთილსინდისიერად წარმართვაზე მიუთითა, რითაც მოპასუხემ მოსარჩელის, როგორც ამ სანარმოს დირექტორის, საქმიანი რეპუტაცია შელახა.

4. ამასთან, 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ დასახელებულია გამ-

გეობა, ხოლო კრედიტორად – მოსარჩელე. შესაბამისად, გამგეობა, როგორც მოვალე, ვალდებული იყო, საწარმო აღედგინა იურიდიულ პირად და დაებრუნებინა საწარმოსათვის ვალის ანგარიშში გადაცემული ქონება, რაც გამგეობამ არ შეასრულა. მოპასუხის ამ ქმედებით დაირღვა მოსარჩელის უფლებები და ინტერესები, კერძოდ, საწარმო დღესაც ლიკვიდირებულია მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი საფუძვლით. რაკი საწარმო იურიდიულ პირად არ აღდგა, ვერ აღსრულდა ვერც გურჯაანის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე აღდგენილ იქნა საწარმოს დირექტორად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის შელახული საქმიანი რეპუტაციის რეაბილიტაცია ვერ ხერხდება, რასაც ხანგრძლივი და დენადი ხასიათი აქვს.

5. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2016 წელს მოსარჩელემ წერილობით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია, თუ რა ქონება გადაეცა საწარმოსაგან „გ-ს“ და რა ბედი ეწია ამ ქონებას, რაც გამგეობამ უპასუხოდ დატოვა. მოპასუხის მხრიდან ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გადამალვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების აღსრულებაში და, შესაბამისად, მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის აღდგენაში ხელშეშლას უკავშირდება, რის გამოც ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

6. მოპასუხე წარმოდგენილი შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე ახსნა-განმარტებით, საჯაროდ და უსაფუძვლოდ აბრალებს, რომ „მოსარჩელემ ზიანი მიაყენა სახელმწიფოს და ვალები დაუტოვა საწარმოს, რომელიც გაკოტრდა და მოხდა მისი ლიკვიდაცია“, რითაც საჯაროდ ღახავს მოსარჩელის ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.

მოპასუხის შესაგებელი:

7. მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ 1998 წელს საწარმოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო ვალების გამო, რითაც ზიანი მიაღდა სახელმწიფოს, ამიტომ გამგეობას მოსარჩელისთვის ზიანი არ მიუყენებია და არც მისი საქმიანი რეპუტაცია არ შეულახავს. ამასთან, მოპასუხის მითითებით, არსებობს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რაც საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძველია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

11. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია, რომ გამგეობის 1997 წლის 4 სექტემბრის №... და 1998 წლის 20 იანვრის №... დადგენილებები მიღებულია საწარმოს და არა – ამ საწარმოს დირექტორის მიმართ. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, საწარმოს მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაცია, არ უნდა იქნეს განხილული, როგორც იმგვარი ცნობების შემცველი ინფორმაციის გავრცელება ან იმგვარი ქმედება, რომელიც ამ საწარმოს დირექტორის საქმიანი რეპუტაციის შელახვას გამოიწვევს, რაც გამორიცხავს მითითებული ფაქტობრივი საფუძვლით პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვასაც, მაშინ, როცა 1997 წლის 4 სექტემბრის №... და 1998 წლის 20 იანვრის №... დადგენილებები, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით, ბათილად არის ცნობილი, ხოლო გურჯაანის რაიონული სასამართლოს 16.02.1998 წლის გადაწყვეტილებით – მოსარჩელე აღდგენილია სამუშაოზე. შესაბამისად, დადგენილებები, რომელიც მოსარჩელის მოსაზრებით, მისი საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაციას იწვევს, სასამართლოს მიერ ბათილად არის ცნობილი.

12. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ საწარმოს მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა, მისი დირექტორის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელებად ვერ მიიჩნევა. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა, რომ გამგეობის 04.09.1997 წლის №... და 20.01.1998 წლის №... დადგენილებები არსებითად მცდარ, სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ფაქტს ემყარება და სინამდვილეში ლიკვიდირებულ საწარმოს მეორე საწარმოს მიმართ დავალიანება არ გააჩნდა და „სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის“ გამო საწარმოს ლიკვიდაცია მოსარჩელის, როგორც ამ საწარმოს დირექტორის, დისკრედიტაციას და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვას ემსახურებოდა.

13. თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ვერ გამოდგება, რადგან, ჯერ ერთი, აღნიშნული გადაწყვეტილება მი-

ღებულისა და სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებულია არა მოსარჩელე, არამედ საწარმოს შრომითი კოლექტივი, რომლის წარმომადგენელიც იყო მოსარჩელე, ამიტომ ეს გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელის, როგორც ფიზიკური პირის, უფლება-მოვალეობებს არ განსაზღვრავს და, შესაბამისად, მისი აღუსრულებლობა მორალურ ზიანსაც არ გამოიწვევს. გარდა ამისა, 1997 წლის 4 სექტემბრის №... და 1998 წლის 20 იანვრის №... დადგენილებები უშუალოდ მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ჩანაწერს არ შეიცავს.

14. რაც შეეხება აპელანტის 2016 წლის წერილობით მიმართვას, რომლითაც მოპასუხისგან მოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, თუ რა ქონება გადაეცა საწარმოსაგან მეორე საწარმოს და რა ბედი ეწია ამ ქონებას, რაც გამგეობამ უპასუხოდ დატოვა, პალატამ მიუთითა, რომ საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ დაინტერესებული პირის განცხადების უპასუხოდ დატოვება შესაძლოა, წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულების სამართლებრივ საფუძველს, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება და არ წარმოადგენს არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის მორალური ზიანის დაკისრების საფუძველს.

15. შესაგებელსა და სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არ იწვევს წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე განაცხადი სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს, აგრეთვე – მისი კომიტეტის/კომისიის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის გამოსაყენებლად საჭირო ერთ-ერთი წინაპირობა – არსებითად მცდარი ფაქტის გავრცელება არ დასტურდებოდა, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძველშივე გამორიცხავდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

16. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება სარჩელში მითითებული ანალოგიური საფუძვლებით (წინამდებარე განჩინების 2-6 პუნქტები).

17. კასატორმა დამატებით განმარტა, რომ ამავე საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ 07.07.2016 წლის განჩინებით საქმისწარმოება შეწყვიტა. ეს განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლომ 18.09.2017 წლის განჩინებით გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა რაიონულ სასამართლოს. საქმე წარმოებაში მიიღო მოსამართლემ, რომელმაც ამავე საქმეზე 12.11.2018 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. მიუხედავად მოსარჩელის შუამდგომლობისა, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მოსამართლის საქმეზე ადრე მონაწილეობის ფაქტი, არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ-ის) 394-ე მუხლი და არ გააუქმა რაიონული სასამართლოს 12.11.2018 წლის გადაწყვეტილება.

18. მოპასუხეს სააპელაციო სასამართლოში შესაგებელი არ წარუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების საუძველზე უნდა განეხილა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და შეეფასებინა ამართლება თუ არა იურიდიულად მოთხოვნას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები. პირველი ინსტანციის სასამართლოშიც მოპასუხის მიერ შესაგებლის ფორმით წარმოდგენილი ტექსტი არ აკმაყოფილებს არც კონკრეტული და არც კვალიფიციური შესაგებლის კრიტერიუმებს, არ შეესაბამება სსსკ-ის 201-ე მუხლის მოთხოვნებს და როგორც სარჩელი, ისე სააპელაციო საჩივარი შეუდავებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

19. სააპელაციო სასამართლომ საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ პირველი ინსტანციის განჩინება იმ საფუძველზე გააუქმა, რომ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოს უნდა განეხილა მოსარჩელის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი იმავე დარღვევებით გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, ისევე არ განიხილა მოსარჩელის შუამდგომლობები და კვლავ არ დაასაბუთა, რატომ არ იხილავდა შუამდგომლობებს.

20. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში არსებითად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 16.02.1998 წლის გადაწყვეტილება (კერძოდ, ნაცვლად გადაწყვეტილებაში მითითებული „მოსარჩელე აღდგენილ იქნეს სამუშაოზე“, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელე აღადგინა სამუშაოზე“) და თბილისის საოლქო სასამართლოს 29.05.2000 წლის გადაწყვეტილება (ნაცვლად „ბათილად იქნას ცნობილი გამგეობის დადგენილებები“, მითითებულია „ბათილად იქნა ცნობილი დადგენილებები“), რითაც სასამართლომ ფუნდამენტი გამოაცალა წარმოდგენილ სარჩელს. ამასთან, სასამართლოს არ მიუ-

თითები, რომ საოლქო სასამართლოს 15.04.2005 წლის განაჩენით დადგენილია – „ყვარლის რაიონის გამგეობამ ნებაყოფლობით არ შეასრულა გურჯანის რაიონული სასამართლოს 02.16.1998 წლის გადაწყვეტილება და ცრუ ოფიციალური წერილით აღმასრულებელსაც შეუშალა ხელი, რომ იძულების წესით შეესრულებინა გადაწყვეტილება“. ამ განაჩენით დასაბუთებულია, რომ დარღვეულია მოსარჩელის უფლებები და ინტერესები.

21. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია ზემოაღნიშნული დარღვევები, არ გამოუკვლევია მტკიცებულებები და არ გამოუყენებია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

23. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

24. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო მორალური ზიანის ანაზღაურებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ფიზიკური პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის ბრალეული შელახვის გამო, მორალური ზიანის დაკისრება სსკ-ის 18.6 მუხლიდან გამომდინარეობს.

25. პალატა განმარტავს, რომ საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასებას. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და, რომლითაც ადამიანი თავს

ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, აქვთ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. საქმიანი რეპუტაციის შელახვას კი, პირის ზემოაღნიშნული თვისებების დისკრედიტაცია წარმოადგენს (შდრ. სუსგ-ები №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015წელი; №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი).

26. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მიერ საქმიანი რეპუტაციის შელახვა ვერ დაამტკიცა. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, მიუთითებს, რომ გამგეობის 04.09.1997 წლის №... და 20.01.1998 წლის №... სასამართლოს მიერ გაუქმებული დადგენილებები, მართალია, მიღებულია საწარმოს და არა – ამ საწარმოს დირექტორის მიმართ, მაგრამ, თუკი დადგენილებათა შინაარსით დადგინდებოდა მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შელახვა, ეს მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობა იქნებოდა, რადგან შესაძლებელია, რომ კონკრეტულ განცხადებასა თუ დოკუმენტში პირი საერთოდ არ იყოს უშუალოდ ნახსენები, მაგრამ მისი შინაარსი პირის რეპუტაციას მაინც ლახავდეს (შდრ. სუსგ №ას-448-775-05, 1 დეკემბერი, 2005 წ.).

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, გადამწყვეტია ის, რომ დადგენილებებში მითითებული საწარმოს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა თავისთავად მოსარჩელის რეპუტაციის შემლახველად ვერ მიიჩნევა, რადგან, როგორც აღინიშნა, პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი და საწარმოს მიერ ხელშეკრულების დარღვევა იმთავითვე დირექტორის საქმიან თვისებებს არ აკნინებს და პროფესიულ ავტორიტეტს არ ლახავს. სადავო დადგენილებები კი, სხვა რაიმე ჩანაწერს, რომელიც დირექტორის რეპუტაციისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა, არ შეიცავს.

28. პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ საწარმოს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა რომც მიჩნეულიყო დირექტორის საქმიანი რეპუტაციის შემლახველ გარემოებად, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებდა, თუკი მოსარჩელე მითითებული ფაქტების სინამდვილესთან შეუსაბამობას, არსებითად მცდარობას დაადასტურებდა. მოსარჩელემ კი ვერ უზრუნველყო მათი მცდარობის დადასტურება, რამდენადაც საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც დადასტურ-

დება, რომ გამგეობის 04.09.1997 წლის №... და 20.01.1998 წლის №... დადგენილებები არსებითად მცდარ, სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ფაქტს ემყარება და სინამდვილეში საწარმოს სხვა საწარმოს მიმართ დავალიანება არ გააჩნდა, „სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის“ გამო საწარმოს ლიკვიდაცია მოსარჩელის, როგორც ამ საწარმოს დირექტორის, დისკრედიტაციას და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვას ემსახურებოდა.

29. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დადგენილებები, რომელმაც, მოსარჩელის მოსაზრებით, მისი საქმიანი რეპუტაციის დისკრედიტაცია გამოიწვია, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი, იმ საფუძველით, რომ მერიას (გამგეობას) საწარმოს ლიკვიდაციის უფლებამოსილება არ გააჩნდა.

30. აღნიშნულთან დაკავშირებული კასატორის პრეტენზია ისაა, რომ გადაწყვეტილება ვერ აღსრულდა (ლიკვიდირებული საწარმო ვერ აღდგა), შესაბამისად, ვერც მოსარჩელის საქმიანი რეპუტაცია აღდგა, რამდენადაც იგი საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე ვერ აღდგა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 იანვრის განჩინება, რომლითაც დგინდება, რომ 2012 წელს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხის მიმართ მორალური ზიანის – 5000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით. სარჩელის ძირითადი საფუძველი იყო გამგეობის მიერ 01.10.1997 წლის №... დადგენილებით მოსარჩელის დირექტორობიდან გათავისუფლების გამო მისი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 16.02.1998 წლის გადაწყვეტილების, რომლითაც მოსარჩელე აღდგენილია სამუშაოზე, აღუსრულებლობა. რაკი აღნიშნული საფუძველით სარჩელი იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე უკვე განხილულია, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სარჩელის ამ საფუძველზე თავიდან იმსჯელოს. პალატა მიუთითებს სსსკ-ის 266-ე მუხლზე, რომელიც (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი) განამტკიცებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუქცევადობის პრინციპებს, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ უკვე განხილულ და გადაწყვეტილ დავაზე სამართალწარმოება აღარ გაიმართება, რადგან სასამართლომ ამ

საკითხზე უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.

31. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოპასუხის შესაგებელსა და სასამართლო სხდომაზე გამოთქმული მოსაზრების გამო მორალური ზიანის დაკისრების უსაფუძვლობის თაობაზე, რადგან ეს განცხადებები ცილისმამბელოური რომც ყოფილიყო, რაკი გამოთქმული იყო სასამართლო პროცესზე მოპასუხის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, პასუხისმგებლობას არ გამოიწვევდა („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი).

32. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებს (მოსარჩელის 2016 წლის წერილობით მიმართვას, რომლითაც მოპასუხისგან მოითხოვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, თუ რა ქონება გადაეცა საწარმოსაგან მეორე საწარმოს და რა ბედი ეწია ამ ქონებას, რაც გამგეობამ უპასუხოდ დატოვა, ანდა მოსარჩელის მიერ მითითებულ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხემ ლიკვიდირებული საწარმოს ქონება ჯერ გადაძალა, ხოლო შემდეგ ფიქციურად შედგენილი ყალბი სააღსრულებო დოკუმენტებით გაასხვისა), ისინი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას არ ქმნის. ეს პრეტენზიები სცდება მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დავის საგნის ფარგლებს და მოსარჩელეს შეუძლია, მათზე სხვა სამართალწარმოების ფარგლებში იდავოს.

33. კასატორის საკასაციო პრეტენზია იმ პროცესუალურ დარღვევებზე უკავშირდება, რომლებიც, კასატორის მტკიცებით, დაშვებული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და რომლებზეც, მიუხედავად მისი პრეტენზიისა, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა. ასეთად კასატორი მიუთითებს ფაქტზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 18.09.2017 წლის განჩინებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს 07.07.2016 წლის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება და საქმე დაუბრუნდა რაიონულ სასამართლოს. ამის შემდგომ საქმე განიხილა იმავე მოსამართლემ და არ იქნა გათვალისწინებული მისი საქმეზე ადრე მონაწილეობის ფაქტი. პალატა განმარტავს, რომ პრეტენზია დაუსაბუთებელია, რამდენადაც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ზ“ პუნქტის ჩანაწერი (გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ ის გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ) გულისხმობს მოსამართლის მიერ სხვა და სხვა ინსტანციაში ერთი და იმავე საქმის განხილვის დაუშვებლობას. სსსკ-ის 29-ე მუხლი არეგულირებს საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობის წესებს და ადგენს, რომ ერთი ინსტანციის სასამართლოში საქმის

განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს უფლებას ართმევს, იგივე საქმე განიხილოს სხვა რომელიმე ინსტანციის წესით. ამავდროულად, მოსამართლის მიერ საქმის ერთსა და იმავე ინსტანციის სასამართლოში განმეორებით განხილვის აკრძალვას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს (შდრ. სუსგ №ას-626-934-09, 12 ოქტომბერი, 2009 წ.).

34. საკასაციო სასამართლო არც იმ პრეტენზიას იზიარებს, რომ მოპასუხის შესაგებელი არ აკმაყოფილებდა სსსკ-ის 201-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად უნდა მიჩნეულიყო. პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა და მიუთითა, რომ მოპასუხე სარჩელს არ ცნობდა, რადგან მოსარჩელეს მოპასუხის მხრიდან არანაირი მორალური თუ მატერიალური ზიანი არ განუცდია. მოპასუხისვე მითითებით, საქმეზე უკვე არსებობდა გურჯანის რაიონული სასამართლოს 30.03.2012 წლის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღო. ამდენად, პრეტენზია დაუსაბუთებელია.

35. ასეც რომ არ ყოფილიყო, როგორც აღინიშნა, სარჩელის უარყოფის ძირითადი საფუძველი გახდა ის, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას (იხ. პ. 27). შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილდაც რომ მიჩნეულიყო, სარჩელს წარმატების პერსპექტივა მაინც არ ექნებოდა. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, პალატა მიუთითებს, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმის წარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია (იხ. საქმე №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი).

36. უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ 18.09.2017 წლის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიუთითა განეხილა მოსარჩელის შუამდგომლობები, რაც პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლომ არ შეასრულა. პირველი ინსტანციის სასამართლომ 21.08.2018 წლის სხდომაზე დავის ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებისა და მტკიცებულებების დართვის თაობაზე მოსარჩელის შუამდგომლობები განიხილა და დააკმაყოფილა. რაც შეეხება მოპასუხისაგან ინფორმაციის გამოთხოვას, მოპასუხის წარმომადგენელმა სხდომაზე დააფიქსირა, რომ გამგეობას არ ჰქონდა ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია საწარმოს ლიკვიდაციის შემდგომ მის ქონებას რა ბედი ეწია. გარდა ამისა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, წინამდებარე განჩინების 32-ე პუნქტში მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციას წინამდებარე საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

37. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით

და ა დ ბ ი ნ ა:

1. რ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმიანი რეპუტაციის შელახვა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-121-2023

25 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარ-
ყოფა, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. სს „ტ-მა“ (შემდგომ – ბანკი, მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჯ-ძის (შემდგომ – მოპასუხე მონინა-აღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მოპასუხისათვის მორალური ზიანის – 1 000 000 ლარის დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის მტკიცებით, მედიასა და სხვა სტატიებში გავრცელებულ ცნობებში მითითებული იყო, რომ თითქოს ბანკმა თაღლითური გზით მიითვისა მეანაბრის კუთვნილი თანხა. 2016 წლის 7 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს“ მოპასუხის წარმომადგენელმა აცნობა შემდეგი: „კომპანიამ 2016 წლის 8 ივნისს პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც ბანკში განხორციელებული თაღლითობის ფართომასშტაბიანი სქემის შესახებ ინფორმაცია გაახმაურა, რომლის შედეგადაც ამ ბანკის ერთ-ერთი მეანაბრის დეპოზიტიდან მისგან მალულად და მისი ნების საწინააღმდეგოდ 2 000 000 ლარამდე ფულადი თანხა გაქრა“. მოსარჩელის მტკიცებით, ეს განცხადება ამხელდა არა თაღლითობაში ბრალდებულ ი. ა-ვას (შემდგომ – ფილიალის მმართველი), არამედ ქმნიდა აზრს, რომ თაღლითობა ბანკის მიერ იყო ჩადენილი. აღნიშნულს ადასტურებს მითითება 2016 წლის 8 ივნისის პრესკონფერენციაზე, სადაც მოპასუხის (მისი წარმომადგენლების) მიერ საჯაროდ გაცხადდა, რომ ბანკმა თაღლითობის გზით მიითვისა მეანაბრის კუთვნილი 760,000 აშშ დოლარი. მოპასუხის წარმომადგენლები იმასაც მიუთითებენ, რომ ბანკი ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, თითქოს მთა-

ვარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო დაზარალებულის და არა – ბანკის განცხადების საფუძველზე. ეს განცხადება იმავე დღეს გავრცელდა როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდზე (www.ipn.ge), ისე საინფორმაციო პორტალზე – www.ambebi.ge.

3. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბანკს მოპასუხის თანხა არ მიუთვისებია, ამიტომ მისი განცხადებები არსებითად მცდარია და მიმართულია საზოგადოების მოტყუებისკენ. მოპასუხისათვის ცნობილი იყო, რომ სარგებელი მიიღო ფილიალის მმართველმა, როგორც ფიზიკურმა პირმა.

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაევალოს მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა შემდეგი სახით: საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ვებგვერდზე (www.ipn.ge) და საინფორმაციო პორტალ www.ambebi.ge-ზე განათავსოს შემდეგი სახის ცნობა: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში მოპასუხე აცხადებს, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბანკის მიერ მოპასუხის კუთვნილი 760 000 აშშ დოლარის ანაბრის თაღლითური გზით მითვისების შესახებ, არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს“.

5. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხის მრავალთვიანმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ, რომელიც მოიცავდა როგორც მასობრივი მედიის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: ტელევიზია, პრესა და ელექტრონული გამოცემები, ისე სოციალურ ქსელსა და საჯარო სივრცეში (ქუჩაში) გავრცელებულ ინფორმაციას (აქციებზე განცხადებებისა და განთავსებული ბანერების სახით), ბანკს მიაყენა როგორც ქონებრივი, ისე არა-ქონებრივი ზიანი. ქონებრივი ზიანის დათვლა ობიექტურად შეუძლებელია. მოსარჩელე ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად მოითხოვს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისათვის 1 000 000 ლარის დაკისრებას. მოთხოვნის ამ ოდენობის განსაზღვრისათვის კი ბანკმა გაითვალისწინა შემდეგი გარემოებანი: ბანკი კლიენტებს ემსახურება მთელი საქართველოს მასშტაბით; სათავო ოფისის გარდა აქვს ფილიალები და სერვისცენტრები, რომელთა საერთო რაოდენობა 17 შეადგენს; ბანკის გაცხადებული კაპიტალი 121 372 000 ლარია. შესაბამისად, ზიანის ოდენობა, რასაც ბანკი ითხოვს, თანაზომადია ბანკის მასშტაბისათვის; მოპასუხე ცილის სწამებს ბანკს ანაბრის (760 000 აშშ დოლარის ოდენობის) მითვისებაზე, რომელიც დაახლოებით 2 000 000 ლარია. შესაბამისად, ბანკის მიერ მოთხოვნილი 1 000 000 ლარი 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ის თანხა, რომლის მითვისებაშიც მოსარჩელე ბანკს ბრალს სდებს. ამავდროულად, ანაბრის ვადის ამოწურვის შემდეგ მოსარჩელემ ბანკისაგან 760 000 აშშ დოლარი მიიღო, რაც

მოსარჩელის ფინანსურ შესაძლებლობას ადასტურებს.

მოპასუხის პოზიცია:

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, ბრალდებული, როგორც ბანკის დიდუბის ფილიალის იმჟამინდელი მმართველი, დანაშაულთა ჩადენის დროსა და ფარგლებში მოქმედებდა, როგორც ბანკის წარმომადგენელი. ყველა იმ საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებაზე, რომელზეც დატანებულია მოპასუხის გაყალბებული ხელმოწერა, მეორე მხარედ მოიხსენიება სწორედ ბანკი და არა – ფიზიკური პირი, ბანკის თანამშრომელი. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი საბანკო მომსახურების მიღებისას, იმის მიუხედავად, რომ ფიზიკურად ურთიერთობს კონკრეტულ თანამშრომლებთან, რეალურად სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება სწორედ ფინანსურ ინსტიტუტთან. მოპასუხე, მისი ოჯახის წევრები თუ მათი წარმომადგენლები მხოლოდ ფაქტებზე, პროკურატურის მიერ დადგენილ გარემოებებსა და მიღებულ პროცესუალურ გადაწყვეტილებებზე აწვდიდნენ საზოგადოებას ინფორმაციას.

7. მოსარჩელე არათუ „მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს“, საერთოდ ვერ უთითებს ვერანაირ დათვლად მატერიალურ ზიანზე და მხოლოდ ზოგადი და ძალიან ბუნდოვანი შეფასებებით შემოიფარგლება. ბანკი რეალურად მოპასუხისაგან მოითხოვს, რომ მან უარი განაცხადოს სარჩელზე, რომელსაც უკვე განიხილავს თბილისის საქალაქო სამართლო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

9. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ნოემბრის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

11. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე სადავოდ ხდის ბანკის მიერ მოპასუხის კუთვნილი 760 000 აშშ დოლარის ანაზრის თაღლითური გზით მითვისების შესახებ მოპასუხის (წარმომადგენლების) საჯარო განცხადებებს. მისი მტკიცებით, სადავო განცხადებით მოპასუხე ბრალს სდებს ბანკს დანაშაულის ჩადენასა და ამ გზით თანხის

მითვისებაში, რაც არასწორია, რამდენადაც განცხადების მომენტში უკვე არსებული და მოპასუხისათვის ცნობილი დაზარალებულად ცნობის დადგენილებითვე გამოძიების შედეგად გამოკვეთილი იყო კონკრეტული ფიზიკური პირის ბრალეულობა და, ამასთან, სარგებლის მიღება არა ბანკის, არამედ ბრალდებული პირის მიერ. მითითებული პოზიციის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ სადავო განცხადებები, საქმეში არსებული ფაქტობრივი მოცემულობისა და განცხადებების კონტექსტის გათვალისწინებით, არ ქმნის ცილისწამების შემადგენლობას, კერძოდ, მოპასუხე დაზარალებულად არის ცნობილი იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლითაც დადგენილია, რომ „... ბანკის ფილიალის მმართველმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისარგებლა მოპასუხის ნდობით და თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას“. მითითებული პირის ბრალეულობა ამ ეტაპზე უკვე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით, რომლითაც დადასტურებულია, რომ 2013 წლის 4 აპრილს, მოპასუხემ ვადიან დეპოზიტზე ბანკში განათავსა 800 000 აშშ დოლარი. ბანკის დიდუბის ფილიალის ყოფილმა მმართველმა, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ხელი მიუწვდებოდა მოპასუხის დეპოზიტის მონაცემებთან, ბოროტად გამოიყენა ნდობა, ხელი მოაწერინა ისეთი შინაარსის განცხადებაზე, რომელიც რეალურად დაზარალებულის ნებას არ გამოხატავდა. ამ ქმედებით ფილიალის მმართველი თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დაეუფლა მოპასუხის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 759 800 აშშ დოლარს.

12. უდავოა ისიც, რომ განცხადებების მომენტისათვის მხარეთა შორის წარმოებდა არაერთი სამართლებრივი დავა, მათ შორის, მოპასუხე ბანკისაგან ითხოვდა ანაბარზე განთავსებული თანხის დაბრუნებას. ამ მოთხოვნაზე დავა წინამდებარე საქმის განხილვის დროისათვის დასრულებული არ არის. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ მოპასუხის განცხადებები შეიცავს ბანკის მიერ ქონების მითვისების სახით დანაშაულის ჩადენის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს. განცხადება ობიექტურ და ნეიტრალურ მსმენელს არ უქმნის ბანკის, როგორც დანაშაულის სუბიექტის შთაბეჭდილებას. სიტყვისა და გამოხატვის უფლების დაცვის მაღალი სტანდარტი არ მოითხოვს განმცხადებლისაგან ინფორმაციის გავრცელებას აბსოლუტური სიზუსტით. უდავოა, მოპასუხემ ვადიან დეპოზიტზე თანხა განათავსა ბანკში. შესაბამისად, თანხის დაბრუნების მოლოდინი ბანკის მიმართ გაუჩნდა. ამასთან, თაღლითურ ქმედებაზე მითი-

თება უკავშირდება ფაქტობრივ მოცემულობას, რომლითაც დადასტურებულია ბანკის იმ თანამშრომლის დანაშაული, რომლის მეშვეობითაც ახორციელებდა სამართლებრივ ურთიერთობას.

13. სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა ბანკთან, რომელსაც საანაბრო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ჰქონდა განთავსებული თანხის შენახვის ვალდებულება, რისი შეუსრულებლობაც, თუნდაც მესამე პირის ბრალეული მოქმედების შედეგად, წარმოშობს უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე ბანკის პასუხისმგებლობას და დაუსაბუთებელია აპელირება ბანკის პასუხისმგებლობის არარსებობასთან მიმართებით. პალატამ დამატებით მიუთითა, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, კონკრეტულ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ურთიერთობა. ბანკის თანამშრომლები მოქმედებდნენ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, შესაბამისად, მოსარჩელეს პრეტენზია/მოთხოვნის უფლება წარმოეშვა უშუალოდ ბანკის მიმართ და ბანკის წინააღმდეგ არსებული სამოქალაქო დავების პარალელურად ლოგიკურია, რომ მოსარჩელეს დაეუფლა იმგვარი განცდა, რომ მისი მხრიდან ბანკში განთავსებულ თანხასთან მიმართებით, პასუხისმგებლობა სწორედ ბანკს ეკისრებოდა.

14. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო განცხადებების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, ზოგადი ტონის ანალიზის შედეგად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – სპეციალური კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დაწესებული აზრისა და ფაქტის გამიჯვნის სტანდარტით შეფასების საფუძველზე, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ ბანკის მიერ მოპასუხის კუთვნილი 760 000 აშშ დოლარის ანაზრის თაღლითური გზით მითვისების თაობაზე სადავო განცხადება, არ შეიცავს მტკიცებითი ფორმით უშუალოდ მოსარჩელის მხრიდან დანაშაულის ჩადენის შესახებ ფაქტის გავრცელებას, არამედ ფაქტობრივ საფუძველზე დაყრდნობით მოპასუხის აღქმის შედეგად შექმნილი შეფასებები და აზრის გამოხატვაა. რამდენადაც მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო, დაედასტურებინა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელდა უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია, გაუმართლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც.

კასატორის მოთხოვნა:

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16. კასატორის მტკიცებით, ბანკის მიერ 760,000 აშშ დოლარის ანაზ-

რის თაღლითური გზით მითვისების შესახებ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის ცილისწამება და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ განცხადებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სიტყვა „მიერ“, რომელიც გულისხმობს, რომ ბანკმა დაგეგმა თაღლითური სქემა, რომლის შესრულების შედეგად, თავისი აქტიური ქმედებით მიიღო, მითვისა მენაბრის თანხა. მოპასუხემ იცოდა ისიც, რომ თუკი ვინმემ მიიღო სარგებელი, ეს შეიძლება იყოს ბანკის მმართველი, როგორც ფიზიკური პირი, რომელიც უკანონოდ გარიგდა სხვა პირებთან.

17. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ შეგნებულად მიუთითა რა, ბანკის მიერ კლიენტის ანაბრის მითვისების შესახებ მცდარ ფაქტზე, განზრახ მიაყენა ზიანი ბანკის საქმიან რეპუტაციას. აქედან გამომდინარე, ვლინდება ცილისწამებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა წინაპირობა, კერძოდ, უდავოა, რომ საბანკო ინსტიტუტის წარმატებისა და საქმიანი რეპუტაციის განუყოფელი ნაწილია საზოგადოების – არსებული და პოტენციური კლიენტების (მათ შორის, მენაბრეების) – ნდობა მის მიმართ. სწორედ ბანკის საიმედოობა და მის მიმართ ნდობის ხარისხი დიდწილად განაპირობებს კლიენტთა არჩევანს, საკუთარი ფულადი სახსრები განათავსონ სწორედ კონკრეტულ საბანკო დაწესებულებაში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ბანკის წარმატებასაც. ბანკი 19 წელია ოპერირებს ქართულ საბანკო ბაზარზე და მტკიცედ აქვს დამკვიდრებული თავი, როგორც სანდო და საიმედო საბანკო ინსტიტუტს. მოპასუხის განცხადებები სწორედ ბანკის საქმიანი იმიჯის შებღალვისაკენ იყო მიმართული და მიზნად ისახავდა მოსარჩელის იძულებას, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დამთავრებამდე მოპასუხისათვის გადაეხადა მოთხოვნილი თანხა.

18. მოპასუხის განცხადებები არ ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და არ ექვემდებარება კანონით დაცვას, რადგან შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს, ამასთან, მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ბანკს როგორც მატერიალური, ისე რეპუტაციული კუთხით. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, მოპასუხემ ნამდვილად უწყოდა, რომ ბანკს მისი თანხა არ მიუთვისებია, ამიტომ მისი განცხადებები არსებითად მცდარია და საზოგადოებას ცრუ ინფორმაციას აწვდის.

19. მითითება ბანკის მიერ თანხის მითვისებაზე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე მეტყველებს, მაშინ, როდესაც არ არსებობს არც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და არც სხვა პროცესუალური დოკუმენტი, შესაბამისად, ვლინდება უკანონო ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ყველა წინაპირობა, რადგან: ა) აშკარაა პირდაპირი მითითება ბანკზე; ბ) გავრცელებულია არსებითად მცდარი ფაქტის, კერძოდ, ბანკის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია; გ) ბანკთან დაკავშირებით გავ-

რცელებული არსებითად მცდარი ინფორმაცია პირდაპირ ზიანს აყენებს ბანკის საქმიან რეპუტაციას; დ) მიყენებული რეპუტაციული ზიანის გამო, უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისთვის და ე) გაცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხემ წინასწარ იცოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება – დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

22. საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანია, მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებები არის თუ არა მოსარჩელის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) მე-18 მუხლით (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი: პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან) დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, წარმოადგენს თუ არა მოპასუხის გამონათქვამები ცილისწამება, რომელმაც შელახა მოსარჩელის – ბანკის საქმიანი რეპუტაცია, მოპასუხის გამოსატყვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელების უფლებების დასაცავად.

23. პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ

ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა (სპეციალური კანონის მე-13 მუხლი). სპეციალური კანონის მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, ვალდებული მოსარჩელეა, ამტკიცოს, რომ შესრულებულია ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობა, კერძოდ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს საქმიან რეპუტაციას.

24. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. ამრიგად, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამები შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას (რაც სსკ-ის 18.2 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია), უნდა გაირკვეს, მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „არსებითად მცდარ ფაქტს“, თუ „აზრის“ კატეგორიას განეკუთვნება.

25. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმ-

თავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან, როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ.: სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ.; №ას-790-739-2017, 17.01.2018წ.; №ას-928-868-2017, 17.01.2018წ.; №ას-1582-2023, 22.03.2024წ.). სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ.: სუსგ №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ.; №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.).

27. გასათვალისწინებელია, რომ აზრი ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში, აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგან მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა (მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.259).

28. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის განცხადებიდან სადავოდაა გამხდარი ბანკის მიერ მოპასუხის კუთვნილი 760 000 აშშ დოლარის ანაზრის თაღლითური გზით მითვისების თაობაზე გამონათქვამი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამის აზრისა თუ ფაქტისადმი კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მთლიანი განცხადების შინაარსის გაუთვალისწინებლად. მოპასუხის განცხადების ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს კონტექსტის გარეშე ვერ მიენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან მათი განცალკევებულად განხილვა გამოიწვევს გამონათქვამის შინაარსის დაკარგვას. შინაარსს კი სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს. ამდენად, პალატა მოპასუხის განცხადებას შეზღუდული კონტექსტით ვერ განიხილავს და მათ ერთიანად, იმ დროს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლივად განიხილავს.

29. დადგენილია, რომ 2016 წლის 3 ოქტომბერს მოპასუხე დაზარალებულად იქნა ცნობილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე (რასაც თანახმაა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება) დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში. საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2016 წლის 3 ოქტომბრის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად, გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ „... ბანკის ფილიალის მმართველმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისარგებლა მოპასუხის ნდობით და თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას“. „საბოლოოდ, ფილიალის მმართველი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითურად დაეუფლა მოპასუხის კუთვნილ 500,000 აშშ დოლარს, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ივნისის განაჩენით ფილიალის მმართველი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. განაჩენის თანახმად, 2013 წლის 4 აპრილს, დაზარალებულმა ვადიან დეპოზიტზე ბანკში განათავსა 800 000 აშშ დოლარი. ბანკის დიდუბის ფილიალის ყოფილ მმართველს სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ხელი მიუწევდებოდა მოპასუხის დეპოზიტის მონაცემებზე. მან ისარგებლა დაზარალებულის ნდობით, გამოიყენა ბოროტად და ხელი მოაწერინა ისეთი შინაარსის განცხადებაზე, რომელიც რეალურად დაზარალებულის ნებას არ გამოხატავდა და ბანკს თითქოს მიუთითებდა, მისი დეპოზიტიდან დაფარულიყო ფილიალის მმართველთან დაკავშირებულ პირთა კრედიტები. მისი ქმედება მიზნად ისახავდა და საბოლოოდ დაეუფლა კიდევ მის კუთვნილ ქონებას – 759 800 აშშ დოლარს. აღნიშნული ქმედებით კი ფილიალის მმართველი თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაეუფლა მოპასუხის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას. თბილისის სააპელაციო პალატის 15.03.2018 წლის განაჩენითაც, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულს შორის, ეს უკანასკნელი ცნობილია დამნაშავედ. 28.07.2016წ. მოპასუხემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ბანკის მიმართ ანაბარზე განთავსებული კუთვნილი თანხის – 759 800 აშშ დოლარის დაბრუნებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის

28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაეკისრა 500 000 აშშ დოლარისა და 500 000 აშშ დოლარის წლიური 4%-ის, 2016 წლის მარტიდან თანხის სრულად დაფარვამდე გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. დასაბრუნებელ თანხაზე დარიცხული ყოველწლიური სარგებლის – 12%-ის 2014 წლის 4 აპრილიდან ანაზღაურების მოთხოვნისა და ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის დაკისრების შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. მითითებული სარჩელის აღძვრის შემდგომ, 03.11.2016 წელს, თავის მხრივ, ბანკმა დამოუკიდებელი სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხის, ფილიალის მმართველისა სხვა პირთა წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურებისა და გარიგებების ბათილად ცნობის თაობაზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

30. როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის გათვალისწინებით (*Brasiliere v. France*, №71343/01, 11.04.2006 წელი, §37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (*Paturel v. France*, №54968/00, 22.12.2005 წელი, §37). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამები, მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, არ შეიცავს მტკიცებითი ფორმით უშუალოდ მოპასუხის მხრიდან დანაშაულის ჩადენის შესახებ ფაქტის გავრცელებას, არამედ სადავო განცხადება ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ საფუძველებზე დაყრდნობით მოპასუხის აღქმის შედეგად შექმნილი შეფასებები და აზრის გამოხატვაა. ამასთან, რაკი მოპასუხის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა არ დაბრუნებულა, გასაზიარებელია მოპასუხის მითითება, რომ ტერმინში, „მითვისება“ მოიაზრება არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბანკის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, არამედ გამომდინარეობდა მისი მოსაზრებიდან, რომ თანხის საბოლოო მიმღები ბანკი იყო და დაბრუნების მოთხოვნაც მისგან ჰქონდა. მოპასუხის განცხადებაც წარმოადგენს პრეტენზიას ბანკის, როგორც ხელშეკრულების მხარის მიმართ იმის შესახებ, რომ ანაზღაურება განთავსებული თანხა მიითვისა პირმა, რომელიც ბანკს წარმოადგენდა მოპასუხესთან ურთიერთობაში, შესაბამისად, თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა სწორედ ბანკს ეკისრებოდა (რაც დადასტურდა კიდევ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით). ამ გარემოებებიდან გამომდინარე, თანხის დაბრუნებაზე

ბანკის უარმა მოპასუხეს გაუჩინა განცდა, ბანკის მხრიდან დაუსაბუთებლად თანხების მითვისებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას, რომ მოპასუხის განცხადება არ შეიცავს მტკიცებითი ფორმით უშუალოდ მოსარჩელის მხრიდან დანაშაულის ჩადენის შესახებ ფაქტის გავრცელებას, არამედ მოპასუხის მოსარჩელისადმი უარყოფითი სუბიექტური დამოკიდებულება და შეფასებაა, რომელიც გამყარებულია გარკვეული ობიექტური ფაქტობრივი საფუძვლებით.

31. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განისაზღვროს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ დადასტურდეს. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (*Handyside v. the United Kingdom* (საჩივარი №5493/72), 7.12.1976წ.; *Stoll v. Switzerland* [GC] (საჩივარი №69698/01), 10.12.2007წ., §101; *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC] (საჩივარი №48876/08), 22.04.2013 წ, §100; *Morice v. France* [GC] (საჩივარი №29369/10), 23.04.2015 წ, §124; *Balaskas v. Greece* (საჩივარი №73087/17), 05.11.2020 წ, §36) (შდრ. სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016 წ). აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხაზგასასმელად აღსანიშნავია, რომ თავის გადანეყვებილებში საქმეებზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Lingens v. Austria* (საჩივარი №9815/82), 08.07.1986 წელი, §46) და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Oberschlick v. Austria* (საჩივარი №11662/85), 23.05.1991 წელი, §63) სტრასბურგის სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირდეს, მაშინ, როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს, ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაველოს, ეს შეენიშნაღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (*De Haes and Gijssels v. Belgium*, (საჩივარი №19983/92), 24.02.1997 წელი, §42) (შდრ. სუსგ №ას-938-2020, 18.03.2021წელი). მოცემულ შემთხვევაში, დავა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადანეყდეს, სხვაგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვა ხელყოფდა შეხედულებების თავისუფლების არსს.

32. გამოხატვის თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია – გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებე-

ბის გაზიარების პერსპექტივას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39). გამოსატყვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს, ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. [...] ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობისა და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

33. იმავდროულად, თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმით გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ მიიჩნევა საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე – მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40).

34. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებს“ და „იდეებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემამფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, ურომლისოდაც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს (Nilsen and Johnsen v. Norway (საჩივარი №23118/93), 25.11.1999წ., §43; Matalas v.

Greece (საჩივარი №1864/18), 25.03.2021წ., §38). აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრება ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლება, რომელიც შეურაცხყოფელი, აღმამფოთებელი და შემანუხებელია (Castells v. Spain (საჩივარი №11798/85), 23.04.1992წ., §42). შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“? ევრო-სასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (Chauvy and others v. France (საჩივარი №64915/01), 29.06.2004წ.). ამდენად, შესაფასებელია გამოხატვის ფორმა და ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა (იხ.: სუსგ №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.).

35. პალატა მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განისაზღვროს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ დადასტურდეს. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (Handyside v. the United Kingdom (საჩივარი №5493/72), 7.12.1976წ.; Stoll v. Switzerland [GC] (საჩივარი №69698/01), 10.12.2007წ., §101; Animal Defenders International v. the United Kingdom [GC] (საჩივარი №48876/08), 22.04.2013წ., §100; Morice v. France [GC] (საჩივარი №29369/10), 23.04.2015წ., §124; Balaskas v. Greece (საჩივარი №73087/17), 05.11.2020 წელი, §36) (მდრ. სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016 წელი). მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მწვავე საჭიროების დამადასტურებელი რაიმე გარემოება წინამდებარე საქმეში არ გამოკვეთილა.

36. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, დავა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სხვაგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვა ხელყოფდა შეხედულებების თავისუფლების არსს იმის გათვალისწინებითაც, რომ სადავო გამონათქვამები სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გამოხატვაა.

37. რაკი არ დადგინდა კანონით დაცული უფლების დარღვევა, ვერ იქნება გაზიარებული მისთვის მორალური ზიანის მიყენების თაობაზე მოსარჩელის მითითება. სადავო გამონათქვამები ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარ-

ღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ნოემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმიანი რეაქტაციის შედეგად

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-989-2024

20 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. უბილავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2019 წელს სამაჟნეებლო ტელეკომპანია „რ.“-ის მიერ მომზადდა და შაბათის კურიერის 9 მარტის 21:00 სთ-იან გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი ამერიკულ ბანკებზე ჰაკერული თავდასხმების გამო ამერიკის შე-

ერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ქართული ოცნების დეპუტატის, შ. შ-ის შვილის დაკავებისა და მოპარული ფულის „ქ. ბ-ის“ მეშვეობით შესაძლო გათეთრებასთან დაკავშირებით. სიუჟეტში გამოყენებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ი. ნ-ძისთან და ფრაქციის წევრ, ლ. ლ-ნთან ინტერვიუები.

2. ი. ნ-ძის მიერ გაკეთდა შემდეგი განცხადება: „ამ ქვეყანაში ადამიანები პირდაპირ არიან დაკავებული მართლა ფულის გათეთრებით და არა რაღაც გამოგონილი ბრალდებებით. როდესაც ქართული ოცნების დეპუტატის შვილმა შ. შ-ის შვილმა, დანაშაულებრივი გზებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი იშოვა, მას როგორც ჩანს დასჭირდა ამ ფულის გათეთრება და იგი ორ ძირითად გზას იყენებდა, ეს იყო ბიტკოინების გზა და ეს იყო ბანკების მეშვეობით გათეთრება და პარტნიორი საქართველოში, რა თქმა უნდა, ბიტკოინებთან და ბანკებთან დაკავშირებული არის სწორედ ბ. ი-ი და ქ. ბ-ი და სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვექონდა საქმე. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით გახდა ამ დანაშაულის შესახებ ცნობილი, ქ. ბ-ი ვალდებული იყო ეცნობებინა როგორც პროკურატურისთვის და ეროვნული ბანკისთვის, ასევე ყველა საგამოძიებო სამსახურისთვის მიემართა, რომ მსგავსი ტრანზაქცია მისი ბანკის მიერ იყო შესრულებული. მან ეს არ გააკეთა, რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ ის გარიგებაში იყო სწორედ შ-სთან.“ ამავე გადაცემაში ლ. ლ-ნმა განაცხადა: „FBI-მ გააკეთა განცხადება, რომ ჰაკერული თავდასხმა მოხდა ამერიკულ ბანკებზე და დიდი ოდენობით თანხები თეთრდებოდა, მათ შორის, ბ. ქ-უს მეშვეობით“.

3. გ. შ-ი იყო სს „ბ. ქ-უს“ კლიენტი, 2013 წლიდან ჰქონდა გახსნილი ანგარიშები მოსარჩელე კომპანიაში, იგი ანგარიშებს ფლობდა ასევე სხვა საბანკო დანესებულებებში.

4. საინფორმაციო გადაცემა „შაბათის კურიერის“ 2022 წლის 19 ნოემბრის გამოშვებაში გასული სიუჟეტით, მოცემულ დავაში, შპს „ტ. რ.“-მა უარყო სადავო სიუჟეტში მის მიერ გავრცელებული ცნობები.

5. ტელეკომპანია, კუთვნილ ვებ. გვერდზე ასევე გააკეთა განცხადება, რომ „2019 წლის 9 მარტს გავრცელებული ინფორმაცია, კერძოდ „ბ. ი-ის „ქ-უ“ ფულის გათეთრების სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა. ამერიკული ბანკებიდან ჰაკერული თავდასხმის დროს მოპარული ფულის ნაწილი სწორედ „ქ. ბ-სი“ ინახებოდა და „ქ-დან“ თეთრდებოდა“ – არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება“.

6. სს „ქ. ბ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „ბანკი“, „ფინანსური ორგანიზაცია“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ნ-ძის (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“), ლ. ლ-ნისა (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) (შემდგომში ერთად – „მოპასუხეები“, „კასატორები“) და შპს „ტ. რ.“-ის მი-

მართ და მოითხოვა გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადანყვეტილების შესახებ.

7. სარჩელის საფუძვლები:

7.1. მოპასუხეების მიერ ბანკის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და არის ცილისწამება. ბანკს არასდროს მიუღია მონაწილეობა ფულის გათეთრებაში. ის არანაირ უკანონო გარიგებაში არ ყოფილა გ. შ-სთან, როგორც ამას მოპასუხეები მიუთითებენ. ბანკი, მის კლიენტებთან საქმიან ურთიერთობაში სრულად ასრულებდა და ასრულებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს. რაც შეეხება გ. შ-ს, ის არის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც 2013 წლიდან ბანკში ჰქონდა გახსნილი ანგარიში (გ. შ-ს ანგარიში გახსნილი ჰქონდა საქართველოს სხვა კომერციულ ბანკებშიც). ამასთან, ბანკთან ურთიერთობის დასაწყისში არ არსებობდა ინფორმაცია (არც საჯარო სივრცეში და არც ბანკისთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ საძიებო ბაზებში) გ. შ-მ, როგორც რაიმე მაქინაციურ გარიგებებში მონაწილე/ ბრალდებულ პირზე;

7.2. 2014 წლის დეკემბრის თვეში გ. შ-მა გამოთქვა სურვილი, ბანკის მიერ გაცემული კრედიტის ასანაზღაურებლად დასაკუთრებული ერთ-ერთი აქტივის შეძენაზე. მხარეთა შორის შედგა შეთანხმება და ბანკმა 2014 წლის 20 დეკემბერს აღნიშნული აქტივი გაასხვისა საბაზრო ფასში. მოსარჩელის მითითებით, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს დანაშაულს, ეს ბანკის ვალდებულებაა, 2014 წლის 17 ივნისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №51/04 ბრძანების მე-16 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად; გ. შ-ის მიმართ 2015 წლის 21 ივლისს, ანუ ბანკისგან ზემოაღნიშნული აქტივის დასაკუთრებიდან 6 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, მოხდა ბრალის წაყენება სხვადასხვა ფინანსურ დანაშაულში და აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა საჯარო სივრცეში, ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) ვებ-გვერდზე და სხვა წყაროებში. აღნიშნული ინფორმაცია, საჯაროდ განთავსების შემდეგ, მალევე, 2015 წლის 4 აგვისტოს, ცნობილი გახდა ბანკისთვის, რაზეც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფორმით ეცნობა 2015 წლის 7 აგვისტოს, ინფორმაციის წყაროების და სხვა დეტალების მითითებით. 2015 წლის 12 აგვისტოს ბანკმა, ასევე, განცხადებით მიმართა პროკურატურას და მიიწვი ინფორმაცია შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით. სწორედ პროკურატურაში ბანკის განცხადების შეტანის შემდეგ, სასამართლოს განჩინებების საფუძ-

ველზე, 2015 წლის სექტემბერ-ნოემბრის თვეებში განხორციელდა სა-გამოძიებო მოქმედებები და მოხდა გამოძიების პროცესში გამოკვეთი-ლი პირების ანგარიშების დაყადაღება;

7.3. მოპასუხეებს, შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება, ბანკს აბრა-ლებენ საეჭვო გარიგებებში, ფულის გათეთრებაში, მონაწილეობას. მო-პასუხეები განზრახ ავრცელებენ ბანკის საქმიანი რეპუტაციის შემლახ-ველ, ცრუ ინფორმაციას და ზიანს აყენებენ მას. საზოგადოებას შეექ-მნა ცრუ, უარყოფითი წარმოდგენა ბანკთან დაკავშირებით, რაც პირ-დაპირი ზიანის მომტანია ბანკისათვის, მისი რეპუტაციისთვის. „ენმ“-ის და მისი წევრების მიერ, ბანკის მიმართ ცრუ, ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება უკვე არაერთხელ მოხდა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-გიის 2022 წლის 29 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამ-დგომლობა დაკმაყოფილდა და შპს „ტ.რ.“-ის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა.

9. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

10. პირველი მოპასუხის მითითებით:

10.1. მოსარჩელის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეი-ცავენ სიუჟეტში გაჟღერებულ სიტყვებს, მაგრამ, მიუღებელია მისი მთლიანობის დანაწევრება ცალკე ფაქტობრივი გარემოებების ხელოვ-ნურად შექმნით, სიუჟეტი განხილული უნდა იქნეს მთლიანობაში, მთლი-ანი მსჯელობით, არგუმენტაციით და კითხვებით და არა მხოლოდ მო-სარჩელისთვის მისაღები გაჟღერებული სიტყვების კონტექსტიდან ამოგლეჯით. მისივე მითითებით, გაუგებარი და მიუღებელია მოსარჩე-ლის მტკიცება, რომ მას როგორც „ენმ“-ს წევრს, ისე გავრცელებინა განცხადება, ისევე, როგორც სარჩელის შინაარსი, სადაც მოპასუხედ, როგორც მოქალაქე პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალუ-რი მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრს ისე უჩივის, სუბტიტრების მითითებით აშკარად ჩანს, რომ სიუჟეტში მონაწილეობს საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე;

10.2. სადავო სატელევიზიო სიუჟეტში მოპასუხეები მონაწილეობენ როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

11. მეორე მოპასუხის მითითებით:

11.1. არსებითი მნიშვნელობა აქვს სიუჟეტის აღქმას მთლიანობაში, სიუჟეტიდან სიტყვების იზოლირებულად გამოყენება მთლიანი მსჯე-ლობის დამახინჯებას ახდენს. მოსარჩელის მიერ ფაქტობრივ გარემო-ებებში (მოპასუხის) ციტირებული სიტყვები, მართალია, სიუჟეტში გაჟ-ღერდა, მაგრამ მთლიანი მსჯელობის კონტექსტში და არასწორია მთლი-ანი ტექსტიდან ამონარიდების სახით ცალკე ფაქტობრივი გარემოების ჩამოყალიბება. არასერიოზულია სიუჟეტის სუბტიტრებში საკრებულოს

წევრად მითითებულ პირებთან მიმართებით მტკიცება, რომ მათ განცხადება „როგორც ენმ-ს წევრებმა“ გააკეთეს და მოპასუხეების საკრებულოს წევრის სტატუსის გადაფარვა პოლიტიკური პარტიის პოლიტსაბჭოს წევრობის მითითებით;

11.2. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი ყურადღებას აქცევს საკრებულოს წევრის სტატუსს, ხოლო მოპასუხეები მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები არიან, თუმცა საკრებულოს წევრის სტატუსის არქონის შემთხვევაში, გამოხატვის საგანზე გამოთქმული მსჯელობა და პოლიტიკური თვალსაზრისი მაინც ვერ ჩაითვლებოდა ცილისწამებად. სიუჟეტში საუბარია დამაეჭვებელ გარემოებაზე და ვარაუდებზე;

11.3. სიუჟეტში გამოთქმულია გონივრული ეჭვი, რომელიც ემყარება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც დაყადაღდა გ. შ-ის საბანკო ანგარიშები, როგორ მოხდა, რომ თალლითური სქემით ასობით მილიონი დოლარის ფულის მითვისებაში ბრალდებული პირი თავისუფლად ახდენს რამდენიმე მილიონ აშშ დოლარად შეფასებული ქონების გადაფორმებას ოჯახის წევრზე, იმ ქონების მოშორებას, რომელიც დაკავებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიძინა ბანკისგან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ვიდეო მტკიცებულება არ არის სრული სახის და წყდება ისეთ ადგილას, სადაც სიუჟეტი საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებას აქვეყნებს.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. დაევაღათ მოპასუხეებს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა ტელეკომპანია „რ.-ის“ ეთერით და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება, კერძოდ „სასამართლო განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტელეკომპანია „რ.-ის“ მეშვეობით 2019 წლის 9 მარტს ი. ნ-ძის მიერ გაკეთებული განცხადება „... როდესაც ქართული ოცნების დეპუტატის შვილმა - შ. შ-ის შვილმა დანაშაულებრივი გზებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი იშოვა, მას როგორც ჩანს დასჭირდა ამ ფულის გათეთრება და იგი ორ ძირითად გზას იყენებდა, ეს იყო ბიტკოინების გზა და ეს იყო ბანკების მეშვეობით გათეთრება და პარტნიორი საქართველოში, რა თქმა უნდა, ბიტკოინებთან და ბანკებთან დაკავშირებული არის სწორედ ბ. ი-ი და ქ. ბ-ი და სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით გახდა ამ დანაშაულის შესახებ ცნობილი, ქ. ბ-ი ვალდებული იყო ეცნობებინა როგორც პროკურატურისთვის და როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე ყველა საგამოძიებო სამსახურისთვის მიემართა, რომ მსგავსი ტრანზაქცია მისი ბანკის მიერ იყო შესრულებული,

მან ეს არ გააკეთა, რა თქმა უნდა გამომდინარე იქიდან, რომ ის გარიგებაში იყო სწორედ შ-თან...“ და ლ. ლ-ნის მიერ გაკეთებული განცხადება „... დიდი ოდენობით თანხები თეთრთებოდა, მათ შორის ბ. ქ-უს მეშვეობით ...“ – შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს მოსარჩელე სს „ბ. ქ-უს“ შესახებ.

13. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე, წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული გარემოებები და დამატებით მიუთითა შემდეგზე:

15.1. საქმეში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რაც ფულის გათეთრების სახით დანაშაულებრივ ქმედებასთან მოსარჩელის კავშირსა და მონაწილეობას დაადასტურებდა. საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ისრაელის მოქალაქე სამი პირისათვის [მათ შორის, გ. შ-ის (შ-ი)] თაღლითურ სქემაში სავარაუდო მონაწილეობის გამო, ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით (რასაც, მოპასუხის მითითებით, ეფუძნებოდა სადავო სიუჟეტში 2019 წლის 9 მარტს მოპასუხეთა მიერ გაკეთებული განცხადებები) ინფორმაცია ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2015 წლის 21 ივლისს. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სარჩელით სადავო სიუჟეტში გაჟღერებული ფაქტი, რომ თითქოს FBI-ის მიერ გაკეთებული განცხადებით დიდი ოდენობით თანხები, მათ შორის, „ბ. ქ-უს“ მეშვეობით თეთრდებოდა, არ შეესაბამება რეალობას, რადგან დანაშაულებრივ ქმედებასთან ბანკის შესაძლო კავშირზე მითითებას არ შეიცავდა 2015 წლის 21 ივლისს ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია;

15.2. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ბანკის მიერ განხორციელდა საბანკო ოპერაციების (გარიგების) მონიტორინგი. 2015 წლის 12 აგვისტოს ბანკმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რომლითაც მიაწოდა ინფორმაცია გ. შ-ის და მასთან დაკავშირებული პირების/კომპანიების მოსარჩელე კომპანიაში საბანკო ანგარიშების ფლობისა და მათი მეშვეობით საბანკო ოპერაციების განხორციელების შესახებ. ამავე წერილით განიმარტა, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის კანონით დაკისრებული მოვალეო-

ბების შესრულებისას, ბანკის მიერ ხორციელდებოდა შესრულებული ოპერაციების ანალიზი და გაირკვა, რომ გ. შ-ი აშშ-ს შესაბამისი ორგანოების მიერ ბრალდებული იყო ფულის გათეთრებაში და მიმდინარეობდა გამოძიება. აღნიშნულ და სხვა გარემოებებზე მითითებით, პროკურატურისადმი მიმართული განცხადებით მოთხოვნილი იქნა დასახელებული პირებისა და კომპანიების მიერ საქართველოში განხორციელებული ოპერაციების კანონიერების შესწავლა. წერილის თანახმად, ბანკის მიერ აღმოჩენილი გარემოებების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეწოდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსაც. აღნიშნული წერილის საფუძველზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, განხორციელდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, დოკუმენტაციის ამოღებისა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის სახით როგორც მოსარჩელე კომპანიაში, ისე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ სხვა საბანკო დაწესებულებებში. ამდენად, მითითებული მტკიცებულებები ასევე ადასტურებს სადავო განცხადების მცდარობას იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს, დანაშაულის შესახებ სათანადო ორგანოებისათვის არ მიუმართავს, იმის გამო, რომ თავად იყო გარიგებაში;

15.3. აშშ-ში გ. შ-ის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო დადგენილებით კონფისკაცია განხორციელდა მის ქონებაზე როგორც მოსარჩელის, ისე სხვადასხვა ქვეყნის არაერთ საბანკო დაწესებულებაში არსებულ ანგარიშებზე. აღსანიშნავია, რომ არც აღნიშნული გადაწყვეტილებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, ჩადენილ ქმედებებთან მოსარჩელე ბანკის რაიმე სახის დანაშაულებრივი კავშირი, ფულის გათეთრებაში მონაწილეობა, არ დადგენილა;

16. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წინამდებარე განჩინების 15.1-15.3 პუნქტებში მითითებულ გარემოებების მიმართ რაიმე დასაბუთებული პრეტენზია სააპელაციო საჩივრით წარდგენილი არ ყოფილა. აპელანტები მიუთითებდნენ მხოლოდ, რომ საქმის ირგვლივ დადგენილი გარემოებები იძლეოდა მოპასუხეთათვის სადავო შეფასების გაკეთების შესაძლებლობას და რომ მოპასუხეთა განცხადებები წარმოადგენდა აზრს, რაც გათავისუფლებულია ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ საქმეში არ წარდგენილა ობიექტური მტკიცებულება, რაც დაასტურებდა მოსარჩელის მონაწილეობას ფულის გათეთრების სქემაში, სადავო არ არის. აპელანტების მითითება, რომ გ. შ-ს ჰქონდა ანგარიში გახსნილი სს „ბ. ქ-ში“ და მან ბანკისგან შეიძინა უძრავი ქონება, ვერ იქნება მიჩნეული საკმარისად ბანკის დანაშაულებრივი საქმიანობის თაობაზე მყარი დასკვნების გაკეთებისათვის. საქმის მასალებით გამოირიცხა ასევე იმ განცხადების

საფუძვლიანობა, რომ ბანკმა გამოიჩინა უმოქმედობა და არ შეასრულა კანონით მასზე დაკისრებული შეტყობინების ვალდებულება.

17. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული გაცხადებების კონტექსტისა და შინაარსის გათვალისწინებით, ისინი ერთობლიობაში განაპირობებდა მოსარჩელისათვის შერაცხული ქცევის განსაკუთრებულად შეუსაბამოდ მიჩნევას. ე.ი. ბრალდება მეტად სერიოზულს წარმოადგენდა, ვინაიდან განმცხადებლები მოსარჩელეს საერთაშორისო დონის დანაშაულის ჩადენაში სდებდნენ ბრალს.

18. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელე მხარემ წარადგინა, საკმარისია იმ შეფასების გასაკეთებლად, რომ დადასტურებული შეუსაბამობა არსებობს სინამდვილესა და განცხადებაში გადმოცემულ ფაქტებს შორის. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ წარადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა მის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა. იმ პირობებში კი, როდესაც მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები, რომელიც უარყოფს მოპასუხეთა მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებების შინაარსს, სამოქალაქო პროცესში არსებული მტკიცების ტვირთი ბრუნდება და მოპასუხეებს ეკისრებათ ვალდებულება, მითითებული ფაქტის სინამდვილის დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულებები წარადგინონ. მოპასუხეებმა ვერ წარადგინეს რაიმე რელევანტური მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს ფაქტების სისწორეში, მინიმუმ, მოპასუხეთა მიერ გაკეთებული დასკვნების საფუძვლიანობაში დაარწმუნებდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სიუჟეტში გავრცელებული ცნობები არსებითად მცდარად მიიჩნია და მიუთითა, რომ არ ემყარება რაიმე ობიექტურ გარემოებას, ან წინაპირობას.

19. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოპასუხეთა მიერ ტელეკომპანია „რ.“-ის ჟურნალისტიკისთვის მიცემულ ინტერვიუში სადავო ინფორმაცია გამოთქმულია მტკიცებით ფორმაში. სიუჟეტში არ იკვეთება, რომ გავრცელებული ცნობები წარმოადგენს მოპასუხეთა მოსაზრებას. ამასთან, აღნიშნული ფრაზები არ არის გამოთქმული განყენებულად, არამედ მოდის საერთო კონტექსტიდან. იმ გარემოების მტკიცებისას, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა მათ აზრს, აპელანტები უთითებდნენ სიუჟეტის დასაწყისში ჟურნალისტიკის მიერ გაკეთებულ შესავალზე, სადაც იგი დანაშაულის სავარაუდო ნიშნების თაობაზე უთითებდა და მრავალჯერ გამოიყენა სიტყვა „სავარაუდო“. ამ არგუმენტთან მიმართებით სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში, შეფასების საგანს წარმოადგენს მოპასუხეთა, როგორც საჯარო პირთა და პოლიტი-

კოსთა მიერ გავრცელებული ცნობების შესაბამისობა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის დანაწესებთან და არა ჟურნალისტის მიერ განხორციელებული ცილისწამება. შესაბამისად ის ფაქტი, რომ სიუჟეტის შესავალს ჟურნალისტი აზრის გადმოცემის კონტექსტში აყალიბებს, გავლენას ვერ იქონიებს სიუჟეტის შემდგომ ნაწილში მოპასუხეთა მიერ მიცემული ინტერვიუს კონტექსტზე. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, ერთი პირის, კერძოდ ჟურნალისტის, გამოხატვის ფორმა ვერ შეცვლის მეორე პირის, რესპოდენტის, მიერ გაკეთებული განცხადებების კონტექსტს და თუ რესპოდენტი ფაქტად უთითებს რაიმე ინფორმაციას, ჟურნალისტის საუბარი მას აზრად ვერ გადააქცევს.

20. სააპელაციო სასამართლომ პირველი მოპასუხის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საუბრის არცერთი მონაკვეთი არ შეიცავს რესპოდენტის მითითებას, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს მის აზრს, დასკვნას. საუბარი მიმდინარეობს მტკიცებით ფორმაში და რაიმე ეჭვის სივრცეს არ ტოვებს. აპელანტის წარმომადგენლის მიერ ყურადღება გამახვილდა სიტყვებზე „როგორც ჩანს“, რაც აპელანტის მოსაზრებით გამონათქვამს აზრის კვალიფიკაციას სძენდა. სააპელაციო პალატის მითითებით, სიტყვები „როგორც ჩანს“ გამოყენებულია შემდეგ წინადადებაში „როდესაც ქართული ოცნების დეპუტატის შვილმა შ. შ-ის შვილმა, დანაშაულებრივი გზებით რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი იშოვა, მას როგორც ჩანს დასჭირდა ამ ფულის გათეთრება და იგი ორ ძირითად გზას იყენებდა“. აღნიშნული წინადადებიდან ცალსახად დგინდება, რომ ვარაუდის დონეზე ნათქვამი სიტყვები „როგორც ჩანს“ მიემართება გ. შ-ის მიერ ფულის გათეთრების საჭიროების დადგომას და არა საუბრის იმ მონაკვეთს, სადაც რესპოდენტი ბანკის დანაშაულებრივ საქმიანობაზე მიუთითებს. პირველი მოპასუხის ინტერვიუს დანარჩენი ნაწილი მოცემულია მტკიცებით ფორმაში და რესპოდენტი იყენებს მტკიცებითი ფორმის აღმატებულ სიტყვათშეთანხმებას „რა თქმა უნდა“, კერძოდ აცხადებს, რომ ბრალდებული ფულის გათეთრებისთვის „ორ ძირითად გზას იყენებდა, ეს იყო ბიტკოინების გზა და ეს იყო ბანკების მეშვეობით გათეთრება და პარტნიორი საქართველოში, რა თქმა უნდა, ბიტკოინებთან და ბანკებთან დაკავშირებული არის სწორედ ბ. ი-ი და ქ. ბ-ი“. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხის მიერ ინტერვიუში გავრცელებული ცნობები ატარებს „არსებითად მცდარი ფაქტის“ და არა აზრის მნიშვნელობას. საჯაროდ გავრცელებული ინტერვიუს სრულ კონტექსტს რესპოდენტი მტკიცებით ფორმაში წარმართავს და მასში არ არის მოხსენიებული რაიმე ისეთი ფრაზა, რაც გავრცელებული ცნობებისთვის აზრის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას შექმნიდა.

21. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მეორე მოპასუხის განცხადებასთან დაკავშირებითაც, საუბრის არცერთი მონაკვეთი არ შეიცავს რესპოდენტის მითითებას, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს მის აზრს, დასკვნას. საუბარი მიმდინარეობს მტკიცებით ფორმაში და რაიმე ეჭვის სივრცეს არ ტოვებს.

22. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს და მისი საქმიანობის ჯეროვანი განხორციელებისათვის საზოგადოების ნდობა, მისი შენარჩუნება და მაღალი რეპუტაცია მნიშვნელოვანია. შესაბამისად, თავისთავად, ფინანსურ დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე ცილისწამების გავრცელების ფაქტიც ადასტურებს იურიდიული პირისათვის საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული არაქონებრივი სახით ზიანის მიყენებას. ბანკის, როგორც ფინანსური ინსტიტუტის, ფულის გათეთრებაში დანაშაულება, თანაც საერთაშორისო დონეზე, უპირობოდ წარმოადგენს მისთვის ზიანის მიყენებელ განცხადებას, ვინაიდან სწორედ საბანკო დანესებულებას ანდობენ ფიზიკური, თუ იურიდიული პირები საკუთარ ფინანსებს და ბანკის ოპერირების კეთილსინდისიერებას და მართლზომიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი ფუნქციონირების პროცესში. აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგოდ რაიმე რელევანტური არგუმენტი ან მტკიცებულება საქმეში არ წარდგენილა.

23. სააპელაციო პალატის მითითებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლად აპელანტები აპელირებდნენ, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო პირს, რომელსაც მეტი თმენის ვალდებულება ეკისრება და ამასთან მოპასუხეები წარმოადგენდნენ საკრებულოს წევრებს. გასაჩივრებული განჩინებით განიმარტა, რომ საჯარო პირი თავის მხრივ, განსაკუთრებული თმენის ვალდებულებითაა შებოჭილი, მისთვის არასასურველი თუ უსიამოვნო განცხადებების მიმართ, თუმცა გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებს გარეთაა ისეთი განცხადებები, რომელიც შეეხება საჯარო პირის მიმართ გაულერებულ უსაფუძვლო და სერიოზულ ბრალდებებს. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გავრცელებული ბრალდებების სიმძიმიდან გამომდინარე, კერძოდ მოპასუხეებმა დაადანაშაულეს ბანკი აშშ-დან მოპარული მილიონობით აშშ დოლარის გათეთრებაში, საჯარო პირის თმენის ვალდებულებაზე მითითება ვერ გაათავისუფლებს მოპასუხეებს ცილისწამების გამო დამდგარი პასუხისმგებლობისგან.

24. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაფასებელია, რამდენად წარმოადგენდა გავრცელებული განცხადებები საკრებულოს წევრის მიერ მისი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. დანაშაულის ჩადენის თაობაზე ინფორმაციის არსებობისას, საკრებულოს წევრს აქვს შესაძლებლობა მიმართოს მისთვის მინიჭე-

ბულ სხვადასხვა უფლებამოსილებებს და კანონის ფარგლებში მოახდინოს რეაგირება შესაძლო დანაშაულებრივ საქმიანობაზე. იმისათვის, რომ დადგინდეს პირის ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში, აუცილებელია მომხდარ ფაქტზე გამოძიების დაწყება. გამოძიების დაწყების ერთ-ერთ წინაპირობას კი წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოებისთვის მიმართვა. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეებს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირებს, შესაბამისი წესისა და პროცედურის დაცვით შეეძლოთ მიემართათ საგამოძიებო ორგანოებისათვის დანაშაულის ფაქტის შესახებ ინფორმაციის ფლობისას. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეების მიერ გაკეთებული განცხადებები არ ემსახურებოდა იმ კონკრეტულ მიზანს, რასაც ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს პირის ან პირთა ჯგუფის დანაშაულში მხილება, პირის ხელთ არსებული მტკიცებულებების საგამოძიებო ორგანოებისათვის მიწოდება. მოპასუხეთა განცხადებებს არ გააჩნდა საზოგადოებისათვის ღირებულების მომტანი, საჯარო დისკუსიაში წვლილის შემტანი ან სხვა მსგავსი მიზანი, ვინაიდან მოპასუხეებს არ განუხორციელებიათ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები ფაქტზე რეაგირებისთვის და არც რაიმე ობიექტური მტკიცებულება წარუდგენიათ, რასაც მათი განცხადებები ემყარებოდა.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე წარმოადგენს ფინანსურ ინტიტუტს, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესია საზოგადოების თვალში გამართული რეპუტაცია. შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, პირის დანაშაულის ჩადენაში პირდაპირი დადანაშაულება წარმოადგენს მოსარჩელის მიმართ ცილისწამებას, რის შედეგადაც მოსარჩელეს ცალსახად მიადგა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ასეთ შემთხვევებში, მოპასუხეთა პოლიტიკური თანამდებობა ვერ გაათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან მათ მიერ გაკეთებული განცხადებები მოსარჩელის მიმართ, შეიცავდა აშკარა ცილისწამებას, ამასთან, აღნიშნული განცხადებები არ გაკეთებულა მათი, როგორც საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულების დროს.

26. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხეთა მხრიდან გავრცელებულ სიუჟეტსა და განცხადებებში წარმოდგენილია არა მოსაზრებები, არამედ ფაქტის სახით გადმოცემულია მოსარჩელის დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა დამადასტურებელი რაიმე ვალიდური მტკიცებულება არც საქმეშია წარდგენილი და არც მოპასუხეებს დაუსახელებიათ. მოპასუხეთა მიერ გავრცელებული განცხადებები წარმოადგენს ცილისწამებას მოსარჩელის მიმართ, რომელსაც მოჰყვა მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ამასთან, დადგენილია, რომ მოპასუხეებს მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად არ ჰქონიათ კომუ-

ნიკაცია მოსარჩელესთან, რომელსაც უშუალოდ სდებენ ბრალს მძიმე დანაშაულის ჩადენაში. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო განცხადებები გაკეთებულია არა დისკუსიის ფარგლებში, არამედ მათ ჰქონდათ ცალმხრივი, მოსარჩელის პოზიციის მიღების მცდელობის გარეშე, მოსარჩელის მძიმე დანაშაულის ჩადენაში დადანაშაულების ფორმა, რაც ვერ იქნება განხილული პოლიტიკური დებატის ფარგლებში გამოთქმულ პოზიციად.

27. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

28. საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრეტენზიებს:

28.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დისკრიმინაციული. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეზე დამკვიდრებულ პრაქტიკას და სტრასბურგის სასამართლოს მიერ სხვადასხვა საქმეზე გაკეთებულ განმარტებებს. მსგავსი კატეგორიის საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების საპირისპირო განმარტებები გააკეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ 2022 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე №2/21313-20 და სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2023 წლის 4 აპრილის განჩინებაში საქმეზე №2ბ/3015-22; ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

28.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 20 მაისის საოქმო განჩინება (საოქმო ჩანაწერები) საქმეზე შემოჯამებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად მთავარი სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების შესახებ. მიუღებელია და საპროცესო სამართლის უპატივცემულობაა, რომ სასამართლო ზემოაღნიშნულ ნორმას იყენებდეს ყველა საქმის მიმართ და უმოტივაციოდ მის განხილვაში მყოფ ყველა საქმეს „არსებითად რთულ გადასაწყვეტად“ მიიჩნევდეს და ამ მოტივით დებდეს სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. საპროცესო კანონი ამ შემთხვევისათვის ითვალისწინებს დასაბუთებული და მოტივირებული განჩინების გამოტანის აუცილებლობას; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „განჩინებაში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე“. მოცემულ შემთხვევაში, საერთოდ ვერც კი ვხვდებით მსგავს მსჯელობას.

29. კასატორი შუამდგომლობს საპროცესო ხარჯების, კერძოდ, სა-

სამართლოს გარეშე პროცესის ხარჯის მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება.

31. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან კანონის დარღვევა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას არ უდევს საფუძვლად.

32. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

33. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია მოპასუხეთა მიერ სატელევიზიო ეთერის ფარგლებში გავრცელებული განცხადებები წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. კერძოდ, წარმოადგენს თუ არა განცხადება ცილისწამებას, რომელმაც შელახა იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაცია. შესაბამისად, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზო-

გადოებაში მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

34. წინამდებარე დავის ფარგლებში, ორი მნიშვნელოვანი უფლება უპირისპირდება ერთმანეთს გაამოხატვის თავისუფლება და პირის არა-ქონებრივი უფლება – საქმიანი რეპუტაციის უფლება.

35. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შეესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

36. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.

37. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. ამიტომ ის შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებსა და სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ პუნქტში მითითებული კანონიერი მიზნების მისაღწევად, რომელთაგან ერთ-ერთია სხვა პირთა რეპუტაციის დაცვა.

38. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობის“ ძირითადი პრინციპები ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“) დაადგინა მრავალ საქმეში. ამ გადანყევითეობებში სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, არაშეურაცხყოფელად არის მიჩნეული ან ინდიფერენტული დამოკიდებულების საგანია, არამედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, გამოგნებული ან შემაშფოთებელია.

39. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განსაზღვრული იყოს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ უნდა იყოს დადასტურებული. შეზღუდვის გამოყენება უნდა

იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (*Handyside v. the United Kingdom* (7 December 1976, Series A no. 24), *Stoll v. Switzerland* ([GC] no. 69698/01, § 101, ECHR 2007 V); *Animal Defenders International v. the United Kingdom* [GC], no. 48876/08, § 100, ECHR 2013; *Morice v. France* [GC], no. 29369/10, § 124, 23 April 2015).

40. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – „სპეციალური კანონი“) მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას, ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას.

41. სპეციალური კანონის მე-13 მუხლი კრძალავს ნებისმიერი [კერძო და საჯარო, ფიზიკური და იურიდიული] პირის შესახებ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელებას. ცილისწამებისათვის (რომელიც განიმარტება, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“), გათვალისწინებულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა (კანონით განსაზღვრული გამოწვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია მისი მე-5, მე-15 და მე-16 მუხლებით).

42. სპეციალური კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძო პირის მიმართ ცილისწამებისათვის მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრისას მოსარჩელეს ეკისრება ტვირთი დაამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

43. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18.2 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. იმავე კოდექსის 27.5 მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.

44. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთა რეპუტაციის დაცვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებაა. სტრასბურგის სასამართლომ არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს. თუმცა, იმისათვის, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევა დადგინდეს, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სერიოზულობის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს (*Arztekammer Fur Wien And Dorner v. Austria*, no. 8895/10, § 62, 16 February 2016).

45. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. აღნიშნული კრიტერიუმებია: (ა) ის წვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებში შეიტანა; (ბ) იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, როლი და ფუნქცია, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და იმ ქმედებების ბუნება, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სადავო განცხადებაში აისახა; (გ) განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; (დ) განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა; (ე) რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში დაცული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის – აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს ჟურნალისტებთან მიმართებაში ნათქვამი აქვს, რომ ისინი უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად, სათანადო ფაქტობრივ საფუძველზე და, ჟურნალისტური ეთიკის წესების შესაბამისად, საზოგადოებას აწვდიდნენ სარწმუნო და ზუსტ ინფორმაციას (*Axel Springer AG v. Germany [GC]*, no. 39954/08, § 93, ECHR 2012).

46. გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს თავის არსს, თუკი მას მოეხსნება შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. ამდენად, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს. მითითებული ნორმებიდან ჩანს, რომ ღირსებისა და რეპუტაციის საკითხს, საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს. პირთა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა კი, უპირველ ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რომ ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემოცოფთა მიერ მათ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

47. ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხმყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (*Chauvy v France*). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხებებმა არასწორი სურათი შექმნეს იურიდიულ პირთან მიმართებით, რომელსაც კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესი აქვს, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონო-

მიკური სიკეთის თვალსაზრისითაც (Markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany).

48. ამასთან, საჯარო პირებთან მიმართებით „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან, თუმცა გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოიხატება.

49. პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა (სპეციალური კანონის მე-13 მუხლი). სპეციალური კანონის მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, ვალდებული მოსარჩელეა, ამტკიცოს, რომ შესრულებულია ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმამპირობებელი ყველა წინაპირობა, კერძოდ: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს საქმიან რეპუტაციას (იხ. სუსგ საქმე №ას-328-2020, 25 ივნისი, 2021 წელი).

50. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ მოპასუხეებმა გაავრცელეს განცხადებები.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ცილისწამების არსებობის დასადგენად, პირველ რიგში, აუცილებელია შეფასდეს სადავო განცხადებაში დაცული გამოონატქვამები აზრის, შეხედულების გამოხატვაა თუ დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტების შემცველი განცხადება.

52. ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა როგორც სპეციალური კანონის, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (შემდეგში ევროსასამართლო) პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მათი განსხვავება შესაძლებელია.

53. თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlick v. Austria (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204) სტრასბურგის სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების სა-

განი იყოს. ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეეწინააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (*De Haes and Gijssels v. Belgium*, 24 February 1997, §42, Reports-I). თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩნეული, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, არსებობს თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“. თუ საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ შეფასება შეიძლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და მიჩნეულ იქნას, როგორც „გადაჭარბებული“ (*De Haes and Gijssels*, § 47; *Oberschlick v. Austria* (no. 2), 1 July 1997, § 33, Reports 1997-IV; *Brasilier v. France*, no. 71343/01, § 36, 11 April 2006; and *Lindon, Otchakovsky-Laurens and July*, § 55).

54. იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (*Brasilier v. France*, no. 71343/01, 11 April 2006, § 37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (*Paturol v. France*, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

55. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანაცვდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.

56. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „სიტყვა აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამი-

სობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად სჭარბობს სწორედ ისეთი გამო-ნათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქ-ტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქ-ტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ. ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შე-ხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნა-წილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მა-შინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინა-არსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამო-ნათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფა-სებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნას შეყვანი-ლი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი).

57. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვა-ლიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგე-ბა გამონათქვამი (იხ. სუსგ №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებ-ლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ №ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

58. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მო-პასუხეთა მიერ გაკეთებული განცხადებები ისეთ კონკრეტულ ინფორ-მაციას შეიცავს, რომელთა დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. როგორც პირველი, ისე მეორე მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხა-დებები შეიცავს ფაქტებს მოსარჩელესთან დაკავშირებით. სადავო გან-ცხადებები ბანკთან მიმართებით გავრცელებულია მტკიცებით ფორ-მაში, კერძოდ, პირველი მოპასუხის მიერ გავრცელებულ განცხადება-ში აღნიშნულია, რომ ბრალდებული ფულის გათეთრების ორ გზას იყე-ნებდა „... ეს იყო ბიტკოინების გზა და ეს იყო ბანკების მეშვეობით გა-თეთრება და პარტნიორი საქართველოში, რა თქმა უნდა, ბიტკოინებ-თან და ბანკებთან დაკავშირებული არის სწორედ ბ. ი-ი და ქ. ბ-ი“, „...“

მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით გახდა ამ დანაშაულის შესახებ ცნობილი, ქ. ბ-ი ვალდებული იყო ეცნობებინა როგორც პროკურატურისთვის და როგორც ეროვნული ბანკისთვის, ასევე ყველა საგამოძიებო სამსახურისთვის მიემართა, რომ მსგავსი ტრანზაქცია მისი ბანკის მიერ იყო შესრულებული. მან ეს არ გააკეთა, რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ ის გარიგებაში იყო სწორედ შ-თან...“. შესაბამისად, განცხადების გამავრცელებელი პირდაპირ და არაორაზროვნად უთითებს ბანკის ფინანსურ დანაშაულში ჩართულობასთან დაკავშირებით. მეორე მოპასუხის განცხადებაც, ანალოგიურად, არანაირ კომპონენტს შეიცავს, რაც განცხადებისთვის აზრის კატეგორიის მინიჭების შესაძლებლობას შექმნიდა, კერძოდ, წინადადება „... დიდი ოდენობით თანხები თეთრდებოდა, მათ შორის ბ. ქ-უს მემკვიდრეობით“ მტკიცებით ფორმალურად წარმოდგენილი.

59. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. სპეციალური კანონის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა.

60. სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ წარადგინა კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურდა გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა, ხოლო მოპასუხე მხარემ ვერ წარადგინა საპირისპირო რაიმე მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს მოსარჩელის მიერ დამტკიცებული ფაქტების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩენდა. მოცემულ საქმეში, ბრალდება (ფულის გათეთრებაში მოსარჩელის დადანაშაულება) იყო სერიოზული, თუმცა ამ ბრალდებების ჭეშმარიტება საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება (იხ. წინამდებარე განჩინების 15.1-15.3 პუნქტები). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისეთი ფაქტის ჭეშმარიტების დადასტურება, როგორიცაა ფულის გათეთრება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი.

61. ევროსასამართლოს განმარტებითაც რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას.

62. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ გამოძიება არ მიმდინარეობს, საკმარისია შე-

ფასების გასაკეთებლად, რომ მოსარჩელემ დაძლია სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების (გავრცელებული განცხადება შეიცავს მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა (იხ. სუსგ საქმე №ას-1011-972-2016, 26 ივლისი 2017 წელი).

63. შემდეგი წინაპირობა, რომლის არსებობის დადასტურება აუცილებელია არის მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი, კერძოდ, ამ შემთხვევაში, საჭიროა დადასტურდეს, რომ გავრცელებული განცხადებით მოსარჩელეს საქმიანი რეპუტაცია შეეღახა.

64. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შეღახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა“ (იხ.: სუსგ-ები №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015 წელი; №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი). შესაბამისად, საქმიანი რეპუტაციის შეღახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს (იხ.: სუსგ №ას-1052-1007-2014, 30 სექტემბერი, 2015 წელი). „რეპუტაცია მოპოვებული საზოგადოებრივი შეფასებაა, შექმნილი საერთო აზრია ვინმეს ან რაიმეს თვისებების, ღირსებათა და ნაკლის შესახებ, რომელიც ყალიბდება ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. რა თქმა უნდა, რეპუტაცია შეიძლება იყოს როგორც კარგი, ისე ცუდი, შესაფასებელი ობიექტის დადებით და უარყოფით თვისებათა (ღირსებათა) პროპორციის მიხედვით“ (თოდუა მ., ქურდაძე მ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, გვ. 50).

65. იურიდიულ პირს აქვს საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება მესამე პირთა მიერ საქმიანი რეპუტაციის უფლების ნებისმიერი ხელყოფის (დარღვევის) შემთხვევაში. უფლების დაცვის მიზანია დაავალ-

დებულოს სამართალდამრღვევი შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება მისი უფლების აღსადგენად, მათ შორის, უარყოს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაცია.

66. საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სამართლოს შეფასებას, რომ მოსარჩელე წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს და მისი საქმიანობის ჯეროვანი განხორციელებისათვის საზოგადოების ნდობა, მისი შენარჩუნება და მაღალი რეპუტაცია მნიშვნელოვანია. ბანკის, როგორც ფინანსური ინსტიტუტის, ფულის გათეთრებაში დადანაშაულება, თანაც საერთაშორისო დონეზე, უპირობოდ წარმოადგენს მისთვის ზიანის მიმყენებელ განცხადებას, ვინაიდან სწორედ საბანკო დაწესებულებას ანდობენ ფიზიკური, თუ იურიდიული პირები საკუთარ ფინანსებს და ბანკის ოპერირების კეთილსინდისიერებას და მართლზომიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი ფუნქციონირების პროცესში. გაჟღერებული ცნობები საზოგადოებაზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსარჩელე ახორციელებდა არაკანონიერ საქმიანობას – ფულის გათეთრებას. შესაბამისად, თავისთავად, ფინანსურ დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე ცილისწამების გავრცელების ფაქტიც ადასტურებს იურიდიული პირისათვის საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებული არაქონებრივი სახით ზიანის მიყენებას.

67. რაც შეეხება განცხადებული ფაქტის მცდარობის მოპასუხეთათვის წინასწარ ცნობის საკითხს, წინამდებარე საქმეზე დადგენილია, რომ ამერიკის ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია დანაშაულებრივ ქმედებასთან ბანკის შესაძლო კავშირზე მითითებას არ შეიცავდა, ასევე არ არსებობდა ბანკის/თანამდებობის პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, მოპასუხეთა მხრიდან არც იმ ინფორმაციის მოძიება განხორციელებულა, მიიღო თუ არა რაიმე ზომები ბანკმა შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებით სათანადო ორგანოების ინფორმირების მიზნით და სხვა. ამდენად, განცხადებები ფულის გათეთრებაში ბანკის მონაწილეობის შესახებ გავრცელებული იქნა ინფორმაციის გადამონმების გარეშე.

68. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა სარჩელის წარმატებისათვის უნდა გაირკვეს ხომ არ არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, განცხადება სპეციალური კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური დებატების ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა უნდა დადგინდეს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიის მიმნიჭებელი გარემოებების არარსებობა; ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხვე-

ლი გარემოების არარსებობა (თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობისა და მცდარობის გამო).

69. მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე განჩინების 68-ე პუნქტში აღნიშნული ბოლო ორი გარემოების არსებობა საქმეზე არ დასტურდება. რაც შეეხება სადავო განცხადების პოლიტიკურ დებატად მიჩნევის საკითხს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო განცხადება პოლიტიკურ დებატად ვერ შეფასდება. მოსარჩელე არ არის პოლიტიკოსი ან პოლიტიკური პარტია, ის კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საბანკო სფეროში. კერძო და საჯარო პირის ცილისწამების საკითხის განხილვისას ამოსავალი წერტილია არა ის, თუ ვინაა განცხადების ავტორი (ცილისწამების განმახორციელებელი), არამედ ის, ვინაა გავრცელებული განცხადების ადრესატი (იხ.: სუსგ №ას-1179-1124-2013, 30 აპრილი, 2015 წელი). განცხადების ადრესატი კი, ფინანსური ინსტიტუტი – კომერციული ბანკია.

70. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ დაამტკიცა მის მიმართ ცილისწამების ფაქტი, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები არ არსებობს. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება. უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი და აღსრულებადია.

71. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 20 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების საკითხს, საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 257-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადოს როგორც იმავე სხდომაზე, ისე გადადოს აღნიშნული საპროცესო მოქმედება სხვა დროისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დავა უნდა განეკუთვნებოდეს შედარებით რთულ კატეგორიათა რიგს, თუმცა კანონმდებელი არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა სახის დავები შეიძლება ასეთად ჩაითვალოს და აღნიშნული საკითხის შეფასებას უშუალოდ სასამართლოს მიანდობს. საკასაციო საჩივარი კანონით დადგენილი ამ პროცედურის დარღვევის დამადასტურებელ დასაბუთებას არ შეიცავს. შესაბამისად, დასაშვები საკასაციო პრეტენზია საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ არ წარმოდგენილა.

72. საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კასატორები ასევე შუამდგომ-

ლობენ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების შესახებ. სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოცემულ შემთხვევაში, დიფამაციის შესახებ სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა რომ მოსარჩელეს შეეღაზა საქმიანი რეპუტაცია და მოპასუხეებს დაევაღათ იმავე საშუალებებით ცნობების უარყოფა, რომელი საშუალებებითაც ცრუ ინფორმაცია გავრცელდა. ამასთან, არ დაკმაყოფილდა მოპასუხეების სააპელაციო და საკასაციო საჩივრები. შესაბამისად, კასატორთა მოთხოვნა მოსარჩელისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. ნ-ძისა და ლ. ლ-ნის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2024 წლის 20 მაისის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge